



საიბა

2013

ქართული მხარე
სამართლებრივი
და ადვოკატურა

სტუდენტური კამპანია

2013





აშშ-ს საელჩო საქართველოში
The U.S. Embassy in Georgia



USAID
აშშ-ის საერთაშორისო განვითარების აგენცია

E A S T • W E S T
M A N A G E M E N T
I N S T I T U T E

*The Judicial Independence and
Legal Empowerment Project (JILEP)*

EUROPEAN HUMAN RIGHTS ADVOCACY CENTRE

EHRAC

**Brot
für die Welt**

Bread for the World -
Protestant
Development Service



**National Endowment
for Democracy**

Supporting freedom around the world



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო



SWEDEN



WESTMINSTER
FOUNDATION FOR
DEMOCRACY



ADRA



IREX

Make a Better World




EUROPEAN INITIATIVE
LIBERAL ACADEMY TBILISI



**OPEN SOCIETY
FOUNDATIONS**

სარჩევი

ენისიციკლოპედია	4
აღიარების უფლებების დაცვა, დაცვის მექანიზმების განვითარება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დისკრიმინაციის გარეშე	7
<i>იურიდიული კონსულტაციები და სამართლებრივი ღონისძიებები</i>	9
<i>სადროკატო მომსახურება</i>	11
<i>წარმატებული საქმეები</i>	12
<i>სტრატეგიული სამართალწარმოება აღიარების უფლებათა ვეროვულ სასამართლოში</i>	17
<i>სტრატეგიული სამართალწარმოება საკონსტიტუციო სასამართლოში</i>	20
<i>სტრატეგიული სამართალწარმოება ქართული მართლის სამართლებრივი დაცვის სენატრის ფარგლებში</i>	24
<i>სტრატეგიული სამართალწარმოება ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით</i>	26
<i>შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება</i>	27
<i>იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სამართლებრივი დაცვა</i>	30
<i>სასჯელადსრულების დაწესებულებაში განთავსებული პატიმარებისათვის განუღებელი დაცვა</i>	31
საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და კანონისადმი პატივისცემის დამკვიდრება	33
<i>საინფორმაციო სემინარები, შეხვედრები რეგიონებში, ავტო-ტურები</i>	34
<i>იძულებით გადაადგილებულ პირთა ცნობიერების ამაღლება</i>	41
<i>ცნობიერების ამაღლება ქალთა უფლებების დაცვის სფეროში</i>	41
<i>არაღებულური მიგრაციისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა</i>	42
<i>ჯანდაცვის უფლება</i>	43
<i>აქციები და სხვა ღონისძიებები</i>	43
<i>მედია-მონიტორინგი</i>	46
ეფექტიანი, ანგარიშვალდებულებული და გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობა	47
<i>ანტიკორუფციული კვლევები</i>	48
<i>კვლევები მედიის სფეროში</i>	52
<i>მედია სფეროს გარეგანი გავლენის საკანონმდებლო გავლენის გაუმჯობესება</i>	53
<i>საიას მონაწილეობა საკანონმდებლო პროცესში</i>	55
<i>2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ადგილობრივ თვითმმართველობებში განვითარებული მოვლენების მონიტორინგი</i>	59
<i>საიას საქმიანობა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით</i>	60
<i>სასამართლო დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ხელშეწყობა საქართველოში</i>	65
<i>მიგრაციის პოლიტიკისა და კანონმდებლობის განვითარების ხელშეწყობა</i>	70
კვლითი-იურიდიული, უწყვეტი იურიდიული განათლება და პროფესიის განვითარება	71
<i>ფონდის სასწავლო კურსები</i>	72
<i>საჯარო დისკუსიები</i>	76
<i>სემინარები და ტრენინგები</i>	77
<i>იურიდიული განათლების თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობა</i>	80
<i>სტაჟირება იურიდიული დაცვის სფეროში</i>	82
ფინანსური ანგარიში	83



რამო ძვირფასო საივლაშვილი

სტუდენტობის დროს ხშირად მიფიქრია, თუ რამხელა პატივია იურისტისთვის რიგითი საივლაშვილი. ახლა, როცა თავმჯდომარის სტატუსით და იმავე განცდით ამ სიტყვას ვწერდი, გამახსენდა გასულ წელს ჩვენს საერთო კრებაზე ორგანიზაციის პირველი თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის სიტყვები. საქართველოს პარლამენტის იმ დროს უკვე მოქმედმა თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ყველა თანამდებობაზე მეტად მისთვის ძვირფასია ის მანდატი, რომელიც საიაში მოღვაწეობის დროს გააჩნდა.

ალბათ ჩვენი წარმატების მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი სწორედ ის არის, რომ საიასადმი ასეთი დამოკიდებულება მხოლოდ ორგანიზაციის თავმჯდომარეებს არ აქვთ, ეს თანამშრომლებისა და წევრების საერთო განცდაა.

შთამბეჭდავია ის საქმიანობები, შედეგები და მიღწევები, რომლებიც წინამდებარე წლიურ ანგარიშშია ასახული. ორგანიზაციის სანესდებო მიზნებისა და სტრატეგიის შესაბამისად, უფასო იურიდიული დახმარებიდან დაწყებული საკანონმდებლო პროცესში შეტანილი წვლილით თუ არჩევნების მონიტორინგის მისიით დამთავრებული, არაერთი აქტივობა განხორციელდა. ვიყავით კრიტიკულები იქ, სადაც დათმობა ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებთან შერიგებას ნიშნავდა. ვთანამშრომლობდით ხელისუფლებასთან იქ, სადაც მიგვაჩნდა, რომ თანამშრომლობა შედეგებს მოიტანდა.

ვინც საიას ყოველდღიურ საქმიანობას შიგნიდან ადევნებს თვალს, ალბათ, დარჩება განცდა, რომ ვერც ერთი წლიური ანგარიში სათანადოდ ვერ ასახავს იმას, რასაც ჩვენი თანამშრომლები ყოველდღიურად აკეთებენ. თუმცა, ყველაფერმა ასახვა რომც ჰპოვოს, ვერც ეს იქნება დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების საქმეში ასოციაციის წვლილის სათანადო საზომი... რამდენიმე დღის წინ სახალხო დამცველთან არსებულმა ეროვნულ უმცირესობათა საბჭომ საქართველოში ტოლერანტობის კულტურის განვითარებაში შეტანილი გამორჩეული წვლილისათვის საიას „ტოლერანტობის ქომაგის“ წოდება მიანიჭა. ასევე დაჯილდოვდნენ სხვები. თვალშისაცემი იყო ის ფაქტი, რომ ის „სხვები“ სინამდვილეში სულაც არ იყვნენ სხვები, არამედ ისინი საიას ყოფილი თანამშრომლები და მოქმედი წევრები არიან. ასეთი ფაქტები ბევრია... ძვირფასო წევრებო, ამით მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ მიუხედავად იმისა, თუ სად მოღვაწეობთ დღეს – არასამთავრობო თუ სახელმწიფო სექტორში, საიას მიზნების მიღწევის გზაზე თქვენს წვლილს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ვფიქრობ, ბევრი რამის გაკეთება შეეძლებოდა. რაც მთავარია, წელს ჩვენმა საქმიანობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საიას ღირებულებები ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად არ იცვლება და რომ ჩვენთვის ყველაზე ძვირფასია ის სიტყვები, რომლებიც ორგანიზაციის დაფუძნების დღიდან ჩვენს საქმიანობას გამორჩეულს ხდის – კანონის უზენაესობა და სამართლიანობა, ობიექტურობა და მიუკერძოებლობა, პროფესიონალიზმი, გამბედაობა, უფლებისათვის ბრძოლა... წლების განმავლობაში ამ სიტყვების ყოველდღიურ საქმიანობაში დანერგვამ მოიტანა შედეგად ის, რომ წელს საიას წილად ხვდა ქართული უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების არსებობის ისტორიაში ყველაზე შთამბეჭდავი აღიარება. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ეგიდით ჩატარდა ვასლავ ჰაველის სახელობის კონკურსი, რომელიც ადამიანის უფლებათა სფეროში მოღვაწე განსაკუთრებული დამსახურების მქონე პირის ან ორგანიზაციის გამოვლენას ისახავდა მიზნად. ამ კონკურსში, სადაც უფლებადამცველებს ფაქტობრივად მთელი მსოფლიოს მასშტაბით შეეძლოთ მონაწილეობის მიღება, საიას ორ სხვა კონკურსსაგან ერთად ფინალისტად დასახელდა. ეს მიღწევა ყველა იმ ადამიანის დამსახურებაა, ვინც დაფუძნებიდან დღემდე თავისი წვლილი შეიტანა ორგანიზაციის წარმატებულ საქმიანობაში.

იდეალური და სრულყოფილი არაფერია და, ცხადია, ალბათ ჩვენს საქმიანობაშიც იყო ხარვეზები.

დასასრულ, კიდევ ერთი სიმბოლური და საინტერესო ამბავი მინდა გიამბოთ. ჩვენ საადვოკატო დახმარებას ვუწევდით ერთ პირს. დიდი მცდელობის მიუხედავად, სასამართლოში საქმე წავაგეთ, მაგრამ ბენეფიციარი, რომელსაც, როგორც თავად აღნიშნა, სხვა ქვეყანაში არაერთხელ უსარგებლია ძვირადღირებული იურიდიული ფირმების მომსახურებით, იმდენად მოიხიბლა საიას დახმარებით, რომ დავის დასრულებიდან რამდენიმე დღეში დააფუძნა კომერციული იურიდიული პირი, რომლის წესდებაშიც მიეთითა, რომ დივიდენდის 7% შემონიშნულობის სახით საიას გადაეცემა. არ ვიცი, ეს რა თანხასთან იქნება დაკავშირებული, მაგრამ ამ ფაქტს სიმბოლური დატვირთვა უფრო აქვს – ნაგებული საქმის შემდეგ მადლიერების ასეთი ფორმით გამოხატვა საინტერესო და სასიამოვნო ამბავია. ბენეფიციარის ამგვარი აღფრთოვანების უკან დგას საიას ადვოკატის შემართება და სასამართლო დოკუმენტების წერაში გათენებული ლამეები (ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით).

მსურს, განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა საიას თანამშრომლებს იმ თავდაუზოგავი შრომისთვის, რაც არასრული სახით წინამდებარე ანგარიშშია ასახული. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას ვისურვებ, არასოდეს მოკლებოდეს ენთუზიაზმითა და პროფესიული ღირსებით აღსავსე ადამიანები.

პატივისცემით,

კახა კოჟორიძე

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მისიის განაცხადი

2010 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საერთო კრებამ დაამტკიცა 2011-2014 წლების სტრატეგია და მომავალი 4 წლის სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც ორგანიზაცია განაგრძობს საქმიანობას საწესდებო მიზნებისა და სტრატეგიული ამოცანების შესასრულებლად.


წესდებისა და დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თბილისისა და 7 რეგიონული ოფისის მიერ განხორციელებული საქმიანობის 2013 წლის ანგარიშს (საანგარიშო პერიოდი 2012 წლის 1 ნოემბერი – 2013 წლის 1 ნოემბერი).

ანგარიშის სტრუქტურა, გასული წლების მსგავსად, 4 სტრატეგიულ ამოცანას ეფუძნება:

1. ადამიანის უფლებების დაცვა, დაცვის მექანიზმების განვითარება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დისკრიმინაციის ბარებზე
2. საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და კანონისადმი კავშირისთვის დამკვიდრება
3. ეფექტიანი, ანგარიშვალდებულებული და გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობა
4. კვალიფიციური, უწყვეტი იურიდიული განათლება და პროფესიის განვითარება

ჩვენი დევიზი

კანონის უზენაესობა სამართლიანობისათვის



ქდაიძის უფლებების დაცვა.
დასვის მემკვიდრის ხელშეწყობა
და ხელისაწვდომობის ხელშეწყობა
უზრუნველყოფა
დისკრიმინაციის ბარბე



ადამიანის უფლებების დაცვა, დასვის მქანოზმების ხელშეწყობა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ღისკრიმინაციის გარეშე

ადამიანის უფლებების დაცვა საიას უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ამოცანაა, რომელსაც ორგანიზაცია დაფუძნების დღიდან ახორციელებს. საია, თბილისისა და 7 რეგიონული ოფისის მეშვეობით, ყოველწლიურად ათასობით ადამიანს უწევს უფასო იურიდიულ დახმარებას. ორგანიზაცია, საკუთარი სტრატეგიისა და პროექტებიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ბენეფიციართა ისეთ ჯგუფებზე, როგორებიცაა დევნილები, სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, არასრულწლოვნები, ყურნალისტები, სანდაზმულები, პაციმრები, მიგრანტები, ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალები და ა.შ. ანუ საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც უფასო იურიდიული დახმარება ყველაზე მეტად სჭირდება. საკონსულტაციო თემატიკა არ არის შეზღუდული, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე შეუძლია უფასო იურიდიული კონსულტაციის მიღება.



საიას თბილისისა და 7 რეგიონული ოფისის მიერ, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ჯამში გაიცა 101935 იურიდიული კონსულტაცია.




საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, როგორც უფლებადამცველი ორგანიზაციის, იურიდიული დახმარებების თემატიკასა და სტატისტიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა, კერძოდ, 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებმა და არჩევნების შემდგომმა პერიოდმა. უამრავი მოქალაქე მოგვმართავდა იმ იმედით, რომ წლების განმავლობაში დარღვეული უფლების აღდგენის სამართლებრივი მექანიზმების თაობაზე შესაბამის ინფორმაციას მიიღებდა. მნიშვნელოვანი იყო კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენების გადასინჯვის საკითხი, ასევე, საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული თემატიკა, რომელიც სახელმწიფოს მიერ უკანონოდ, სხვადასხვა ფორმით ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას ეხებოდა.


იურიდიული კონსულტაციები და სამართლებრივი დოკუმენტები

საანგარიშო პერიოდში საიას თბილისის იურიდიული დახმარების ცენტრს მიმართა **22 556-მა** პირმა. ამ პერიოდში ცენტრის მიერ გაიცა სულ **31 865** სამართლებრივი კონსულტაცია, ხოლო მოქალაქეებისთვის შედგენილი იქნა **1 486** სხვადასხვა სახის სამართლებრივი დოკუმენტი.

კონსულტაციების რაოდენობა



კონსულტაციები თემატიკის მიხედვით





საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საიას რეგიონული ოფისები კვლავ განაგრძობდნენ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის იურიდიულ დახმარებას. რეგიონული ოფისების მიხედვით, ბენეფიციარებისთვის განეული იურიდიული დახმარების სტატისტიკა ასეთია:

რეგიონული ოფისები	სატელეფონო კონსულტაცია	პირადი კონსულტაცია	გასვლითი კონსულტაცია	მედია კონსულტაცია	სულ
ქუთაისი	6741	13163	2669	171	22744
გორი	2046	15280	3843	440	21609
რუსთავი	1830	2585	485	170	5070
ოზურგეთი	309	3278	995	177	4759
თელავი	209	1851	409	93	2562
აჭარა	2136	5941	858	647	9582
დუშეთი	455	1895	1315	79	3744

საიას რეგიონული ოფისების მიერ საანგარიშო პერიოდში სულ **70070 კონსულტაცია** გაიცა.

სამართლებრივი დოკუმენტები

რეგიონული ოფისები	აჭარა	ქუთაისი	გორი	რუსთავი	ოზურგეთი	თელავი	დუშეთი	სულ
დოკუმენტი	1825	1199	1262	541	600	229	181	5837

საიას რეგიონული ოფისების მიერ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტების საფუძველზე:

- დაკმაყოფილდა 248 განცხადება უფლების დამადასტურებელი საბუთის კუთვნილების ფაქტის დადგენის თაობაზე. უფლების დამადასტურებელ დოკუმენტებში არსებული უზუსტობების გამო, მოქალაქეები ვერ ახერხებდნენ საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციას, მემკვიდრეობის და კუთვნილი საპენსიო დანამატის მიღებას. ჩვენი დახმარებით მოქალაქეებმა დაირეგისტრირეს უძრავი ქონება საჯარო რეესტრში, შეძლეს მემკვიდრეობის მონმობის აღება და დაენიშნათ საპენსიო დანამატი.
- დაკმაყოფილდა 57 სარჩელი რეპრესირებულთათვის ფულადი კომპენსაციის ანაზღაურების შესახებ.
- დაკმაყოფილდა 65 განცხადება პირის ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ. მათ დაენიშნათ მეურვეები და შეძლეს პენსიის მიღება.
- ნლობით აუღებელი სახელფასო დავალიანება აუნაზღაურდა 46 მოქალაქეს.
- 105 ბავშვს დაენიშნა ალიმენტი.
- 67 მოქალაქეს დაუდგინდა ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს მიღების ფაქტი, რის შემდეგაც მათ შეძლეს სამკვიდრო მონმობების მიღება.

საადვოკატო მომსახურება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საიას იურიდიული დახმარების ცენტრები კვლავ ახორციელებდნენ უფასო საადვოკატო მომსახურებას სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის, დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.



საანგარიშო პერიოდში საიას თბილისის ოფისის წარმოებაში იყო 25 სისხლის, 67 ადმინისტრაციული და 28 სამოქალაქო სამართლის საქმე. ამჟამად თბილისის იურიდიული დახმარების ცენტრის წარმოებაშია:

- 14 სისხლის სამართლის საქმე
- 34 ადმინისტრაციული სამართლის საქმე
- 14 სამოქალაქო სამართლის საქმე

წარმომადგენლობა სასამართლოში და ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე (რეგიონული ოფისების მონაცემები)

რეგიონული ოფისები	გორი	ოზურგეთი	თელავი	ქუთაისი	რუსთავი	აჭარა	დუშეთი	სულ
საიას საქმეები	133	34	17	93	17	48	6	348
ადმინისტრაციული სამართალი	48	23	8	49	4	24	4	160
სისხლის სამართალი	19	9	2	14	4	9	0	57
სამოქალაქო სამართალი	66	2	7	30	9	15	2	131
წარმატებული საქმეები	72	6	6	24	6	14	4	132



წარმატებული საქმეები

საანგარიშო პერიოდში საიას თბილისისა და რეგიონული ოფისების ადვოკატების აქტიურობის შედეგად, წარმატებით დასრულდა სულ 155 საადვოკატო საქმე. საილუსტრაციოდ, წარმოგიდგინოთ ამ საქმეების ნაწილს.

ადმინისტრაციული სამართლის საქმეები

- **საიას თბილისის ოფისის** მიერ განეული სამართლებრივი დახმარების შედეგად, სასამართლოს გადაწყვეტილებით, თბილისში 2013 წლის 1 მაისს გამართულ აქციაზე დაკავებულ 6 პირს ადმინისტრაციული სახდელი არ დაეკისრა.
- **საიას თბილისის ოფისის** მიერ განეული სამართლებრივი დახმარების შედეგად, მოქალაქე ნ.ი, რომელიც თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა 10 000 ლარით დააჯარიმა, სრულად გათავისუფლდა ჯარიმის გადახდის ვალდებულებისგან.
- **საიას თბილისის ოფისის** მიერ განეული სამართლებრივი დახმარების შედეგად, სამ საქმეში რეპრესირებულთათვის ფულადი კომპენსაციის ანაზღაურების თაობაზე, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა საიას ბენეფიციარების მოთხოვნები და მათ მიეცათ ფულადი კომპენსაცია შესაბამისი 400, 500 და 1 100 ლარის ოდენობით.
- **საიას თბილისის ოფისის** მიერ განეული სამართლებრივი დახმარებით, ნ.ა, ა.ს. და მ.ზ. სასამართლოს მიერ აღდგენილ იქნენ იმავე თანამდებობებზე, რომლებიც გათავისუფლებამდე ეკავათ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრში“. ამ უკანასკნელს აღნიშნული პირების სასარგებლოდ, განაცდურის სახით, ჯამში 36 000 ლარზე მეტის გადახდა დაეკისრა.
- **საიას თბილისის ოფისის** ადვოკატი იცავდა ხ.მ-ს ინტერესებს სასამართლოში თბილისის მერიისა და საჯარო რეესტრის წინააღმდეგ ე.წ. ზედდებების საქმეში. მიუხედავად პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მიერ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა, უზენაეს სასამართლოში ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ჩვენი საკასაციო საჩივარი და მოპასუხეებს – როგორც თბილისის მერიას, ასევე, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს – დაევალა, საქმის გარემოებების სრულად გამოკვლევის საფუძველზე, ახალი აქტების გამოცემა ჩვენი ბენეფიციარის მიმართ.

უზენაესი სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება განსაკუთრებით საყურადღებოა, ვინაიდან სასამართლომ ამ გადაწყვეტილებით მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთა და განსხვავებული პრაქტიკა დაადგინა მსგავსი ტიპის დავებთან მიმართებით.

- **საიას ქუთაისის ფილიალის** დახმარებით, გ.ა-მ და ნ.ყ-მ მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, საქართველოს მთავარი პროკურატურისგან გ.ა. ზიანის ანაზღაურების სახით მიიღებს 2000 ლარს, ხოლო ნ.ყ. – 1000 ლარს.
- **საიას ქუთაისის ფილიალი** სასამართლოში იცავდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ყოფილი საჯარო მოსამსახურეების (სულ 11 პირი) ინტერესებს, რომლებიც ამავე მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით უკანონოდ გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ყოფილი 11 საჯარო მოსამსახურის სარჩელი მათი გათავისუფლების ბრძანებების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენის და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე. გადაწყვეტილებები გადაეცა დაუყონებლივ აღსასრულებლად.

- **საიას გორის ოფისის** დახმარებით, სასამართლომ დააკმაყოფილა ოჯახური ძალადობის მსხვერპლის – ნ.ო-ს განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე. გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოძალადეს აეკრძალა მსხვერპლის მიმართ სიტყვიერი, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა. საიას დახმარებით, დედა და შვილები გადაყვანილ იქნენ ოჯახში ძალადობისაგან დაცვის მსხვერპლთა თავშესაფარში.
- მოქალაქე ვ.მ. შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს თანამშრომელმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის შესაბამისად დააჯარიმა (სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში). ვ.მ-მ ალკოჰოლური თრობის ფაქტის დასადაგენად დროულად ჩაიტარა დამოუკიდებელი ექსპერტიზა. ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ იგი ფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. **საიას თელავის ოფისის** დახმარებით, ვ.მ-მ საჩივრით მიმართა თელავის რაიონულ სასამართლოს აღნიშნული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ბათილად ცნობის მოთხოვნით, რაც დაკმაყოფილდა და იგი გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან.
- **საიას რუსთავის ოფისი** სასამართლოში იცავდა დ.ქ-ს ინტერესებს, რომელზეც შვილი მ.ქ. და რძალი თ.ი. სიტყვიერ, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზენოლას ახორციელებდნენ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა ოჯახური ძალადობის მსხვერპლის დ.ქ-ს განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე და მოძალადეებს აეკრძალათ მსხვერპლის მიმართ სიტყვიერი, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა.
- თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნიკურ პერსონალს (სულ 4 პირი) სოციალური მომსახურების სააგენტოს თელავის განყოფილებამ უარი უთხრა სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე იმ საფუძველით, თითქოს ისინი საჯარო საქმიანობას ახორციელებდნენ და, „სახელმწიფო პენსიის შესახებ საქართველოს კანონის“ თანახმად, პენსიის მიღების უფლება არ წარმოეშობოდათ. **საიას თელავის ოფისის** დახმარებით, მათ ადმინისტრაციული საჩივრებით მიმართეს სოციალური მომსახურების სააგენტოს, რაც დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი სოციალური მომსახურების სააგენტოს თელავის რაიონული განყოფილების ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები. ამასთან, აღნიშნულ უწყებას დაევალა ლ.ჭ-ს, ე.რ-ს, ნ.ბ-სა და ნ.გ-სთვის სახელმწიფო პენსიის დანიშვნა და განაცდური პენსიის ანაზღაურება.
- **საიას დუშეთის ოფისის** დახმარებით, თ.გ-მ საჩივრით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა რეგისტრაციის შეჩერების შესახებ დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. თ.გ-ს წარდგენილი ჰქონდა საარქივო ცნობა, რომელიც საჯარო რეესტრის დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურმა მარეგისტრირებელ დოკუმენტად არ მიიჩნია. ადმინისტრაციული საჩივარი დაკმაყოფილდა, რის შედეგადაც, საარქივო ცნობის საფუძველზე, თ.გ-მ საჯარო რეესტრში დაირეგისტრირა უძრავი ქონება.
- **საიას გორის ოფისი** სასამართლოში იცავდა იძულებით გადაადგილებულ ბ.ნ-ს და ე.ო-ს, რომლებიც რუსეთ-საქართველოს ომის დროს იძულებულნი გახდნენ, დაეტოვებინათ თავიანთი საცხოვრებელი სახლები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ უარი უთხრა დევნილის სტატუსის მინიჭებაზე. სასამართლო გადაწყვეტილებით, მათი სარჩელი დაკმაყოფილდა და ბ.ნ-ს და ე.ო-ს მიენიჭა დევნილის სტატუსი. ამასთან, სამინისტროს მიერ მათ მიიღეს წერილობითი დაპირება თავშესაფრით უზრუნველყოფის შესახებ.

- ტელეკომპანია „მე-9 არხის“ ოპერატორ ლ.რ-ს მიმართ შედგენილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო და მას ჩამოერთვა ავტომანქანის მართვის უფლება 2 წლის ვადით. 2012 წლის 28 ნოემბერს ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება აღნიშნულ საქმეზე და, **საიას ოზურგეთის ოფისის** დახმარებით, ლ.რ. გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან.
- **საიას აჭარის ფილიალი** სასამართლოში წარმოადგენდა მოქალაქე ჰ.ა-ს ინტერესებს. იგი ვერ ახერხებდა სამკვიდრო ქონების მიღებას, რადგან საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მამკვიდრებლის ქონებრივი უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი არ გასცა და მიუთითა, რომ სამკვიდრო ქონებაზე ტექნიურს არქივში ამგვარი ინფორმაცია დაცული არ იყო. საიას აჭარის ფილიალის დახმარებით, მამკვიდრებელმა ქონებრივი უფლების აღდგენის მოთხოვნით, აღიარებითი სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს. სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა. სამკვიდრო ქონება აღირიცხა მამკვიდრებლის ჰ.ა-ს სახელზე და ტექნიურს მონაცემები უკვე წარდგენილია ნოტარიუსთან სამკვიდრო მონმობის გასაცემად.



სამოქალაქო საპართლის საქმეები

- **საიას თბილისის ოფისის იურიდიული დახმარების ცენტრი** მოსარჩელე რ.ჟ-ს სასარგებლოდ აწარმოებდა სამოქალაქო საქმეს თბილისის საქალაქო სასამართლოში, სახელფასო დავალიანების ანაზღაურებასთან დაკავშირებით. საბოლოოდ, საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი და მოპასუხეს, საიას ბენეფიციარის სასარგებლოდ, დააკისრა 1969 ლარის გადახდა.
- **საიას თბილისის ოფისის იურიდიული დახმარების ცენტრის** მეშვეობით მოქალაქე ჯ.ტ-ს უძრავი ქონება გათავისუფლდა სანივთო ვალდებულებისგან და მოეხსნა 10000 აშშ დოლარის სესხის უზრუნველყოფის მიზნით დადებული იპოთეკა.
- **საიას თბილისის ოფისის იურიდიული დახმარების ცენტრი** იცავდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ინტერესებს, რომელიც ითხოვდა საწარმოო ტრავმით მიღებული ზიანის ანაზღაურებას. სასამართლომ მოპასუხე საწარმოს, საიას ბენეფიციარის სასარგებლოდ, დააკისრა ზიანის ანაზღაურების სახით 7200 ლარის ოდენობით კომპენსაციისა და, ასევე, 2011 წლის აგვისტოდან ყოველთვიურად, მოსარჩელის სიცოცხლის ბოლომდე, 200 ლარის ოდენობით სარჩოს გადახდა.
- **საიას ქუთაისის ფილიალი** სასამართლოში იცავდა სამსახურიდან გათავისუფლებული პედაგოგის ე.ა-ს ინტერესებს. სასამართლომ სრულად გაიზიარა დაცვის მხარის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი



პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი დამსაქმებელს არ ანიჭებს შეუზღუდავ უფლებას, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე მოშალოს შრომითი ხელშეკრულება დასაქმებულთან. შესაბამისად, მისი გათავისუფლება მიიჩნია უკანონოდ და აღადგინა თანამდებობაზე.

- მოქალაქეები ლ.ვ. ვ.ბ. და ვ.პ. ვერ იღებდნენ სამკვიდრო მონმობას, რადგან გაშვებული ჰქონდათ სამკვიდროს მიღების კანონით დადგენილი ვადა. **საიას დუშეთის ოფისის** დახმარებით, მათ განცხადებით მიმართეს მცხეთის რაიონულ სასამართლოს, რომლის გადაწყვეტილებით, საიას ბენეფიციარებს დაუდგინდათ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი – მემკვიდრეობის მიღება და, შედეგად, მათ შეძლეს სამკვიდრო მონმობების მიღება.
- **საიას გორის ოფისი** სასამართლოში წარმოადგენდა მ.ა-ს ინტერესებს, რომელიც გორის რაიონის სოფელ ტინისხიდის საჯარო სკოლაში მუშაობდა დირექტორის მოადგილედ და, ამავე სკოლის დირექტორის ბრძანებით, შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მ.ა-ს სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი სსიპ გორის რაიონის სოფელ ტინისხიდის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება, მ.ა. აღდგენილ იქნა სკოლის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე და მას აუნაზღაურდება იძულებით განაცდური ხელფასი.
- **საიას ქუთაისის ფილიალის** დახმარებით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით, სრულად დაკმაყოფილდა ვ.ბ-ს სარჩელი და მას განესაზღვრა არასრულწლოვან შვილებთან ურთიერთობის დღეები.
- **საიას აჭარის ფილიალის** ადვოკატები სასამართლოში იცავდნენ მოქალაქეთა ინტერესებს (სულ 86 პირი), რომლებიც ჩარიცხულ იქნენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მაგრამ სწავლის საფასურის გადახდის შეუძლებლობის გამო, სასწავლო წლის დაწყებისთანავე უარი განაცხადეს სწავლის გაგრძელებაზე. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტმა სარჩელი აღძრა და მოითხოვა მათთვის სწავლის გადასახადის დაკისრება. როგორც ბათუმის, ასევე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მოსარჩელეს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.
- **საიას ქუთაისის ფილიალის** დახმარებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო პალატის გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა მ.კ-ს სარჩელი და მოპასუხეებს ი.ბ-სა და ო.ა-ს სოლიდარულად დაეკისრათ დანაშაულებრივი გზით მიყენებული ზიანის ანაზღაურება 8100 ლარის ოდენობით.

- **საიას დუშეთის ოფისის** დახმარებით, დაკმაყოფილდა მოსარჩელების ნ.ლ-ს და მ.ბ-ს სარჩელები. მათ განესაზღვრათ თავიანთი არასრულწლოვანი შვილების ნახვის დღეები და მიეცათ მათთან ურთიერთობის შესაძლებლობა.
- **საიას რუსთავის ოფისის** დახმარებით, დაკმაყოფილდა ოჯახური ძალადობის მსხვერპლის – დ.ქ-ს სარჩელი და იგი ცნობილ იქნა სადავო ბინის 1/2 წილის თანამესაკუთრედ.

სისხლის სამართლის საქმეები

- **საიას თბილისის ოფისის** დახმარებით, ბრალდებულები გ.ს და ლ.ს, რომლებსაც ბრალი ედებოდათ სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რომელიც გულისხმობს პოლიციის მუშაკის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ წინააღმდეგობას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, უდანაშაულოდ იქნენ ცნობილი.



- **საიას თბილისის ოფისის** ადვოკატი იცავდა პატიმრობაში მყოფი დ.ხ-ს ინტერესებს, რომელსაც ბრალი ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-178-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რაც გულისხმობს ძარცვის მცდელობას, ჩადენილ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ. საქმის არსებითი განხილვის დროს სასამართლომ გაიზიარა დაცვის მხარის არგუმენტები და დ.ხ. უდანაშაულოდ ცნო წარდგენილ ბრალდებაში. ამასთან, მისი ქმედება გადააკვალიფიცირა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით (მუქარა), სასჯელის სახედ კი შეუფარდა ჯარიმა 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით, რაც, კანონმდებლობის თანახმად, პატიმრობაში გატარებული ვადის გათვალისწინებით, ჩაუთვალა მოხდილად და სასამართლომ დ.ხ. სხდომის დარბაზიდან გაათავისუფლა.
- **საიას ქუთაისის ფილიალის** დახმარებით, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ხონის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე გ.გ. 2013 წლის 28 ივნისის განაჩენით უდანაშაულოდ ცნო და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა. გ.გ-ს ბრალად ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. სასამართლომ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია და დადგენილად მიიჩნია, რომ გამოკვლეული მტკიცებულებები არ იყო საკმარისი წარდგენილი ბრალდების დასადასტურებლად.

- **საიას გორის ოფისი** საგამოძიებო ორგანოებში იცავდა მოქალაქე რ.ც-ს ინტერესებს, რომლის მიმართ შიდა ქართლის სამხედრო პოლიციაში მიმდინარეობდა გამოძიება სამხედრო ნაწილის თვითნებურად დატოვების ფაქტზე. საიას ადვოკატის მოთხოვნით, მას სამხედრო ჰოსპიტალში ჩაუტარდა სამედიცინო შემოწმება, რის შედეგადაც დადგინდა, რომ რ.ც. არ იყო ვარგისი სამხედრო-სავალდებულო სამსახურისთვის. შედეგად, იგი გათავისუფლდა სამხედრო-სავალდებულო სამსახურიდან და მის მიმართ შეწყდა სისხლის სამართლის საქმე.
- **საიას ოზურგეთის ოფისი** სასამართლოში იცავდა მ.ც-ს ინტერესებს, რომელსაც ბრალი ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა ან შენახვა) ჩადენაში. 2013 წლის 21 იანვარს ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებულ მ.ც-ს მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყვიტა.
- **საიას ქუთაისის ფილიალი** იცავდა მ.მ-ს, გ.ა-ს და ნ.ყ-ს ინტერესებს, რომლებიც დაკავებულ იქნენ 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე და ბრალი ედებოდათ სისხლის სამართლის კოდექსის 164-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (ამომრჩევლის მოსყიდვა) ჩადენაში. საიას ადვოკატების დახმარებით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 27 ნოემბრის განჩინებით, ბრალდებულების მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის გამო.

სტრატეგიული სამართალწარმოება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში

საანგარიშო პერიოდში ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მიმართვის პროცედურებთან, საჩივრის მომზადებასა და ევროპული კონვენციის ცალკეული მუხლების დარღვევებთან დაკავშირებით, საიამ კონსულტაცია გაუწია 156 მოქალაქეს. ევროპულ სასამართლოში საიამ წარადგინა 3 საჩივარი და დამატებითი არგუმენტაციები წინა პერიოდში საიას მიერ წარდგენილ ერთ-ერთ საჩივართან მიმართებით. საანგარიშო პერიოდში ორი საქმე დასრულდა წარმატებით.





1. ბოქუჩავა საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი №64388/12)

მომჩივანი არის იძულებით გადაადგილებული პირი აფხაზეთიდან. იგი 2011 წელს სახელმწიფომ გამოასახლა თბილისში მდებარე დროებითი თავშესაფრიდან და განასახლა საქართველოს სხვა რეგიონში, კერძოდ, სოფელ ფოცხო-ენერში დევნილებისთვის სპეციალურად აშენებულ საცხოვრისში. მოცემულ საქმეში მომჩივანი ამტკიცებს ევროპული კონვენციის მე-3 (წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა), მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) და კონვენციის აღნიშნულ მუხლებთან მიმართებით კონვენციის მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლის დარღვევას. მომჩივანი, დევნილობისა და შეზღუდული შესაძლებლობის გამო, დაუცველ პირთა ჯგუფს მიეკუთვნება. სახელმწიფომ კი, იგი სოფელ ფოცხო-ენერში ისე განასახლა, რომ არ გაითვალისწინა მისი სპეციალური საჭიროებები და მოუსპო უწყვეტი და ხელმისაწვდომი ფსიქიატრიული მომსახურების მიღების შესაძლებლობა.

2. სალუქვაძე საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი №81399/12)

მომჩივანი იყო ოპოზიციური მოძრაობის, სახალხო კრების აქტივისტი. მონაწილეობდა 2011 წლის მაისში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში – ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ საპროტესტო აქციებში. გ.სალუქვაძე მსჯავრდებულ იქნა პოლიციისადმი დაუმორჩილებლობის მუხლით და სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით. სისხლის სამართლის საქმეში არის არაერთი პროცესუალური დარღვევა და მტკიცებულებები, რომლებიც მომჩივნის სასარგებლოდ მეტყველებს, თუმცა, დაუსაბუთებლად არ იქნა გაზიარებული ეროვნული სასამართლოების მიერ. საქმის გარემოებებიდან იკვეთება, რომ მისი დაკავება განპირობებული იყო პოლიტიკური მოტივებით. ევროპულ სასამართლოში საქმე წარდგენილ იქნა კონვენციის მე-6 (სამართლიანი სასამართლო), მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) და მე-18 მუხლების (უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები) დარღვევის აღიარების მოთხოვნით.

3. ბაქრაძე საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი №73238/12)

ე. ბაქრაძე 2011 წელს გათავისუფლებული იქნა საჯარო სკოლის პედაგოგის თანამდებობიდან, სკოლის დირექტორის მიერ მისთვის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველზე, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. აღნიშნულ ფაქტს მომჩივანი ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიასთან (დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო) მისი კავშირით ხსნიდა.

მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არსებობდა მტკიცებულებები, რომლებზე დაყრდნობით მომჩივანი აცხადებდა, რომ ის იყო დისკრიმინაციის მსხვერპლი და პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლეს სამსახურიდან, ეროვნულმა სასამართლოებმა აღნიშნული არგუმენტები შეფასების მიღმა დატოვეს. აღსანიშნავია, რომ წლების მანძილზე პოლიტიკური ნიშნით დევნას ექვემდებარებოდნენ მომჩივნის ოჯახის წევრებიც. მის ძმაზე – ვ.ბაქრაძეზე 2009 წლის აპრილში განხორციელდა შეიარაღებული თავდასხმა, რის თაობაზეც მასალები საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში მოიპოვება. ევროპულ სასამართლოში გასაჩივრდა მომჩივნის მიმართ კონვენციის მე-6 (სამართლიანი სასამართლო), მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) და კონვენციის აღნიშნულ მუხლებთან მიმართებით კონვენციის მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლის დარღვევა, ასევე, კონვენციის მე-11 (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება) მუხლისა და №12 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის (დისკრიმინაციის საერთო აკრძალვა) დარღვევა.

კომუნიკაციური საქმეები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ევროპულმა სასამართლომ საიას მიერ სხვადასხვა პერიოდში წარდგენილი შემდეგი საჩივრების შესახებ აცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს:

1. გამცემლიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი №2228/10)
2. ეგიზარიანი საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი №40085/09)
3. შავლობოვა საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი №4800/10)
4. ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი №50375/07)
5. ძებნიაური საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი №67813/11)

საქმეებზე – გამცემლიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ და ვაზაგაშვილი საქართველოს წინააღმდეგ – ევროპულ სასამართლოში გაიგზავნა წერილობითი შეპასუხება მთავრობის მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებზე.

წარმატებული საქმეები

1. ზ. საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი №44706/10)

მომჩივნის სახელით მოცემულ საჩივარში ვდავობდით, რომ პატიმრობის არასათანადო პირობებისა და არასათანადო სამედიცინო მომსახურების გამო, სასჯელის მოხდის პერიოდში მომჩივანი დაინფიცირდა განუკურნებელი და სიცოცხლისათვის საშიში დაავადებებით: აივ ინფექცია – C3 კატეგორია, ტუბერკულოზი, ქრონიკული C ჰეპატიტი და ქრონიკული ანთებითი მადემიელინოზირებელი პოლინეიროპათია. აღნიშნული მძიმე დაავადებების მიუხედავად, სახელმწიფომ არ დააკმაყოფილა მომჩივნის მოთხოვნა სასჯელის მოხდისაგან მისი გათავისუფლების თაობაზე. წარდგენილ საჩივარში მომჩივანი მის მიმართ ევროპული კონვენციის მე-3 (წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა) და მე-13 (უფლება დაცვის ეფექტურ საშუალებაზე) მუხლების დარღვევის თაობაზე დავობდა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და მომჩივანს შორის მიღწეულ იქნა მეგობრული მორიგება. შედეგად, 2013 წლის 12 ივნისს ევროპულმა სასამართლომ აღნიშნული საქმე განსახილველ საქმეთა სიიდან ამოიღო. მეგობრული მორიგების საფუძველზე, სახელმწიფომ მომჩივანს 4500 ევრო გადაუხადა პატიმრობის პირობებში არასათანადო მკურნალობის გამო მიყენებული ზიანისათვის.

2. ოყროშიძეები საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი №60596/09)

2012 წლის 18 დეკემბერს შედგა მეგობრული მორიგება საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და მომჩივნებს შორის. მორიგების პირობების თანახმად, მთავრობამ აღიარა, რომ სამოქალაქო კოდექსში არსებულმა ხარვეზებმა მომჩივნებს არ მისცა კონვენციის მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) მუხლით გათვალისწინებული უფლებებით სრულად სარგებლობის საშუალება და მომჩივნებს 3000 ევრო გადაუხადა. მორიგებით ასევე გადაწყდა თავდაპირველი სამოქალაქო სამართალწარმოების განახლება.

მორიგების შემდეგ სამოქალაქო სამართალწარმოება განახლდა თბილისის საქალაქო სასამართლოში, სადაც მომჩივნების ინტერესებს საიას ადვოკატი წარმოადგენდა. მოსარჩელები ითხოვდნენ: 1. მამობის დადგენას; 2. ალიმენტის დაკისრებას საქმისწარმოების დაწყების დღიდან, კერძოდ, 2008 წლის 28 იანვრიდან და 3. მეორე მომჩივნისთვის გვარის მინიჭებას. საქალაქო სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნა. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხე მხარემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. ამ ეტაპზე დავის განხილვა მიმდინარეობს სააპელაციო სასამართლოში, სადაც მოსარჩელეთა ინტერესებს საიას ადვოკატი იცავს.





2008 წლის აგვისტოს კონსტიტუტთან დაკავშირებული საქმეები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის (EHRAC) და საიას ერთობლივი პროექტის ფარგლებში, კვლავ გრძელდებოდა კომუნიკაცია 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაზარალებულ პირთა სახელით რუსეთის პროკურატურასთან შიდა სამართლებრივი საშუალებების ამონურვის კუთხით.

წარმატებული საქმეები

საიასა და რუსეთის სამართლებრივი ინიციატივის (RII) ერთობლივი პროექტის ფარგლებში, 2009 და 2010 წლებში ევროპულ სასამართლოში წარდგენილ ორ საჩივართან მიმართებით, რომლებიც შეეხება 2008 წლის ომის დროს და მას შემდეგ ქართველი სამართალდამცავების მიერ ეთნიკურად ოსი პირების უკანონო დაკავებისა და მათთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის ფაქტებს (**კაზიევი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ** (საჩივარი №50127/09) და **ტეხოვი და ტეხოვი საქართველოს წინააღმდეგ** (საჩივარი №37526/10)), მიღწეულ იქნა მორიგება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მომჩივნებს შორის. 2013 წლის 26 ივნისის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო ვალდებულია, თითოეულ მოსარჩელეს გადაუხადოს ერთჯერადი კომპენსაცია 12 000 ლარის ოდენობით იმ ზიანისთვის, რაც მათ უკანონო პატიმრობის შედეგად მიადგათ. ამჟამად მიმდინარეობს განჩინების აღსრულების პროცესი.

სტრატეგიული სამართალწარმოება საკონსტიტუციო სასამართლოში

საიამ საკონსტიტუციო სასამართლოში 5 ახალი სარჩელი და 1 „სასამართლოს მეგობრის“ წერილობითი მოსაზრება წარადგინა. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა საიას 3 სარჩელი. 1 სარჩელი არ დაკმაყოფილდა, თუმცა, ამ საქმეზე სასამართლომ მნიშვნელოვანი სამართლებრივი განმარტებები გააკეთა.



1. ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2013 წლის 21 ივნისს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა ადვოკატმა ილია ჭანტურაიამ. სარჩელი ეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმ ნორმის კონსტიტუციურობას, რომელიც ითვალისწინებს პროცესის მონაწილის დაჯარიმებას სასამართლოს უპატივცემლობისთვის, დაჯარიმებული პირისათვის საკუთარი თავის დასაცავად მოსაზრებების წარდგენის, მისი წინასწარი გაფრთხილების და დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობის მიცემის გარეშე. საიას მიაჩნია, რომ აღნიშნული მუხლი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ (სამართლიანი სასამართლოს უფლება) და მესამე (დაცვის უფლება) პუნქტებს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საიამ გასულ წელს, ადვოკატების – მაია ხუციშვილისა და ვლადიმერ სანიკიძის სახელით, სარჩელი წარადგინა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ანალოგიური ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე. ეს უკანასკნელი სარჩელი უკვე მიიღო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად.

2. იური ვაზაგაშვილი საქართველოს კარლამენცის წინააღმდეგ

საიამ იური ვაზაგაშვილის სახელით კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. სარჩელი ეხება „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის იმ ნორმების კონსტიტუციურობას, რომელიც კრძალავს გარდაცვლილი პირის არაქონებრივ უფლებებთან დაკავშირებით სასამართლოში დავას. საიას მიაჩნია, რომ სადავო ნორმა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით აღიარებულ პიროვნული განვითარებისა და მე-17 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობას.

3. ლევან სიგუა საქართველოს კარლამენცის წინააღმდეგ

2013 წლის 7 აგვისტოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა ყოფილმა საჯარო მოხელემ ლევან სიგუამ. სარჩელი ეხება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის იმ დებულებებს, რომლებიც ითვალისწინებს მოხელის დისციპლინური წესით სამსახურიდან გათავისუფლების შესაძლებლობას ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გარეშე. ეს უკანასკნელი პროცედურა დისციპლინურ პასუხისგებაში მყოფ საჯარო მოხელეს აღჭურავდა იმ მოწმის ჯვარედინი დაკითხვის შესაძლებლობით, რომელმაც მის წინააღმდეგ მისცა ჩვენება. ვინაიდან მოხელე სამსახურიდან გათავისუფლებისას ვერ სარგებლობს დაცვის ეფექტური შესაძლებლობით, გასაჩივრებული ნორმები წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტთან (დაცვის უფლება).

4. სამაუნყებლო კომპანია „მეცხრე ტალღა“ საქართველოს კარლამენცის წინააღმდეგ

საიამ სამაუნყებლო კომპანია „მეცხრე ტალღის“ სახელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვა საარჩევნო კოდექსის, ასევე, „მაუნყებლობის შესახებ“ კანონის იმ ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა, რომლებიც საერთო მაუნყებლებს ავალდებულებს წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას თითოეული კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტისთვის სამ საათში ერთხელ 90 წამიანი უფასო საეთერო დროის გამოყოფას პოლიტიკური რეკლამის განთავსებისათვის. საიას აზრით, ეს ვალდებულება მძიმე ფინანსურ ტვირთს აკისრებს კომერციულ მაუნყებლებს და უბიძგებს მას, საარჩევნო პერიოდში შეწყვიტოს მაუნყებლობა. საიას აზრით, სადავო ნორმები არღვევს როგორც საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით გარანტირებულ სიტყვისა და მედიის თავისუფლებას, ისე კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცულ საკუთრების უფლებას.

5. რევაზ კოპალიანი საქართველოს კარლამენცის წინააღმდეგ

საიამ 2013 წლის 1 მაისს ადმინისტრაციული წესით დაკავებული რევაზ კოპალიანის სახელით კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის იმ ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა, რომლებიც ითვალისწინებს 12 საათის განმავლობაში დაკავებული პირის საპატიმრო დაწესებულებაში დატოვებას იმ მიზეზების განმარტების გარეშე, რის გამოც მოხდა მისი დაკავება. საია ასევე ასაჩივრებს კანონმდებლობით სამართალდამცავი ორგანოს შენობაში პირის ყოფნის დროის განუსაზღვრელობას, სახალხო რაზმეულის შესაძლებლობას, თავის შტაბში 1 საათზე მეტხანს ამყოფოს პირი. საია დაცვის უფლებასთან შეუთავსებლად მიიჩნევს წვრილმანი ხულიგნობისა და სხვა სამართალდარღვევის საქმეების განსახილველად ისეთი შემჭიდროებული ვადის განსაზღვრას, როგორცაა – სასამართლოში სამართალდარღვევის ოქმის შესვლიდან 24 საათი.





წარმატებული საქმეები

1. თამარ ჩუბოშვილი და საია საქართველოს კარლამენცის წინააღმდეგ

2012 წლის 24 აგვისტოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საიას სარჩელი დააკმაყოფილა და არაკონსტიტუციურად ცნო „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონის ის ნორმა, რომელიც სამართალდამცავ ორგანოებს დახურული ინტერნეტ-ურთიერთობების დაკვირვების შესაძლებლობას აძლევდა. სადავო ნორმა არ ითვალისწინებდა დახურულ ინტერნეტ-ურთიერთობაზე ფარული დაკვირვებისათვის არც გადაუდებელი აუცილებლობის ვითარებას, არც სასამართლოს ბრძანების არსებობას.

2. მარიანა კიკუ საქართველოს კარლამენცის წინააღმდეგ

2012 წლის 14 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების გარეშე, დააკმაყოფილა მოლდოვას მოქალაქის მარიანა კიკუს კონსტიტუციური სარჩელი, რომელიც ეხებოდა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის შეკრებისა და მანიფესტაციების ორგანიზებასა და ჩატარებაზე პასუხისმგებელ პირად ყოფნის აკრძალვას. საიას მიაჩნდა, რომ სადავო ნორმა არსებითად იმეორებდა 2011 წლის 11 აპრილს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის შინაარსს. მოპასუხემ აღიარა საიას სარჩელი (თუმცა, ეს არ იწვევს სამართალწარმოების შეწყვეტას). სასამართლომ გაიზიარა საიას პოზიცია და სარჩელი დააკმაყოფილა არსებითი განხილვის გარეშე.

3. ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს კარლამენცის წინააღმდეგ

2013 წლის 11 ივნისს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა ტრისტან მამაგულაშვილის სარჩელი. სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო „ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონის ის ნორმა, რომელიც დევნილის სტატუსის მინიჭებას მხოლოდ ოკუპირებული ტერიტორიებიდან (აფხაზეთი და ყოფილი სამხრეთ ოსეთი) გამოდევნილი პირებისთვის ითვალისწინებდა. კანონი არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებდა გორის და ქარელის მუნიციპალიტეტების იმ მაცხოვრებლებს, რომლებიც ვერ ბრუნდებოდნენ მათ საცხოვრებელ სახლებში რუსი ოკუპანტებისაგან მომდინარე საფრთხის გამო, თუმცა, ვერც დევნილის სტატუსს იღებდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ მათი საცხოვრებელი ადგილი არ ექცეოდა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზღვრებში. საკონსტიტუციო გადაწყვეტილების შედეგად, ყველა ის პირი, რომელთა საცხოვრებელი სახლებიც არ ექცევა ოკუპირებული ტერიტორიების ფარგლებში, თუმცა, რეალურად, საქართველოს ხელისუფლება ეფექტურ კონტროლს ვერ ახორციელებს, მიიღებს დევნილის სტატუსს.

საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტება

ღავით მიხეილ შუბლაძე საქართველოს კარლამენცის წინააღმდეგ

2013 წლის 11 აპრილს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ღავით მიხეილ შუბლაძის სარჩელი, რომლითაც საია მოითხოვდა პოლიციის შესახებ კანონით გათვალისწინებული შეჩერებისა და ზედაპირული შემოწმების არაკონსტიტუციურად ცნობას. „გონივრული ეჭვი“ წარმოადგენს ადამიანის შეჩერებისა და ზედაპირული შემოწმების ჩატარების საფუძველს. საია პრობლემურად მიიჩნევდა იმას, რომ კანონი არ განმარტავდა, თუ რას ნიშნავდა გონივრული ეჭვი. საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა საიას წუხილი და თავად განმარტა გონივრული ეჭვის

შინაარსი სარჩელის დაკმაყოფილების გარეშე. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, გონივრული ეჭვის წარმოქმნა ისეთ ფაქტს, გარემოებას ან მათ ერთობლიობას უნდა ემყარებოდეს, რომელიც ობიექტურ დამკვირვებელს ეჭვის წარმოქმნის საფუძვლიანობაში დაარწმუნებს. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული განმარტება ხელს შეუწყობს სადავო ნორმის სწორ გამოყენებას.



„სასამართლოს მეგობარი“

საარჩევნო კოდექსი


2013 წლის 21 ივნისს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ „სასამართლოს მეგობრის“ წერილობითი მოსაზრება წარადგინა საქმეზე „*ურა ნანუაშვილი და მიხეილ შარაშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*“. საქმე შეეხება საარჩევნო კოდექსის იმ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიც ითვალისწინებს ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების შექმნას ქვეყნის მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების საზღვრებში. საარჩევნო ოლქების შექმნის ეს მეთოდი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 (თანასწორობის უფლება) და 28-ე მუხლებს (საარჩევნო უფლება), ვინაიდან არათანაბარი რაოდენობის მოსახლეობა ერთსა და იმავე რაოდენობის, ანუ თითო-თითო დეპუტატს ირჩევს.




სტრატეგიული სამართალწარმოება ქართული მედიის სამართლებრივი დასვის სენტრის ფარგლებში

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს ჟურნალისტთა უფლებების დაცვა წარმოადგენდა. საანგარიშო პერიოდში მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრმა და მედიის პროექტის ფარგლებში საიას რეგიონულმა ოფისებმა ჟურნალისტებს და მედია საშუალებებს გაუწიეს 2543 იურიდიული კონსულტაცია.

საანგარიშო პერიოდში გაწეული კონსულტაციები მრავალფეროვანია:



საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მომზადდა 184 დოკუმენტი. მათი კლასიფიკაცია შემდეგნაირია:



საანგარიშო პერიოდში საადვოკატო წარმოება განხორციელდა 29 საქმეზე. აქედან, წარმატებით დასრულდა 8 საქმე, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 4 საქმე, 12 საქმე მიმდინარეა, დანარჩენი 5 საქმიდან ერთი არ დაკმაყოფილდა, დანარჩენზე კი შეწყდა წარმოება.

საილუსტრაციოდ წარმოგიდგინთ რამდენიმე მნიშვნელოვან საქმეს, რომლებიც გავლენას ახდენს მედიის მდგომარეობაზე ქვეყანაში.

მედია ორგანიზაციები სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წინააღმდეგ

წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, 2012 წლის 6 აგვისტოს გამოიცა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის ბრძანება, რომლითაც განისაზღვრა საარჩევნო სუბიექტების მიერ წინასაარჩევნო რეკლამის შესყიდვის წესი, ხოლო, მაუწყებლებსა და გაზეთებს დაევალებათ საარჩევნო სუბიექტების მიერ წინასაარჩევნო რეკლამის შესყიდვის შესახებ ინფორმაციის წარდგენა სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის, შესაბამისი ანგარიშსწორების განხორციელებიდან 24 საათში. წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო კამპანიის გაშუქებასთან, მათ შორის, საარჩევნო სუბიექტების მიერ შესყიდული წინასაარჩევნო რეკლამის შესახებ ანგარიშგებასთან დაკავშირებული საკითხები, მაუწყებლებისა და გაზეთების ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განსაზღვრულია საქართველოს საარჩევნო კოდექსითა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის კანონქვემდებარე აქტებით, ხოლო, კონტროლს მათ შესრულებაზე ახორციელებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მაუწყებლებისა და გაზეთებისთვის დადგენილი ვალდებულებები დამატებით ტვირთად აწევბოდათ სამაუწყებლო კომპანიებსა და გაზეთებს. არ იყო დასაბუთებული მედიისათვის ამ ტვირთის დაკისრების აუცილებლობა. საიას მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრის ინიციატივითა და შვიდი მედია ორგანიზაციის სახელით, ცენტრის მიერ მომზადდა სარჩელი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით იმ ნაწილში, რომელიც სამაუწყებლო კომპანიებსა და გაზეთებს ინფორმაციის სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის წარდგენას ავალდებულებდა. 2013 წლის 28 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლომ საიას სარჩელი დააკმაყოფილა. სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეთა მიერ არ გასაჩივრებულა და ის კანონიერ ძალაში შევიდა.



2011 წლის 26 მაისის აქციის დაშლისას დაზარალებული ჟურნალისტების საქმე

საიას მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრმა იურიდიული დახმარება გაუწია 2011 წლის 26 მაისის აქციის დაშლისას დაზარალებულ ჟურნალისტებს საქმეზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ. შსს-ს ოფიციალური ინფორმაციით, აქციის დაშლაში მონაწილე რამდენიმე სამართალდამცავმა თავის უფლებამოსილებას გადააჭარბა, რის გამოც მათ წინააღმდეგ გამოყენებულ იქნა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომა. მოსარჩელები სწორედ შინაგან საქმეთა მინისტრის იმ ბრძანების ხელმისაწვდომობას ითხოვდნენ, რომლის საფუძველზეც სამართალდამცველთა სანქცირება მოხდა. თუმცა, სამინისტრომ უარი განაცხადა აღნიშნული აქტების გასაჯაროებაზე იმ მიზეზით, რომ ეს ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს. სასამართლოში საქმის წარმოება შეწყდა მოპასუხის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის ჟურნალისტებისთვის გადაცემის გამო დავის დასრულებამდე. ასევე, სასამართლომ იმსჯელა და დაადგინა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება საჯარო მოხელისათვის დისციპლინური სახდელის დადების თაობაზე არ წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას.

გიორგი ბარათაშვილი საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის წინააღმდეგ

2013 წლის 4 მარტს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ უნდობლობა გამოუცხადა საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორს გიორგი ბარათაშვილს და დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა. იმავდროულად, სამეურვეო საბჭომ გამოაცხადა



საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის შესარჩევი კონკურსი. გიორგი ბარათაშვილისთვის უნდობლობის გამოცხადება და მისი სამსახურიდან გათავისუფლება კანონმდებლობის უხეში დარღვევით განხორციელდა. ამასთანავე, სამეურვეო საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება განპირობებული იყო გიორგი ბარათაშვილის, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის, მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურის უფროსის სამსახურიდან გათავისუფლებით. ეს კი ცალსახად მიუთითებდა სამეურვეო საბჭოს მხრიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის საკადრო პოლიტიკაში ჩარევასა და უფლებამოსილებების გადამეტებაზე.


საიას მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრის დახმარებით, გიორგი ბარათაშვილმა, დარღვეული უფლებების აღდგენის მოთხოვნით, სასამართლოს მიმართა. იმავდროულად, ცალკე განცხადებით მოთხოვნილ იქნა სამეურვეო საბჭოს მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეჩერება. სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის ორივე მოთხოვნა: 1. შეჩერდა გენერალური დირექტორის შესარჩევი კონკურსი; 2. გიორგი ბარათაშვილი აღდგენილ იქნა თანამდებობაზე და აუნაზღაურდა განაცდული.

2013 წლის 6 სექტემბერს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ კვლავ გამოუცხადა უნდობლობა საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორს გიორგი ბარათაშვილს და გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან. მოგვიანებით კი, კონკურსი გამოაცხადა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად. სამეურვეო საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილებები კვლავ კანონდარღვევით იქნა მიღებული. საიას მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრის მიერ მომზადდა სარჩელი, რომელიც ამ ეტაპზე ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაშია. სასამართლომ ასევე შეაჩერა საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსი.

სტრატეგიული სამართალწარმოება ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია კვლავ აქტიურად განაგრძობს სტრატეგიულ სამართალწარმოებას ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. გასული წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საქართველოში ინფორმაციის თავისუფლების კუთხით არსებული მდგომარეობა, რამაც გავლენა იქონია აღნიშნული უფლების პრაქტიკულ რეალიზაციაზე. საგრძნობლად შემცირდა პასუხგაუცემელი განცხადებების რაოდენობა და, ასევე, არასრულყოფილი და ვადის გადაცილებით ინფორმაციის გაცემის შემთხვევები.

საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა საჯარო დანესებულებაში საიამ სულ 492 განცხადება წარადგინა საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით. აქედან:



საანგარიშო პერიოდში საიას მიერ მომზადდა 17 ადმინისტრაციული საჩივარი. აქედან, 8 საჩივრის შემთხვევაში, შეწყდა წარმოება საჩივრის წარდგენის შემდეგ ინფორმაციის გაცემის გამო. 7 ადმინისტრაციული საჩივარი განუხილველი დარჩა. შესაბამისად, საიას მიერ შეიდივე განუხილველ საქმეზე მომზადდა სასარჩელო განცხადებები. 2 ადმინისტრაციული საჩივარი სასამართლოს წარმოებაშია.

საანგარიშო პერიოდში საიას მიერ სულ 7 სასარჩელო განცხადება მომზადდა. აქედან, 4 შემთხვევაში, შეწყდა საქმის წარმოება სარჩელის წარდგენის შემდეგ ინფორმაციის გაცემის გამო. დარჩენილი 3 საქმე დღემდე სასამართლოს წარმოებაშია.

შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება

1 მაისი – შრომის საერთაშორისო დღე

საია განაგრძობდა იმ პირების სამართლებრივ დახმარებას, რომელთა უფლებებიც შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით სარგებლობისას ილახებოდა. ამ მხრივ, აღსანიშნავია პირველი მაისის მანიფესტაციის შემთხვევა, როდესაც შრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სტუდენტების ორგანიზებით მიმდინარე მანიფესტაციის მონაწილეთა დაკავება განხორციელდა. მანიფესტაციის მიზანს შრომის და მასთან დაკავშირებული საკითხების აქტუალობასა და მნიშვნელოვნებაზე ხაზგასმა წარმოადგენდა. მანიფესტაცია ატარებდა მშვიდობიან ხასიათს, არ შეიცავდა მონოდეტებს ძალადობის ან სხვა სახის კანონდარღვევის თაობაზე. მანიფესტაციის მონაწილეთა მასიური დაკავება პოლიციამ განხორციელა მის დასრულებამდე დაახლოებით 8-10 წუთით ადრე.



შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგა და სასამართლოს წარედგინა მანიფესტაციის 37 მონაწილის მიმართ. ამათგან 32 პირის ინტერესებს სასამართლოში საია იცავდა. მანიფესტანტთა დაკავების ოქმებში პოლიცია მიუთითებდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (სამართალდამცავი ორგანოს მუშაკის კანონიერი მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობა) მუხლების დარღვევას.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში სხვადასხვა მშვიდობიანი აქციისა თუ მანიფესტაციის მონაწილეთა დაკავება და მათ მიმართ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემა სწორედ 166-ე/173-ე მუხლების საფუძველზე ხდებოდა. მსგავსი ტიპის საქმეებზე სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ხშირად გამხდარა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების კრიტიკის საგანი. საიას განსაკუთრებულ დაინტერესებას, ჩართულიყო პირველი მაისის დროს დაკავებული პირების უფლებების დაცვის პროცესში, მათ შორის, ეს გარემოებაც განაპირობებდა.



არსებული მანკიერი გამოცდილების გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ პოლიციის თანამშრომლების მიერ შედგენილი სამართალდარღვევის ოქმები და პატაკები, აბსოლუტურად იდენტურ შინაარსს ატარებდა, ხშირად ბუნდოვანი, ურთიერთსაწინააღმდეგო და დაუსაბუთებელი იყო მათ მიერ სასამართლოსთვის მიცემული განმარტებებიც. დაფიქსირდა არაერთი შემთხვევა, როდესაც პოლიცია დაკავების ოქმსა და პატაკში მიუთითებდა, რომ უშუალოდ მის მიერ მოხდა მანიფესტაციის მონაწილის დაკავება, თუმცა, წარდგენილი ვიდეო და ფოტო მასალით საპირისპირო დადასტურდა.

საბოლოოდ, საიას დაცვის ქვეშ მყოფ 32 პირთაგან, სასამართლოს გადაწყვეტილებებით, ადმინისტრაციული ჯარიმა 400 ლარის ოდენობით დაეკისრა მანიფესტაციის 4 მონაწილეს, 100 ლარის ოდენობით – 5 მონაწილეს. მანიფესტაციის 17 მონაწილე სასამართლომ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა და შემოიფარგლა სიტყვიერი შენიშვნით, ხოლო 6 პირის მიმართ შეწყვიტა საქმის წარმოება სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის გამო.

17 მაისი – ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე (აიდაჰომ)

17 მაისს აიდაჰომს დღესთან დაკავშირებით დაგეგმილი აქციის მონიტორინგს საია პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ახორციელებდა. ამ მიმართულებით მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარდა მონიტორინგის პროცესში ჩართულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, მათ შორის: მონიტორინგის დაკვირვების პროცესთან დაკავშირებული გაიდლაინების მომზადება და მათი გაცნობა, მონიტორინგის ტექნიკური აღჭურვა. გაკეთდა ერთობლივი საჯარო განცხადება დაგეგმილი აქციის თაობაზე, სადაც ხელისუფლებას მოვუწოდეთ, 17 მაისს დაგეგმილი კონტრდემონსტრაციის მასშტაბისა და კონტექსტის გათვალისწინებით, წინასწარ შეემუშავენინა უსაფრთხოების ეფექტური სტრატეგია და მიეღო ყველა ზომა ორივე აქციის მშვიდობიან და უსაფრთხო გარემოში ჩატარების უზრუნველსაყოფად.

საიას დამკვირვებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და გავრცელებული კადრების შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ 17 მაისს ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღესთან დაკავშირებით დაგეგმილი აქციის ჩატარების უზრუნველყოფა სახელმწიფომ ვერ შეძლო, რითაც აქციის მონაწილეების მიმართ დაარღვია შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება. სტრატეგია, რომელიც პოლიციამ აქციის მონაწილეების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შეიმუშავა, კონტრდემონსტრანტების ოდენობის, მათი უკონტროლო ქცევისა და რისკების გათვალისწინებით, არ იყო ადეკვატური და ეფექტური.



გიორგი გოგუა/ლიბერალი



საიამ სადამკვირვებლო მისიაში ჩართულ ორგანიზაციებთან ერთად, გააკეთა საჯარო განცხადება საზოგადოებისა და მედიისთვის, რომელშიც საკმაოდ კრიტიკულად შეაფასა სამართალდამცავი ორგანოების მუშაობა 17 მაისს. საია ასევე გამოეხმაურა 17 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის დასკვნას.

გარდა აქციის მიმდინარეობის დაკვირვებისა, ჩვენ ვიცავდით სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლების ინტერესებს, რომლებიც გახდნენ ძალადობის მსხვერპლნი ამ აქციის მიმდინარეობის დროს და მას შემდეგ.

17 მაისს და შემდგომ მოვლენებთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების დოკუმენტირების მიზნით, 14-მდე პირს ჩამოვართვით ახსნა-განმარტება, მოვახდინეთ გავრცელებული და მონიტორების მიერ გადაღებული ვიდეო და ფოტო მასალის დამუშავება/ანალიზი. 17 მაისის შემდეგ ჩადენილ ძალადობის ფაქტებზე ეფექტური გამოძიებისა და პრევენციის მოთხოვნით, კოლექტიური განცხადებები მოვამზადეთ გამოძიებასა და პროკურატურასთან 5 საქმეზე. ჩვენ მიერ გაგზავნილ ფაქტებთან დაკავშირებით, პროკურატურამ გვაცნობა, რომ გამოძიება დაიწყო და ტარდება შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები.

საია გეგმავს, ორი დამოუკიდებელი საჩივრით მიმართოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს 17 მაისს ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღესთან დაკავშირებით დაგეგმილი აქციის ორგანიზატორი ორგანიზაციების – „იდენტობის“, „ქალთა დამოუკიდებელი ინიციატივის მხარდამჭერი ჯგუფისა“ და მათი წევრების სახელით. წარდგენილ საჩივრებში ევროპულ სასამართლოს ვთხოვთ მომჩივანთა მიმართ ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება) დარღვევის დადგენასა და, სამართლიანი დაკმაყოფილების სახით, მათთვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების სახელმწიფოსთვის დაკისრებას. ასევე, იგეგმება, შიდა საშუალებების ამონურვის მიზნით, ზემოაღნიშნულ მომჩივანთა სახელით ადმინისტრაციული წესით ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის შეტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში.



იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სამართლებრივი დახმარება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საიას ოფისები განაგრძობდნენ იძულებით გადაადგილებული პირების სამართლებრივ დახმარებას. გარდა ინდივიდუალური და ჯგუფური სამართლებრივი კონსულტაციებისა, საჭიროების შემთხვევაში, ხდებოდა სამართლებრივი დოკუმენტების მომზადება და საადვოკატო წარმომადგენლობის განხორციელება.

საანგარიშო პერიოდში სამართლებრივი დახმარების მიმართულებით განეული საქმიანობა რაოდენობრივად ასე გამოიყურება:

- საიას იურიდიული დახმარებით ისარგებლა 4143-მა დევნილმა.
- გაიცა 4180 ინდივიდუალური კონსულტაცია.
- მომზადდა 456 სამართლებრივი დოკუმენტი.

საადვოკატო საქმეები

საანგარიშო პერიოდში საადვოკატო მომსახურება დაიწყო 23 ახალ საქმეზე და გაგრძელდა 17 საქმეზე, რომლებიც გასულ პერიოდში იყო ინიცირებული.

ჯამში 40 საადვოკატო საქმიდან საანგარიშო პერიოდში დასრულდა 15 საქმე, მათგან, 13 – წარმატებით, 1 – წარუმატებლად, 1-ზე საქმის წარმოება შეწყდა ბენეფიციარის ინიციატივით, ხოლო 25 საქმეზე საადვოკატო მომსახურება კვლავაც გრძელდება.

11 წარმატებული საადვოკატო საქმის შედეგად:

- ორი დევნილი ოჯახი დაკმაყოფილდა სათანადო საცხოვრებელი ბინით.
- ხუთ პირს მიენიჭა დევნილის სტატუსი.
- ერთ დევნილს აუნაზღაურდა დევნილის შემწეობის გაუცემლობით მიყენებული ზიანი.
- სამ არასრულწლოვანს დაენიშნა ალიმენტი.
- ერთმა დევნილმა შეძლო თანაცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონებიდან 2/3 წილის მიღება.
- ერთი დევნილი ქალბატონის ოჯახური ძალადობისაგან დაცვის მიზნით, გამოიცა დამცავი ორდერი.
- სამმა დევნილმა მიიღო წერილობითი დაპირება საცხოვრებელი ფართის მიღებასთან დაკავშირებით.
- ერთმა დევნილმა მემკვიდრეობის მიღებასთან დაკავშირებული დავა წარმატებით დაასრულა.

სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში შეიქმნა სამი თემატური სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრობაზე შეთავაზება, სხვა საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან ერთად, საიამაც მიიღო. სამუშაო ჯგუფები შეიქმნა შემდეგი მიმართულებებით:

- სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში არსებული სამართლებრივი დოკუმენტების გადახედვა და შესაბამისი წინადადებების შემუშავება.
- კერძო სექტორში განსახლებული დევნილების საკითხების შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

- სტიქიური მოვლენების შედეგად ეკომიგრაციული პროცესების მარეგულირებელი კანონ-მდებლობის შემუშავება.


პირველი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მომზადდა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ ახალი კანონის პროექტი, რომელშიც აისახა საიას მიერ წარდგენილი არაერთი ინიციატივა.

კვლევა – „დევნილთა უფლებები სათანადო საცხოვრებელზე“

საანგარიშო პერიოდში გამოიცა კვლევა „დევნილთა უფლება სათანადო საცხოვრებელზე (სამართლებრივი ანალიზი, სასამართლო პრაქტიკის ძირითადი ტენდენციები)“. კვლევის მიზანი იმ სამართლებრივი მექანიზმების ანალიზი იყო, რომელთა საფუძველზეც სახელმწიფო შებოჭილია ვალდებულებით, უზრუნველყოს დევნილთა უფლება სათანადო საცხოვრებელზე. ანგარიშში გაანალიზებულია, თუ რამდენად ეფექტურია აღნიშნული მექანიზმები, ასევე, განხილულია ეროვნული სასამართლო პრაქტიკა, რომელიც საცხოვრებლის უფლებასთან კავშირში ძირითად ტენდენციებს მოიცავს. გამოკვეთილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები.

სასჯელალსრულების დაწესებულებაში განთავსებული პატიმრებისთვის განული დახმარება

მიმდინარე საანგარიშო წელს საიამ გააგრძელა ერთობლივი პროექტის განხორციელება საქართველოს სახალხო დამცველთან ერთად, რომლის მიზანია პატიმართა უფლებების დაცვა და პრევენციის ეროვნული მექანიზმის გაძლიერება. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, საიას წარმომადგენლებს კვლავ ჰქონდათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღოთ აღმოსავლეთ საქართველოს სასჯელალსრულების დაწესებულებებისა და დროებითი მოთავსების იზოლატორების მონიტორინგის პროცესში და შეესწავლათ პატიმართა უფლებების დაცვის მხრივ არსებული მდგომარეობა.



პროექტის ფარგლებში ჩატარდა როგორც გეგმიური, ასევე არაგეგმიური მონიტორინგი, რომელთა ფოკუსსაც წარმოადგენდა საპატიმრო დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობა. ზემოაღნიშნული მონიტორინგის შედეგები აისახა საიასა და საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გამოცემულ ერთობლივ ანგარიშში – „არასათანადო მოპყრობა სასჯელალსრულების დაწესებულებებში და დროებითი მოთავსების იზოლატორებში“.

გასული წლის მსგავსად, მაღალია თბილისისა და რეგიონულ ოფისებში შემოსული მომართვები როგორც პატიმრების, ასევე, მათი ოჯახის წევრებისგან. შესაბამისად, საიას ადვოკატები გასცემდნენ პირად და სატელეფონო კონსულტაციებს, ახორციელებდნენ პატიმართა მონახულებას სასჯელალსრულების დაწესებულებებში, წარმოადგენდნენ მათ ინტერესებს სხვადასხვა ორგანოში, ასევე, ეხმარებოდნენ პატიმრებსა და მათი ოჯახის წევრებს სამართლებრივი დოკუმენტების შედგენაში.



საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საიას თბილისისა და რეგიონების ოფისების მიერ გაიცა 3678 კონსულტაცია, რომელიც მოიცავს პირად, სატელეფონო და, ასევე, სასჯელალსრულების დაწესებულებებში გაცემულ კონსულტაციებს. ამასთან, მომზადდა 722 სხვადასხვა სახის სამართლებრივი დოკუმენტი – განცხადება, საკასაციო საჩივარი და ა.შ. საანგარიშო პერიოდში მოგვმართა 1335-მა ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა. 597 პატიმარს წერილობით მივანოდეთ პასუხები მათთვის საინტერესო კითხვებზე, მოვინახულეთ 167 პატიმარი. საიას დახმარებით, 50-მდე მსჯავრდებულმა მიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სასჯელისგან გათავისუფლების კომისიას და ვადამდე ადრე გათავისუფლების ადგილობრივ საბჭოს. მსჯავრდებულთა ნაწილის მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯანდაცვა და პატიმართათვის განეული სამედიცინო დახმარება კვლავაც პრობლემატურ საკითხად რჩება სასჯელალსრულების სისტემაში. წინა წლებთან შედარებით, გაუმჯობესდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მსჯავრდებულთა გათავისუფლება. ამ კუთხით ნოვაციას წარმოადგენს ის, რომ საკანონმდებლო დონეზე შეიცვალა იმ მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ჩამონათვალი, რომლებიც სასჯელისაგან გათავისუფლებისა და სასჯელის გადავადების საფუძველს წარმოადგენს. გარდა ამისა, შეიცვალა მუდმივმოქმედი კომისიის მიდგომა საქმეების განხილვასთან დაკავშირებით. თუმცა, კვლავ პრობლემად რჩება პატიმართათვის სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების საკითხი. ვერ იქნა მიღწეული, რომ თავად სასჯელალსრულების სისტემამ უზრუნველყოს ექსპერტიზის ჩატარება სახელმწიფოს ხარჯზე.

უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში საიამ საკუთარი ხარჯით ჩაატარა ექსპერტიზა პატიმრებისთვის. კერძოდ, 2 მსჯავრდებულთან მიმართებით ჩატარდა სამედიცინო ისტორიის დოკუმენტური ექსპერტიზა, ხოლო 2 მსჯავრდებულთან მიმართებით – პირადი შემოწმება. აღნიშნული დასკვნები ჩვენი იურისტების მიერ გამოყენებულ იქნა სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე ბენეფიციართა ინტერესების სასარგებლოდ.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, პატიმართა უფლებების დაცვის მიზნით, ორი მნიშვნელოვანი საქმის ინიცირება მოხდა, რომლებზეც საადვოკატო მომსახურებას ვახორციელებთ. კერძოდ, საიამ სასარჩელო განცხადება წარადგინა სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და სასჯელალსრულების დეპარტამენტის წინააღმდეგ და მოითხოვა ზიანის ანაზღაურება ციხის პირობებში არასათანადო მკურნალობის გამო. აღნიშნულ საქმეებზე სამართალწარმოება გრძელდება.

საანგარიშო პერიოდში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა ცვლილებებმა გამოიწვია სისხლის სამართლის პოლიტიკისა და კანონმდებლობის ლიბერალიზაცია, რამაც ასახვა ჰპოვა ჩვენს აქტივობებზე. საქართველოს პარლამენტმა მიიღო ამნისტიის აქტი, რის გამოც, გახშირდა პატიმართა მომართვიანობა ამნისტიის საკითხებზე. ასევე, იყო შემთხვევები, როცა სასამართლოების მხრიდან ადგილი ჰქონდა ამნისტიის აქტის არასწორ გამოყენებას. შესაბამისად, საიას დახმარებით მოხდა სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჩივრება. 14 საჩივარი დაკმაყოფილდა ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფი პატიმრების სასარგებლოდ. კანონმდებლობაში შესულმა ცვლილებამ სხვაგვარად დაარეგულირა სასჯელის დანიშვნის წესი დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს, რამაც სასამართლოებს საშუალება მისცა, კანონიერ ძალაში შესული განაჩენები გადაეხედა. მომზადდა შუამდგომლობები კანონიერ ძალაში შესული განაჩენების გადასინჯვის მოთხოვნით. საიას მიერ მომზადებული 17 შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

2012 წლის სექტემბერში, სასჯელალსრულების დაწესებულებებში პატიმართა წამებისა და არასათანადო მოპყრობის ამსახველი ვიდეო მასალის გავრცელების შემდეგ, სასჯელალსრულების დაწესებულებებში პატიმართა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე ათასობით განცხადება შევიდა სამართალდამცავ ორგანოებში. საიამ თავისი წვლილი შეიტანა გამოძიების დაწყების კუთხითაც და წინა საანგარიშო პერიოდში 245 პატიმრის ახსნა-განმარტება გადაავზავნა პროკურატურაში. ამჟამად საიამ ახორციელებს საადვოკატო საქმიანობას 6 საქმეზე, რომლებიც გამოძიების ეტაპზე იმყოფება.



საზოგადოებაში სამართლებრივი
ცნობიერების ამაღლება და
ქანონისადმი პატივისცემის
დამკვიდრება



საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და კანონისადმი პატივისცემის დამკვიდრება

საია არა მარტო იცავს ადამიანის უფლებებს, არამედ უზრუნველყოფს მოქალაქეების აღჭურვას იმ სათანადო უნარებითა და ინფორმაციით, რაც აუცილებელია მათი უფლებების სრულყოფილად რეალიზაციისთვის. სწორედ ამიტომ, ჩვენს ერთ-ერთ მთავარ დანიშნულებად მიგვაჩნია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და კანონისადმი პატივისცემის დამკვიდრება.

საინფორმაციო სემინარები, შეხვედრები რეგიონებში, ავტო-ტურები

საანგარიშო პერიოდში საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული კამპანია მოიცავდა სემინარებისა და ტრენინგების ჩატარებას საჯარო მოხელეების, ადვოკატების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის, ასევე, გასვლით შეხვედრებსა და ავტო-ტურებს.

საინფორმაციო სემინარებისა და შეხვედრების სტატისტიკა რეგიონებში:

რეგიონული ოფისები	ქუთაისი	აჭარა	გორი	რუსთავი	ოზურგეთი	თელავი	დუშეთი	სულ
სემინარები, მრგვალი მაგიდები, შეხვედრები	49	57	83	24	15	24	11	263
მონაწილეთა რაოდენობა	641	1026	1245	440	285	488	244	4369

სემინარებსა და მრგვალ მაგიდებზე განხილული იყო თითქმის ყველა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება, რომლებიც საანგარიშო პერიოდში მიღებულ იქნა საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ, ასევე, საზოგადოებისთვის აქტუალური სხვა თემები. მათ შორისაა:

- საკონსტიტუციო ცვლილებები.
- ცვლილებები და დამატებები საქართველოს შრომის კოდექსში.
- სისხლის სამართლის კოდექსის ლიბერალიზაცია – შეკრებითობის პრინციპის გაუქმება.
- 2012 წლის 27 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონი.
- საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილება „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“.
- ცვლილებები და დამატებები „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში.
- მედიასთან ურთიერთობების სტანდარტები.
- არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციები საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით.
- კონფლიქტის ადმინისტრაციული ზოლის გასწვრივ მდებარე სოფლებში არსებული უსაფრთხოების პრობლემები.
- 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ ადგილობრივ თვითმმართველობებში განვითარებული მოვლენების შეფასება.
- ადგილობრივი ბიუჯეტებით განსაზღვრული სოციალური პროგრამები.
- აჭარის ტელევიზიის სტატუსი.

- უძრავი ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.
- ოჯახური ძალადობა და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მექანიზმები.
- დევნილთა სოციალური დაცვის გარანტიები.
- რეგიონული პრობლემები და ადვოკატირების გზებით მათი გადაჭრის შესაძლებლობები.
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის პრიორიტეტები.
- როგორ უნდა ჩაერთონ მოქალაქეები ადგილობრივ დონეზე გადამწყვეტილების მიღების პროცესში.
- რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება.
- must carry-ის და must offer-ის პრინციპების რეგულირება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

ტელე-რადიო გადასვები

რეგიონებში აქტიურად ვთანამშრომლობდით ადგილობრივ მაუწყებლებთან, მოსახლეობასთან მაქსიმალური კომუნიკაციის მისაღწევად.

ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთი“ – თემები:

- მედიასთან ურთიერთობის სტანდარტები
- ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა სამუშაოდან გათავისუფლების ფაქტების შეფასება
- კონფლიქტის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებთა უსაფრთხოების პრობლემები
- შრომის კოდექსში შესული ცვლილებები
- ეროვნულ უმცირესობათა უფლებები
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაცია
- ოჯახში ძალადობისაგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმები

აჭარის ტელერადიომაუწყებელი – თემები:

- უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო ინიციატივა აჭარის ტელევიზიის სტატუსთან დაკავშირებით
- ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარის იმპიჩმენტის შეფასება
- საპარლამენტო არჩევნების შემდგომ ადგილობრივ თვითმმართველობებში განვითარებული მოვლენების შეფასება

ტვ 25 – თემები:

- აჭარის უმაღლესი საბჭოს საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესი
- აჭარის მთავრობის თავმჯდომარის მიერ „აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონზე ვეტოს დადება
- საკონსტიტუციო ცვლილებების შეფასება
- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
- „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესატანი ცვლილებები
- საკრებულოს თავმჯდომარისა და გამგებლის არჩევის/დანიშვნის წესი
- „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების შეფასება
- სახელმწიფო დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება პოლიტიკური თანამდებობის პირების მიმართ





- საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობა
- მშობლის უფლების შეზღუდვისა და მშობლის უფლების ჩამორთმევის სამართლებრივი საფუძვლები
- ბავშვთა უფლებების დარღვევები
- სატენდერო შესყიდვების პროცედურების ნარმოება

რადიო „ძველი ქალაქი“ – თემები:

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესი
- სახელმწიფო პენსიის დანიშვნის წესი
- სოციალური დახმარების დანიშვნის წესი
- სამკვიდროს მიღების წესი და პირობები
- რეგიონული პრობლემები და ადვოკატირების გზით მათი გადაჭრის შესაძლებლობები

რადიო „რიონი“ – თემები:

- საკონსტიტუციო ცვლილებები
- ქ. ქუთაისის 2013 წლის ბიუჯეტის სოციალური მიმართულებები
- ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებანი
- ვის ეხება 2012 წლის 28 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი „ამნისტიის შესახებ“
- როგორ უნდა ჩაერთონ მოქალაქეები გადაწყვეტილების მიღების პროცესში
- სასამართლო პრაქტიკის თავისებურებანი საალიმენტო დავებთან დაკავშირებით
- საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება
- როგორ მივიღოთ მემკვიდრეობა

ტელეკომპანია „რიონი“ – თემები:

- სიახლეები შრომის კანონმდებლობაში
- საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებები

ტელეკომპანია „თანამგზავრი“ – თემები:

- საკონსტიტუციო ცვლილებების შეფასება
- შრომის კოდექსში შესული ცვლილებები
- საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებების შეფასება
- საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხები
- თელავის 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი
- როგორ დავინიშნოთ სოციალური დახმარება

რადიო „ჭერეთი“ – თემები:

- ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა სამუშაოდან გათავისუფლების ფაქტების შეფასება
- ბავშვთა უფლებების დარღვევის ფაქტები კახეთის რეგიონში

საინფორმაციო ხასიათის ბროშურები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გასვლითი კონსულტაციებისა და შეხვედრების პროცესში მოსახლეობისათვის დასარიგებლად გამოიცა ბროშურები შემდეგ აქტუალურ თემებზე:

- შრომითი უფლებები.
- რა უნდა ვიცოდეთ სასამართლოში სარჩელის შეტანამდე.
- სახელმწიფო ბაჟი საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე.

ავტო-ტურები

მიმდინარე საანგარიშო წელს საიას იურისტები აქტიურად მონაწილეობდნენ გასვლით შეხვედრებში, რა დროსაც რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას მიეწოდებოდა ინფორმაცია საკანონმდებლო სიახლეებზე, ასევე, საიას იურისტები უწევდნენ მათ იურიდიულ დახმარებას.

2013 წლის ივნისში საიას გორის ოფისმა განახორციელა ავტო-ტური სამცხე ჯავახეთის რეგიონის ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის მუნიციპალიტეტების შემდეგ სოფლებში: საყუნეთი, აწყური, ზიკილია, წნისი, კლდე, არალი, უდე, კახარეთი, ბენარა, ვარხანი, რუსთავი, იდუმალა, ოშორა, ნიჯგორი, ტოლოში. მოსახლეობის დაინტერესება გამოიწვია: მაღალმთიანი რეგიონებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათებით სარგებლობის, მინაზე საკუთრების უფლების აღიარების, ორმაგი მოქალაქეობის მიღების, მარჩენალდაკარგულის პენსიის დანიშვნის, სოციალური დახმარების, უძრავი ნივთების რეგისტრაციის, ოჯახური ძალადობის, საყოველთაო ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამის, იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენის, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის, ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილების, ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების, მემკვიდრეობის მიღების, საგადასახადო შეღავათების და სხვა სამართლებრივმა საკითხებმა. ავტო-ტურზე სულ გაიცა 703 კონსულტაცია.

2013 წლის აგვისტოში საიას გორის ოფისმა ასევე განახორციელა ავტო-ტური ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების შემდეგ სოფლებში: ჩუჩხნა, პტენა, დილისკა, ხულმუგო, მარტუნი, მურჯახეთი, ორლოვკა, სპასოვკა, ჟდანოვკანი, სათხა, განძა, ფოკა და ჯიგრაშენი. მოსახლეობის დაინტერესება გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარით გაცემის, საარსებო შემწეობის დანიშვნის, სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის, სასოფლო-სამეურნეო ვაუჩერის მიღების, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების, დასაქმებულთა უფლებების, ექსპროპრიაციისას კომპენსაციის ანაზღაურების და სხვა სამართლებრივმა საკითხებმა. ავტო-ტურზე სულ გაიცა 410 კონსულტაცია.



დუშეთის ოფისის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ავტო-ტური დუშეთის, თიანეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების შემდეგ სოფლებში: ანანური, პავლეური, ჩარგალი, ბარისახო, მლეთა, ჯავახიანთკარი, ჩინთი, დუდაურები, გრემისხევი, ახალდაბა, ხეობა, წიფორი, მენესო, გამსი, ხილიანი, ქვეშეთი, მისაქციელი, მეზვრიაანთკარი, ფასანაური, ლაუშა, წილკანი, ნადიბაანი, ციხევდავი, გვიდაქე, კუჭეჭა, ზენუბანი, ლახატო, ბულაჩაური, კომკასყელი, არღუნი, ნაღვარევი, კაიშაურები, ღელისვაკე, ალმასიანი, კობი, ვარდისუბანი, ტყარშეტი, გორისციხე, არშა, აჩხოტი, გერგეთი, სნო, ახალციხე, კარკუჩა, ზარიძეები, იარაჯულები, ტუშურები, ჭურჭელაურები, მამადანები, არტაანი, ყებოტა, ახალსოფელი, ჩაბანო, სიმონიანთხევი, ნაქალაქარი, ლულელები. შეხვედრებში მონაწილეობდა 1225 ადგილობრივი მოსახლე, რომელთა განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია მინების დაკანონების, მემკვიდრეობის მიღების, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის, პენსიაზე დანამატის მიღების, საყოველთაო ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამის, სოციალური დახმარების დანიშვნის, კომლის გაყოფის, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, მარჩენალდაკარგულის პენსიის დანიშვნის, მაღალმთიანი რეგიონებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათებით სარგებლობის პრობლემებმა.



საანგარიშო პერიოდში საიას ოზურგეთის ოფისმა განახორციელა ავტო-ტური ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში: ბუკისციხე, დაბლაციხე, დიდივანი, შუასურები, ზემოსურები, ზოტი, ქვაბლა, ჩხაკაურა, ბუქსიეთი, ხევი, ნაბელაზი, ხიდისთავი. სულ გაიცა 195 კონსულტაცია. მოსახლეობის ინტერესის სფეროს წარმოადგენდა შრომის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები, მინაზე საკუთრების უფლების აღიარების, უძრავი ქონების რეგისტრაციის, მინის პრივატიზაციის, მაღალმთიანი რეგიონებისათვის დაწესებული შეღავათების, კომლის გაყოფის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის, ტყითა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, საგადასახადო შეღავათებისა და სოციალური საკითხები.

საიას თელავის ოფისის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ავტო-ტური სიღნაღისა და ახმეტის მუნიციპალიტეტების სოფლებში: ნუკრიანი, ილიანმინდა, ანაგა, ვაქირი, ბოდბისხევი, ჯუგაანი, ტიბაანი, ძველი ანაგა, ქვედა ბოდბე, ქვედა მაღარო, გირევი, ფარსმა, დიკლო, შენაქო, ზედა ომალო, ქვედა ომალო, დართლო, ბოჭორნა, ჯვარბოსელი, ჭემო, დანო, დოჭუ. სულ გაიცა 210 კონსულტაცია. მოსახლეობის დაინტერესება გამოიწვია იძულებითი აღსრულების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დაკანონების, სოფლის დახმარების პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების, საპენსიო უზრუნველყოფის, შრომითი ხელშეკრულების მოშლის, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის, კომლში მემკვიდრეობის გახსნის, უძრავი ქონების რეგისტრაციის, იჯარით აღებული მიწების შესყიდვის, საკომლო წიგნების, ტერიტორიული ორგანოების მიერ ცნობების გაცემის და მათ მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების პრობლემებმა.



ახმეტის მუნიციპალიტეტის (თუშეთის) სოფლებში მოსახლეობასთან შეხვედრების დროს იდენტიფიცირებული პრობლემების გადასაჭრელად, საიას თელავის ოფისმა რეკომენდაციით მიმართა ამავე მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობას. ვიმედოვნებთ, რომ ამ პრობლემების გადაწყვეტა გათვალისწინებული იქნება ახმეტის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტში. საიას თელავის ოფისი გამოხატავს მზადყოფნას, აქტიურად ჩაერთოს და ითანამშრომლოს ადგილობრივ თვითმმართველობასთან მოსახლეობის პრობლემების მოგვარების პროცესში.

საანგარიშო პერიოდში საიას რუსთავის ოფისმა განახორციელა ავტო-ტური ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტების შემდეგ სოფლებში: ტანძია, ჩათახი, რაჭისუბანი, ხაჩინი, ნახიდური, დისველი, ქვეში, მწყნეთი, ხიდისყური, პატარა ბოლნისი, რატევანი, წითელი სოფელი, ბალიჭი,სარკინეთი, განთიადი, ახა, დიდი დმანისი, ვარდისუბანი, ბოსლები, კიზილქისი, შილდნარი, პატარა დმანისი, ჯავახი, დაბა კაზრეთი. გაცემულ იქნა კონსულტაციები სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე, მათ შორის: საქართველოს მოქალაქეობის მიღებაზე, მინების დაკანონებაზე, სამედიცინო დანესებულების გარეთ დაბადებულ ბავშვთა დაბადების ფაქტების დადგენაზე, სააქტო ჩანაწერებში არასწორი მონაცემების შესწორებაზე, პენსიის და სოციალური დახმარების დანიშვნაზე. სულ გაიცა 341 კონსულტაცია. ბოლნისის მუნიციპალიტეტში ყველაზე მწვავედ გამოიკვეთა გარემოს დაბინძურების პრობლემა, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა დაბა კაზრეთში ოქროს საბადოზე მიმდინარე სამუშაოებს უკავშირებს. რუსთავის ოფისმა, სოფელ ბალიჭის მოსახლეობის თხოვნით, წერილით მიმართა გარემოს დაცვის სამინისტროს და მოითხოვა გარემოსდაცვითი აუდიტის ჩატარება. წერილზე რეაგირების მიზნით, გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები იმყოფებოდნენ ბოლნისის რაიონში, აღებულ იქნა ნიადაგის და წყლის სინჯები მდინარე მამავერადან და მდინარე კაზრეთულადან. მიმდინარეობს შესაბამისი ქიმიური ანალიზები და მიღებული შედეგების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება ადგილობრივ მოსახლეობას.

საიას ქუთაისის ფილიალმა 2013 წლის ივლისში ჩაატარა ავტო-ტური მესტიის მუნიციპალიტეტის მულახის, წვირმის, იფარის, კალას, ლატალის, ცხუმარის, ბეჩოს, ეცერის, ფარის, ლახამულის, ნაკრის, ლენჯერის, უშგულის, ჭუბერის, ხაიშის, იდლიანის თემებში. შეხვედრებზე მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია საკონსტიტუციო ცვლილებების, ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილების, საყოველთაო ჯანმრთელობის დაზღვევის, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის, „სოფლის საზოგადოებრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე. ასევე, გაცემულ იქნა კონსულტაციები სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე, მათ შორის: აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების მოტივით საკუთრების ჩამორთმევის, სოციალური დახმარებისა და სახელმწიფო პენსიის დანიშვნის, მემკვიდრეობის აღდგენის, უძრავი ქონების რეგისტრაციის, იურიდიული ფაქტების დადგენის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების, სამუშაოდან გათავისუფლების საფუძვლების, საგადასახადო შეღავათების შესახებ. საიას ქუთაისის ფილიალის იურისტები შეხვდნენ და კონსულტაცია გაუწიეს ხაიშის თემის მოსახლეობას, რომლებიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ხუდონჰესის მშენებლობას. სულ ავტო-ტურზე გაიცა 420 კონსულტაცია.



2013 წლის აგვისტოსა და სექტემბერში საიას ქუთაისის ფილიალმა ასევე განახორციელა ავტო-ტური ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის, ზუგდიდის, სენაკის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მარტვილის მუნიციპალიტეტების შემდეგ სოფლებში: ოყურეში, ოფიტარა, ზუბი, მახურა, ნიფერჩი, ბარდნალა, ლარჩვალი, ჩხუტელი, ლასხანა, ორბელი, ლაჯანა, უსახელო, ხოჯი, ტვიში, ორხვი, ალპანა, ჟახუნდერი, სასაში, ლუჯი, ბერია, ლამფალაში, შქედი, ახალშენი, ჩიხარეში, ჩოლური, ფანაგა, მუნდი, დურაში, ხელედი, ლესემა, წანაში, ფაყი, ხაჩეში, მანანური, ბავარი, ცხუმალიდი, ხოფური, ნანარი, მაზაში, ლამაშური, ნიფლაკაკია, ნალომარი, ყვედრეში, გვიმბრალა, ლალარვაში, წმენდაური, ნაკიეთი, წკადისი, სხარტალი, აგარა, უყეში, თლული, კაჩაეთი, ზედაშავრა, თხმორი, ხონჭიორი, ჯვარისა, რცხმელური, ღარი, უნერა, ხოტევი, ჭელი-აღელე, ნიკორწმინდა, ნამანევი, ბუგეული, სადმელი, კლდისუბანი, ბოსტანა, ღვიარა, ძირაგეული, ჩორჯო, ხვანჭკარა, ჭრებალო, ჟოშხა, გენდუში, ინგირი, ოირემე, შამგონა, ნაფატუ, კოკი, ხურჩა, ორსანტია, დარჩელი, განმუხური, ანაკლია, ჭითანყარი, ცაიში, მენჯი, ბათარაია, სახარბედიო, სანულეისკო, პერტული, სკურია, საგაბესკირიო, ნოსირი, ჯგალი, ლეთკანთი, ლეკაკულე, ლესალე, ლეხარჩილე, ფოცხოენერი, ჯვარი, ღია, ძალური, ხაბუშე, მოდინახე, ჯუმიითი, ლეციცხვაიე, ბარდა, შინოთა, ლედგეზე, მამული, ოჩე, ნობელევი, კოდორი, მუხური, ხუნწა, გაჭედილი, დიდი ჭყონი, ტალერი, ნოჯიხევი, კეთილარი, მარანი, ნორიო, ქოლობანი, გულეკარი. მოსახლეობის ინტერესის სფეროს წარმოადგენდა დევნილთა ხელახალი რეგისტრაციის, დევნილთა განსახლების, ექსპროპრიაციისას კომპენსაციის გაცემის, შრომის სტაჟის დადგენის, სოციალური დახმარების მიღების, კომლის გაყოფის, ჯანმრთელობის საყოველთაო დაზღვევის, სოციალური პაკეტის ლეგალიზაციის, განაჩენის გადასინჯვის, ნასამართლობის მოხსნის, ოჯახური ძალადობის და სხვა საკითხები. რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთსა და სამეგრელოს რეგიონში ჩატარებულ ავტო-ტურებზე სულ გაიცა 1765 კონსულტაცია. მოსახლეობა ინფორმირებულ იქნა საკონსტიტუციო, შრომის და საარჩევნო კოდექსებში, აგრეთვე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესული ცვლილებების შესახებ. შეხვედრებზე მოსახლეობას დაურიგდა საიას მიერ გამოცემული საინფორმაციო ბროშურები.

საანგარიშო პერიოდში საიას აჭარის ფილიალმა ჩაატარა ავტო-ტური ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, ხულოს და შუახევის მუნიციპალიტეტების შემდეგ სოფლებში: სამნიძეები, ქვედა აგარა, ქორომხეთი, პირველი მაისი, ორცვა, ძენწმანი, დიდვაკე, მახუნცეთი, ზუნდაგა, დოლოგანი, ხიჭაური, ახალდაბა, წყაროთა, ჭალა, ბარათაული, გომარდული, ღოროქეთი, თერნალი, სხეფი, ქვედა ვაშლოვანი, შურმული, ქედლები, იაკობაძეები, განახლება, თაგო, დეკანაშვილები, ხალა, ბუენარი, საჩინო, ბობოყვათი, შუაღელე, დაგვა, ლედვა, ქაქუთი, ზედა ვაშლოვანი, წყავროკა, მახო, ზანაქიძეები, კაპანდიდი, სიმონეთი, აჭარისწყალი, კაპნისთავი, ლაღლაკონი, აგარა, ყოროლისთავი, მასაური. მოსახლეობის განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია იძულებითი აღსრულების, მინაზე საკუთრების აღიარების, სოციალური დახმარების შეწყვეტისა და შეჩერების საფუძვლების, მუნიციპალური სოციალური პროგრამების, ტყის ფონდით სარგებლობის, ჯანმრთელობის საყოველთაო დაზღვევის პროგრამის და სხვა სამართლებრივმა საკითხებმა. სულ გაიცა 763 კონსულტაცია.

იძულებით გადაადგილებულ პირთა სწავლიერების ამაღლება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საია განაგრძობდა დევნილთა ცნობიერების ამაღლების კუთხით სხვადასხვა აქტივობის განხორციელებას. დევნილთა კომპაქტურად განსახლების ადგილებში განხორციელდა 137 მობილური ვიზიტი. მობილური ვიზიტებისას ხდებოდა დევნილთა ინფორმირება მიმდინარე რეფორმასთან დაკავშირებით, ასევე, ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციების განწევა და შესაბამისი საინფორმაციო ბროშურების გავრცელება.

განუული კონსულტაციების ანალიზის საფუძველზე, გამოიკვეთა ის საკითხები, რომლებითაც დევნილები ყველაზე ხშირად ინტერესდებოდნენ. დევნილთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, მომზადდა შემდეგი საინფორმაციო ხასიათის ბროშურები:

- რა უფლებებით სარგებლობენ ქალები რეგისტრირებული ქორწინებისას.
- დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესი და კრიტერიუმები.
- 2013 წლის დევნილთა რეგისტრაცია საქართველოში (დევნილების მიერ ხშირად დასმული კითხვები).

ბროშურების გავრცელება ხდებოდა როგორც საიას ოფისებში, ასევე, მობილური ვიზიტების დროს.

დევნილთა პრობლემების დროული და ეფექტური გადაწყვეტის მიზნით, 2013 წლის 14 მაისს საიას გორის ოფისში მოენყო მრგვალი მაგიდა თემაზე – „დევნილთა სოციალური პრობლემები“. შეხვედრას, დევნილებთან ერთად, ესწრებოდნენ სოციალური მომსახურების სააგენტოს გორის მონიტორინგის სამსახურის უფროსი და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს უფროსი. შეხვედრაზე დევნილებმა ისაუბრეს მათთვის აქტუალურ სოციალურ პრობლემებზე.

სწავლიერების ამაღლება ქალთა უფლებების დაცვის სფეროში

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ახორციელებს პროექტს, რომლის მიზანია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისათვის სპეციალური უნარ-ჩვევების განვითარება და ამ მიმართულებით საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება. მიზნობრიობიდან გამომდინარე, პროექტის ძირითადი კომპონენტები ხორციელდება როგორც თბილისის, ასევე, რეგიონების მასშტაბით.

პროექტით, ცნობიერების ამაღლების გარდა, გათვალისწინებულია ასევე ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის იურიდიული კონსულტაციის განწევა.

საანგარიშო პერიოდში ჩეხმა ექსპერტებმა საიასა და საპატრულო პოლიციის თანამშრომლებისათვის ჩაატარეს ტრენინგი ოჯახში ძალადობის საკითხებზე. ტრენინგის მიზანი იყო იმ სამართლებრივი სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რომლებსაც ისინი იყენებენ ოჯახში ძალადობის პრევენციისათვის. ამავე საკითხებზე ტრენინგები ჩატარდა სტუდენტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებისთვის. ტრენინგის ბოლოს მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 9 ტრენინგი საპატრულო და საუბნო პოლიციის თანამშრომლებისთვის თბილისსა და 6 რეგიონში. ტრენინგებს ატარებდნენ საიას რეგიონული ოფისის წარმომადგენლები. სულ ტრენინგი გაიარა 112-მა საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა.

ჩატარდა 7 ტრენინგი ოჯახში ძალადობის საკითხებზე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და ადვოკატებისთვის. ტრენინგი გაიარა 70-მა ადამიანმა.

2 ტრენინგ-სემინარი ჩატარდა სტუდენტებისთვის გორსა და რუსთავში. სემინარზე განხილულ იქნა ოჯახში ძალადობის საფრთხეები და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მექანიზმები.



პროექტის ფარგლებში მოენყო სასწავლო ვიზიტი ჩეხეთში. გაიმართა შეხვედრები როგორც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის, ასევე, სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლებთან. შეხვედრების ძირითად მიზანს იმ სოციალური პროგრამების გაცნობა წარმოადგენდა, რომლებიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის მოქმედებს. შეხვედრები გაიმართა კრიზისცენტრებსა და თავშესაფრებში, სადაც მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გაცნობოდნენ იმ პროგრამებს, რომლებიც ითვალისწინებს ფსიქოლოგების მუშაობას მოძალადებებთან და ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან.

აკალბაღალური მიგრაციისა და ტრაფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურ ინსტიტუტთან (CIPDD) ერთად, მიმდინარე საანგარიშო წლიდან ახორციელებს პროექტს „საქართველოსა და ევროკავშირის შორის კარგად მართული მიგრაციის ხელშეწყობა“, რომლის მიზანია მიგრანტთა უფასო სამართლებრივი დახმარება და არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლა – ცნობიერების ამაღლება, მიგრაციის პოლიტიკისა და კანონმდებლობის განვითარების ხელშეწყობა.

მიმდინარე საანგარიშო წელს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ გორის ოფისში, ახალგაზრდული მიგრაციის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მოაწყო შეხვედრა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მოსახლეობასთან. შეხვედრის მიზანი იყო არალეგალური მიგრაციის საფრთხეებზე ცნობიერების ამაღლება. გარდა ამისა, ბათუმსა და ოზურგეთში გაიმართა შეხვედრები ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მოსახლეობასთან. შეხვედრაზე მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ, მიეღოთ ინფორმაცია არალეგალური მიგრაციის საფრთხეებისა და საიას მიერ მიგრაციის საკითხებზე მომზადებული კვლევების შედეგების შესახებაც.

საანგარიშო პერიოდში, ცნობიერების ამაღლების მიზნით, ჩატარდა ხუთი ავტო-ტური დუშეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, კახეთისა და აჭარის რეგიონებში.

აჭარა – გაიმართა გასვლითი შეხვედრები მოსახლეობასთან ხულოს მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: ზედა ვაშლოვანი, შურმული, იაკობაძეები, განახლება, თაგო და დეკანაშვილები. შეხვედრას ესწრებოდა 55 ადამიანი.

დუშეთი – გაიმართა შეხვედრები მოსახლეობასთან ყაზბეგის მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: ალმასიანი, კობი, ვარდისუბანი, ტყარშეტი, სნო, ახალციხე, კარკუჩა. შეხვედრას ესწრებოდა 190 ადამიანი.

ქვემო ქართლი – გასვლითი შეხვედრები გაიმართა შემდეგ სოფლებში: გუნიაკალა, ხადიკი, ბემთაშენი, ივანოვკა, ვიზიროვკა, შუა ხარაბა, ბაშქოი, იმერა, ქვემო ხარაბა, დამბაში, ახალიკი, შიპიაკი და პატარა კლდისი. შეხვედრას დაესწრო 80 ადამიანი.

შიდა ქართლი – გაიმართა გასვლითი შეხვედრები ახალციხის, ასპინძისა და ადიგენის რაიონის შემდეგ სოფლებში: აგარა, ფერსა, მუგარეთი, გიორგინმინდა, ჭაჭარაქი, მინაძე, მუსხი, ურაველი, ტოლოში, ხერთვისი, ნაქალაქევი, ფია, თმოგვი, მირაშხანი, უნა, ხევაშენი, ნაქურდევი, ხარჯამი, ნახანი, აბასთუმანი, შორაველი, ქვემო ენთელი. შეხვედრას ესწრებოდა 145 ადამიანი.

კახეთი – ავტო-ტურის ფარგლებში განხორციელდა გასვლითი შეხვედრები საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 7 სოფელში: პატარძეული, წყაროსთავი, ნინოწმინდა, გიორგინმინდა, მანავი, კაკაბეთი, ვერხვიანი. შეხვედრას დაესწრო 67 ადამიანი.

ავტო-ტურებზე მოსახლეობამ მიიღო ინფორმაცია არალეგალური მიგრაციის საფრთხეებისა და ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობების გამოყენების შესახებ.

პროექტის ფარგლებში მომზადდა ბროშურა „არალეგალური მიგრაციის რისკები“, რომელიც მოსახლეობას ზემოაღნიშნული ავტო-ტურების დროს დაურიგდა.

პროექტის ფარგლებში, მიგრაციის თემაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, გამოცხადდა კონკურსი რადიო და სატელევიზიო სოციალური რგოლის შესაქმნელად, რომელიც ფოკუსირებულია შემდეგ გზავნილებზე:

- არალეგალური მიგრაცია: მონობა, ტრეფიკინგი, მძიმე სამუშაო და საცხოვრებელი პირობები, მუდმივად დეპორტაციის შიში.
- გააკეთე სწორი არჩევანი – არალეგალური vs ლეგალური.
- გამოიყენე ლეგალურად წასვლის/დასაქმების ახალი შესაძლებლობები.

ჯანდაცვის უფლება

საია კვლავ აქტიურად აგრძელებს მუშაობას ჯანმრთელობის უფლებასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების საკითხებზე. საანგარიშო პერიოდში გამოიცა ბროშურა პაციენტთათვის – „თავისუფლებააღკვეთილი პირის ჯანმრთელობის დაცვის უფლება“.

ბროშურა საკმაოდ ინფორმაციულია და მოიცავს პასუხებს ყველა იმ ძირითად კითხვაზე, რომლებიც შეიძლება ამ ტიპის პაციენტებს გაუჩნდეთ. იქვე მოცემულია სამედიცინო, ფსიქოლოგიური და უფლებადამცველი დაწესებულებების ჩამონათვალი, რომლებსაც შესაძლებელია პაციენტებმა მიაკითხონ. ბროშურა პაციენტთათვის მარტივ და გასაგებ ენაზეა დაწერილი. ამასთან, შინაარსობრივად ისეა აწყობილი, რომ პასუხობს კითხვებს ვინ, სად, როდის, რატომ და როგორ. ბროშურის ავტორად შეირჩა ამ სფეროში მოღვაწე მაღალკვალიფიციური ექსპერტი.

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა სპეციალური ვებ-გვერდის www.healthrights.ge განახლება, რომლის მიზანი იყო დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციის მიწოდება ადამიანის უფლებების შესახებ პაციენტთა მზრუნველობის სფეროში.

აქციები და სხვა ღონისძიებები

10 დეკემბერი – ადამიანის უფლებათა კვირეული

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 10 დეკემბერს – ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღეს – ღონისძიებათა ტრადიციული სერიით აღნიშნავს.

2012 წლის 10 დეკემბერს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და კონსტიტუციის 42-ე მუხლის ორგანიზებით გაიმართა კონფერენცია პროექტის ფარგლებში – „ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ციხის რეფორმის ადვოკატირება“. კონფერენციაზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: ალტერნატიული მონი-





ტორინგის მექანიზმი, პატიმრობის კოდექსი – პრობლემური საკითხები, პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმი, არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშემწყობი წინადადებები და სხვა.

ადამიანის უფლებათა სერიის ფარგლებში გაიმართა ასევე საიას მიერ მომზადებული კვლევების პრეზენტაციები, მათ შორის: „მედიასთან ურთიერთობის სტანდარტები საქართველოში, „ციფრულ მათემატიკაზე გადასვლა – ძირითადი გამოწვევები ეროვნული და რეგიონული მათემატიკისთვის“, „მედიაციისთვის“.

საქართველოში“. გარდა ამისა, საიამ გამოაქვეყნა ინფორმაცია საქართველოს პრეზიდენტის 2010-2012 წლების სარეზერვო ფონდებიდან თანხების ხარჯვის ძირითადი მიმართულებების შესახებ. ადამიანის უფლებათა კვირეული საიამ დახურა ანგარიშის პრეზენტაციით – „სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივაციის მქონე სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების ანალიზი“.

26 ივნისი – წამების მსხვერპლთა დასვინს საერთაშორისო დღე

26 ივნისის – წამების მსხვერპლთა დაცვის საერთაშორისო დღეს – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ყოველწლიურად სხვადასხვა ღონისძიებით აღნიშნავს. მიმდინარე საანგარიშო წელს საიამ 26 ივნისს, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შესახებ, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექცია/დისკუსია ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: სახალხო დამცველმა, სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს, პროკურატურის, არასამთავრობო სექტორისა და მედიის წარმომადგენლებმა, სტუდენტებმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა.



100 დღე ხელისუფლებაში

არასამთავრობო ორგანიზაციებმა 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოსული ახალი პოლიტიკური გუნდის საქმიანობა შეაფასეს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ 2013 წლის 18 თებერვალს კონფერენცია გამართეს თემაზე: „100 დღე ხელისუფლებაში: კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები“.



კონფერენციაზე ორგანიზაციებმა განიხილეს და შეაფასეს ახალი სამთავრობო გუნდის მიერ ინიცირებული რეფორმები. ასევე, საუბარი იყო აღნიშნულ პერიოდში ადამიანის უფლებათა სფეროში გამოვლენილ პრობლემებზე. შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი, მინისტრები, პარლამენტის წევრები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და სხვა სტუმრები. გაიმართა დისკუსია ისეთ პრობლემურ საკითხებზე, როგორიცაა მართლმსაჯულების რეფორმა, შრომის კანონმდებლობა, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების საკითხები და ა.შ.





მედია მონიტორინგი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მედია საშუალებებით ორგანიზაციის საქმიანობის გაშუქების მონიტორინგის მიზნით, უკვე რამდენიმე წელია თანამშრომლობს კვლევით ორგანიზაცია IPM-თან.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, IPM-ის მიერ მოწოდებული სტატისტიკით, საია ნახსენები იყო 73 მედია საშუალების 8488 სტატიასა თუ ტელე-რადიო სიუჟეტში.


12 ტელევიზიის ეთერით საიას შესახებ სულ გადაიცა 3636 სიუჟეტი/გადაცემა. მათ შორის, ლიდერობდა ტელეკომპანია „რუსთავი 2“ 672 გადაცემით. რაც შეეხება, რეგიონულ ტელემაუნყებლობას, საიას შესახებ ყველაზე მეტი – 202 სიუჟეტი მოამზადა ტელეკომპანია აჭარამ.

11 რადიოტალღაზე გავიდა 1162 გადაცემა, აქედან 225 სიუჟეტით ლიდერობს რადიო „პალიტრა“.

პრესის 25 საშუალებაში წლის განმავლობაში საიას შესახებ გამოქვეყნდა 1001 სტატია. ყველაზე მეტი – 351 სტატია დაიბეჭდა გაზეთ „რეზონანსში“.

რაც შეეხება ინტერნეტ-გამოცემებს, საიას შესახებ გამოქვეყნდა 2689 სტატია. მათგან პირველ ადგილს www.interpressnews.ge იკავებს 482 სტატიით.

საიას მედია დაფარვის სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:



ასევე, აღსანიშნავია სოციალურ ქსელ facebook-ში საიას აქტიურობა – მედია საშუალებებში გაშუქებული მასალების ბმულები ოპერატიულად თავსდება საიას facebook გვერდზე, ასევე, ქვეყნდება ანონსები და პოსტები მნიშვნელოვან მოვლენებზე.

ეფექტიანი.
ანბარიშპაღდებუღი დუ
ბამჭვირბაღე მბარიშპაღდების
ხელშეწყობა ხამარიშპაღდოში

ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ისევე, როგორც გასულ საანგარიშო წლებში, წელსაც ამ მიზნით საიამ მნიშვნელოვანი აქტივობები განახორციელა, კერძოდ: ანტიკორუფციული თუ სხვა თემატური კვლევები, მართლმსაჯულების პრობლემების ანალიზი – კონკრეტული საქმეების შესწავლისა თუ სასამართლო პროცესების მონიტორინგის გზით, პარლამენტთან მუშაობა კანონმდებლობის დახვეწის მიზნით, წინასაარჩევნო პროცესებისა და არჩევნების დაკვირვება და ა.შ.

საანგარიშო პერიოდში საიას მიერ რამდენიმე მნიშვნელოვანი კვლევა მომზადდა.

ანტიკორუფციული კვლევები

ქუთაისის წყლის სისტემის რეაბილიტაციის მონიტორინგი

ბოლო წლებში ადგილობრივ თვითმმართველობებში არაერთი ძვირადღირებული მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. კვლევის შედეგად, რომელიც ქუთაისის წყლის სისტემის რეაბილიტაციას ეხებოდა, ცნობილი გახდა, რომ:

- არ არსებობს ქუთაისის წყალმომარაგების სისტემის ერთიანი პროექტი.
- ქუთაისის წყალმომარაგების კომპონენტის კერძო კომპანიისთვის გადაბარებამ არსებითად გაზარდა კანონდარღვევის რისკები, შესაბამისად, შეამცირა გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების შესაძლებლობა.
- შეუძლებელია იმ თანხის ზუსტი ოდენობის განსაზღვრა, რაც ქ. ქუთაისის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციისთვის დაიხარჯა. 2006-2011 წლებში, ამ მიზნით, მთლიანობაში მინიმუმ 50,092,096.6 მილიონი დაიხარჯა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების ერთ ლარად გასხვისების მონიტორინგის ანგარიში

აჭარის ა/რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ერთ ლარად გასხვისების შემთხვევები მუდმივად რჩებოდა საზოგადოების ინტერესის სფეროში. შესაბამისად, საიას მიერ მომზადდა ანგარიში, რომელიც აჭარის ა/რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების ერთ ლარად გასხვისების ფაქტებს ეხებოდა. კვლევის შედეგად, ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა:



- ხელშეკრულებათა არასათანადო კონტროლს.
- ხელშეკრულებათა ხშირ ცვლილებას და ბუნდოვნებას.
- მყიდველთა არასტაბილურ ფინანსურ მდგომარეობას.

საიას ხელთ არსებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, აჭარის ა/რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ერთ ლარად გასხვისების შემთხვევებიდან, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სრულად მხოლოდ ექვს შემთხვევაში შესრულდა. ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, 13 მყიდველთან შეწყდა ნასყიდობის ხელშეკრულება, ხოლო 17 მყიდველთან ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადები გაგრძელდა.

თვითმმართველობების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირების კვლევა

საქართველოში სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ ბოლო წლებში მასობრივად ხდებოდა არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირების დაფუძნება. პარალელურად, ააიპ-ებს გადაეცემოდა როგორც ფინანსები, ასევე, ქონება საკუთრების სახით. იმავედროულად, საზოგადოებისთვის უცნობი იყო ინფორმაცია აღნიშნული ააიპების საქმიანობის და დამფუძნებლების ანგარიშვალდებულების შესახებ.

საიას მიერ მომზადებული კვლევის შედეგად, ცნობილი გახდა, რომ:

- საქართველოს კანონმდებლობა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაფუძნებული ააიპ-ების საქმიანობის გამჭვირვალობას და მათ მიერ განხორციელებული შესყიდვების თუ ქონების გასხვისების კონტროლს.
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ააიპ-ების დაფუძნების მიზნით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას არ ასაბუთებდნენ, თუ რა გარემოებებზე დაყრდნობით იღებდნენ ამგვარ გადაწყვეტილებას.
- ზოგიერთ შემთხვევაში, წესდებით არ იყო განსაზღვრული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაფუძნებული ააიპ-ების კონტროლის მექანიზმები, ხოლო სხვა შემთხვევაში, არ ხდებოდა არსებული კონტროლის მექანიზმების ეფექტური გამოყენება.

თბილისის მერიის პროექტი – „სავაჭრო ჯიხურები ქალაქის მასშტაბით“

2011 წლის საანგარიშო პერიოდში საიამ, ქ.თბილისში გარე-ვაჭრობასთან დაკავშირებით, მონიტორინგი აწარმოვა, თუმცა, 2011 წლის შემოდგომაზე, თბილისის მთავრობის მიერ შემოღებული ახალი წესების შემდეგ, სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა. შესაბამისად, საიამ კვლავ განაგრძო მუშაობა ამ მიმართულებით და მოამზადა კვლევა, რომელმაც აჩვენა, რომ:

- თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ უსაფუძვლოდ ხდებოდა თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოში იმ პირების გადამისამართება, რომლებიც დადგენილი წესით განცხადებით მიმართავდნენ არქიტექტურის სამსახურს და საზოგადოებრივ ადგილებში გარე ვაჭრობის განხორციელების თაობაზე თანხმობის გაცემას სთხოვდნენ.
- ზოგიერთი ის კომპანია, რომელიც თბილისში სავაჭრო ჯიხურებს ფლობდა, გაუმართლებელი პრივილეგიებით სარგებლობდა.
- თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ არ ჩატარებულა კანონმდებლობით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოება და, შესაბამისად, არ მიღებულა გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც, მოხდებოდა იმ სავაჭრო ჯიხურების დემონტაჟი, რომლებიც თბილისის მასშტაბით სამართლის ნორმების მოთხოვნათა დარღვევით იყო განთავსებული.





საჯარო სამსახურში პრემიის გაცემის წესი – საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებული პრაქტიკა

საჯარო მოხელეთა ანაზღაურების საკითხი საჯარო სამსახურის ფუნქციონირების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. საქართველოში საჯარო მოხელეთა ანაზღაურების საკითხი, განსაკუთრებით პრემიის გაცემის ნაწილში, დღემდე პრობლემად რჩება. შესაბამისად, საიას მიერ მომზადდა კვლევა, რომელიც საჯარო სამსახურში პრემიის გაცემის წესს ეხება და საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებულ პრაქტიკას აანალიზებს.

კვლევამ რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი გამოავლინა, კერძოდ:

- შესწავლილ ადმინისტრაციულ ორგანოთა უმრავლესობაში არ არსებობს საჯარო მოხელეთა პრემიების წესი, რომლის შესაბამისადაც, მოხდება პრემიების გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.
- პრემიების გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას არ ახლავს დასაბუთება, რომელშიც მითითებული იქნება, თუ რა კონკრეტული მიღწევის, დამსახურების გამო იღებს ესა თუ ის საჯარო მოხელე პრემიას.
- გაცემული პრემიების მოცულობა წარმოადგენს საჯარო მოხელეთა შრომითი გასამრჯელოს არსებით ნაწილს და მნიშვნელოვნად აღემატება მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში არსებულ საშუალო მაჩვენებელს.


რეაბილიტაციის პროცესი ფასადს მიღმა (ბათუმის რეაბილიტაცია)

ანგარიში წარმოადგენს სერიის – „რეაბილიტაციის პროცესი ფასადს მიღმა“ – მეორე დამოუკიდებელ ნაწილს და იგი მთლიანად ბათუმის რეაბილიტაციას უკავშირდება.

კვლევის ძირითადი ნაწილი ბათუმის თვითმმართველობის მიერ 2009-2013 წლებში განხორციელებულ ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ პროგრამას ეხება. ასევე, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ბათუმში არსებული კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ძეგლებს და ამ ძეგლების ბედს ბათუმის რეაბილიტაციის პროცესში.

კვლევის შედეგად, ცნობილი გახდა, რომ:

- 2009-2013 წლებში პროგრამის განხორციელების დროს ბათუმის მერიის მიერ ყველაზე ხშირად სახელმწიფო შესყიდვების ის ფორმები გამოიყენებოდა, რომლებიც, როგორც წესი, ნაკლებად კონკურენტულია და ვერ უზრუნველყოფს გამჭვირვალობის მაღალ სტანდარტს. მარტო ჰიაცას მოედნის პროექტის, ალფაბეტური კოშკის მშენებლობისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის მიზნით, ბათუმის მერიამ **80 მილიონ ლარზე მეტი** ღირებულების სახელმწიფო შესყიდვა ერთ პირთან მოლაპარაკებისა და გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის გზით განახორციელა.



- სხვადასხვა წელს პროგრამის ფარგლებში, ბათუმის მერიის მიერ მომსახურებისა და სამუშაოს სახით, მილიონობით ლარის ღირებულების არაერთი ისეთი პროექტი იქნა შესყიდული, რაც შემდგომში აღარ განხორციელებულა. ამ ტიპის პროექტების ნათელ მაგალითს წარმოადგენს: ოპერის თეატრის მშენებლობა ბათუმის ძველ ბულვარში, ბათუმის ფორტი სანაპიროზე, პიაცას გადახურვის პროექტი და სხვა. მხოლოდ ანგარიშში განხილული პროექტების მაგალითზე, საიამ ბათუმის მერიის მიერ განუხორციელებელ პროექტებზე გახარჯული **3,533,364 ლარი** დაითვალა.
- ანგარიშში მოცემული მასალების მიხედვით ცნობილი გახდა, რომ იმ ფონზე, როდესაც ბათუმის „ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამის“ ფარგლებში არცთუ ცოტა პროექტი დაფინანსდა, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც საბოლოოდ არ განხორციელებულა, დაფინანსებული პროექტების პარალელურად ბათუმში არაერთი კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე შენობა განადგურდა და/ან მნიშვნელოვნად იცვალა სახე.

საჯარო სამსახურებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენის წესი – საქართველოში არსებული პრაქტიკა და საერთაშორისო გამოცდილება

აღნიშნულ კვლევაზე მუშაობის დროს საიას მიზანს წარმოადგენდა იმის გარკვევა, თუ რა მდგომარეობაა საჯარო დაწესებულებებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენის მიმართულებით და, რეალურად, რა თანხები იხარჯება ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე.

საიას კვლევის შედეგად, რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია გამოიკვეთა:

- საჯარო დაწესებულებებს არ აქვთ მიღებული სამართლებრივი აქტი, რომლითაც განისაზღვრება ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენის წესი, გადასახდელი თანხის მაქსიმალური ოდენობა, ავტოპარკის განახლების წესი და ა.შ.
- 2011 წლის იანვრიდან მონიტორინგის სუბიექტებმა **2123 ავტოსატრანსპორტო საშუალება შეისყიდეს**, რომლის ღირებულებამ ჯამში **60,180,967 ლარი, 16,545,081 დოლარი და 110,000 ევრო** შეადგინა.
- საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით გამოვლინდა, რომ სახელმწიფო შესყიდვების მიზანშეწონილობისა და საბიუჯეტო შესაბამისობის მიღწევა, რომელიც ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი ხარჯვის უზრუნველსაყოფად, ხორციელდება შიდა ორგანიზაციული სტრუქტურისა და რეგულაციების ფონზე. კვლევის თანახმად კი, საქართველოს საჯარო დაწესებულებებში მსგავსი ტიპის სამართლებრივი დოკუმენტის მოძიება ვერ მოხერხდა.





კვლევაზე მედია სფეროში

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრის ფარგლებში, გარდა მედიის წარმომადგენელთა სამართლებრივი დახმარებისა, მომზადდა კვლევები მედია სფეროში მიმდინარე აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით.

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა – ძირითადი გამოწვევები ეროვნული და რეგიონული მაუწყებლებისთვის

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა არის საერთაშორისო ვალდებულება, რომელიც საქართველომ, ისევე როგორც სხვა ქვეყნებმა, საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე აიღეს. გაციფრულებისათვის საჭირო სამუშაოების დასრულების საბოლოო ვადად საქართველოსათვის 2015 წლის 17 ივნისი განისაზღვრა.

საიამ კვლევის ფარგლებში წარმოადგინა მოსაზრებები ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისას გასათვალისწინებელ ძირითად საკითხებზე, თუ რამდენად მასშტაბური სამუშაო აქვს ჩასატარებელი საქართველოს, რათა ამ გამოწვევას მომზადებული შეხვდეს. ამასთანავე, წარმოდგინილ იქნა რეკომენდაციები ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესების დაჩქარების მიზნით.

მედიასთან ურთიერთობის სტანდარტები საქართველოში

კვლევაში განხილულია საქართველოში მედიის წარმომადგენლებთან ადმინისტრაციული ორგანოების ურთიერთობის ფორმები. საკითხის შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი ტენდენციები:

- ადმინისტრაციულ ორგანოებს შემუშავებული აქვთ მედიასთან ურთიერთობის განსხვავებული სტანდარტები.
- უმეტეს შემთხვევაში, მედიასთან ურთიერთობა არ წესრიგდება სპეციალური აქტით.
- მედიასა და ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში არსებული პრობლემები მეტ-ნაკლებად უკავშირდება გადანყვებილების მიმღები პირების სუბიექტურ დამოკიდებულებას მედიისადმი.
- ძირითად შემთხვევებში, მედიასა და ადმინისტრაციული ორგანოების ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები ზედაპირული ხასიათისაა და მხოლოდ შენობაში დაშვების წესს არეგულირებს.



კვლევის ფარგლებში, მედიასთან ურთიერთობების სტანდარტების გაუმჯობესების მიზნით, წარდგინილ იქნა რეკომენდაციები.

გამოხატვის თავისუფლება – მედიის მდგომარეობის ანალიზი

ანგარიშში, საქართველოში გამოხატვის თავისუფლების ძირითადი ტენდენციების გამოკვეთის მიზნით, ყურადღება გამახვილებულია მის ერთ-ერთ ძირითად ნიშანზე – მედიის საქმიანობის თავისუფლებაზე. ანგარიშში მიმოხილულია გამოხატვის თავისუფლების როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნული საკანონმდებლო რეგულაციები, განხილულია საქართველოს კანონმდებლობაში მედიის კუთხით განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებები. ანგარიში ასევე მოიცავს საერთაშორისო/არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებებს საქართველოში მედიის თავისუფლების ხარისხთან დაკავშირებით.

ანგარიშიში განხილულია საიას მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრის წარმოებაში არსებული საქმეები, რომელთა შორისაა: სტუდია „რეპორტიორი“ და ვახტანგ კომახიძე საქართველოს წინააღმდეგ, 26 მაისის საქმე, მედია ორგანიზაციები სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წინააღმდეგ, შპს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგის“ და შპს „სტუდია მაესტროს“ კუთვნილი სატელიტური ანტენების დაყადაღება და ა.შ.

მედია-ბიზნესი საქართველოში

კვლევის ფარგლებში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ შესწავლილ იქნა საქართველოში მედია-ბიზნესის განვითარების ტენდენციები, მაუწყებლის საკუთრების კონცენტრაცია და მედიის სფეროში მომსახურების შესყიდვისას საჯარო დაწესებულებების არჩევანი.

საიას მიერ მოძიებულმა ფაქტებმა კიდევ ერთხელ გამოკვეთა შეუმჩნეველი ზღვარი მედიასა და პოლიტიკას შორის. კვლევამ აჩვენა, რომ მედიის მდგომარეობა ქვეყანაში ერთ-ერთ მწვავე და მნიშვნელოვან პრობლემად რჩება.



მედია სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება

მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრი აქტიურად მუშაობდა მედია სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის დახვეწის მიმართულებით. კოალიცია „მედიის ადვოკატირებისათვის“ ფარგლებში, რომლის წევრიც არის საია, საანგარიშო პერიოდში მომზადდა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები, რომელიც მოიცავდა მედიისთვის მნიშვნელოვან შემდეგ საკითხებს:

1. **საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტების წესის შეცვლა.** განისაზღვრა საბჭოს დაკომპლექტების ახალი წესი, რომელიც 2014 წლიდან ამოქმედდება და შესაძლებელს გახდის საზოგადოებრივ მაუწყებელში პოლიტიკური ბალანსის დაცვას, რაც ერთგვარად მის მიუკერძოებლობაზე იმოქმედებს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შესაძლებელი იყო მხოლოდ უმრავლესობის მიერ შერჩეული კანდიდატებით დაკომპლექტებული საბჭოს არსებობა.
2. **must carry- და must offer-ის პრინციპების მუდმივმოქმედ ნორმებად ჩამოყალიბება.** 2012 წელს საქართველოს საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, აღნიშნული პრინციპები მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში მოქმედებდა. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების თანახმად კი, must carry-ს და must offer-ის პრინციპები მუდმივმოქმედი გახდა. ამასთანავე, დეტალურად იქნა დარეგულირებული და განუერილი მათი მოქმედების წესები.
3. **აჭარის ტელევიზიის სტატუსის განსაზღვრა.** აჭარის ტელევიზიის სტატუსი წლების განმავლობაში გაურკვეველი იყო. განხორციელებული ცვლილებებით კი, უნდა ჩამოყალიბდეს სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო.
4. **ფინანსური გამჭვირვალობა.** გაიზარდა მაუწყებელთა შემოსავლების გამჭვირვალობა. კანონპროექტი აქტიურად განიხილებოდა კოალიცია „მედიის ადვოკატირებისათვის“ შეხვედრებზე, რომელსაც კოალიციის წევრებთან ერთად ის სუბიექტებიც ესწრებოდნენ, რომლებზეც ცვლილებები გავლენას მოახდენდა. მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრი, კოალიციის წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტში აღნიშნული კანონპროექტის განხილვის პროცესშიც.

საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული წინადადებების გათვალისწინებით 2013 წელს მიიღო კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ.





საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრი ასევე მუშაობდა ორ მნიშვნელოვან საკითხზე:

- *კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში ფოტო-ვიდეო გადაღებაზე დაწესებული შეზღუდვების გაუქმების მიზნით გაწეული აქტივობა*

2012 წლის 24 სექტემბერს საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო დადგენილება, რომელიც მთელ რიგ შეზღუდვებს აწესებდა კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში ფოტო-ვიდეო გადაღების წარმოებაზე. დადგენილებით დაწესებული შეზღუდვები ხელს უშლიდა მედია საშუალებებს არჩევნების დღის სრულყოფილად გაშუქებაში. დადგენილების მიღების დღიდან საიამ მრავალი აქტივობა განახორციელა მისი გაუქმების მოთხოვნით. კერძოდ, მიღებისთანავე დადგენილება გასაჩივრდა სასამართლოში, რომელმაც არ გაიზიარა საიას და სხვა მოსარჩელე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედია საშუალებების პოზიცია დადგენილების კანონთან შეუსაბამობის თაობაზე.

2013 წლის 20 სექტემბერს მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრმა გამართა შეხვედრა, რომელზეც განხილულ იქნა დადგენილების შეუსაბამობა საქართველოს კანონმდებლობასთან. ამასთან, ცენტრმა წარადგინა მის მიერ ჩატარებული ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგები. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და წევრები, მედიის წარმომადგენლები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებმაც გამოთქვეს მოსაზრებები დადგენილებით გამოწვეული დაბრკოლებებისა და მათი აღმოფხვრის გზების შესახებ. შედეგად, ცესკომ აღნიშნა, რომ დადგენილება მართლაც შეიცავდა კანონსაწინააღმდეგო დებულებებს, რიგ შემთხვევაში, უსაფუძვლოდ ზღუდავს საარჩევნო პროცესის დაკვირვებას და, სულ მცირე, საჭიროებდა მოდიფიცირებას.

2013 წლის 16 ოქტომბერს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება 2012 წლის 24 სექტემბრის დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ და გააუქმა აკრძალვა დამკვირვებლებისა და მედია საშუალებებისთვის კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბანზე განმეორებით შესვლასთან დაკავშირებით. ასევე, ამოღებულ იქნა დადგენილების ის პუნქტი, რომელიც კრძალავდა ხმის მიცემის კაბინის გადაღებას და განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლეოდა. ამასთან, დაკონკრეტდა, რომ 3 მეტრიანი დისტანციიდან ნებისმიერი საგნის/ობიექტის ფოტო-ვიდეო გადაღების ვალდებულება მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ კენჭისყრის შენობა იძლევა ასეთი დისტანციის დაცვის შესაძლებლობას. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ცვლილებების შემდეგ ჟურნალისტების საქმიანობა საარჩევნო უბნებზე გაუმჯობესდება.

საქართველოს კონსტიტუციის ეროვნული კომისიის დაკომპლექტების წესის დახვეწის მიზნით გაწეული აქტივობა

2013 წლის სექტემბერში საქართველოს პარლამენტმა დაჩქარებული წესით განიხილა „მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონში“ შესატანი ცვლილებები. აღნიშნული განხილვის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტს გაეგზავნა საიას მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრისა და საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს ერთობლივი წინადადებები აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით, რაც პარლამენტმა ნაწილობრივ გაითვალისწინა. 2013 წლის 27 სექტემბერს პარლამენტმა მიიღო „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები, რომლებიც განსაზღვრავს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრთა დაკომპლექტებას პროფესიული ნიშნით შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილების მქონე პირებით, ასევე, კანდიდატურათა შერჩევის პროცედურის გამჭვირვალობას. საია მომავალშიც გააგრძელებს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი იმ ცვლილებების ლობირებას, რომლებიც არ იქნა გათვალისწინებული საქართველოს პარლამენტის მიერ ამ კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის ფარგლებში და რომლებიც მიზნად ისახავს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, როგორც დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს, რეალური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას.

საიას მონაწილეობა საკანონმდებლო პროცესში

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მუშაობას შეუდგა ახალი, მერვე მონვევის პარლამენტი, რომლის ფორმირება 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგად მოხდა. მის მთავარ თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ: პოლიტიკურ ძალთა უფრო მეტად დაბალანსებული წარმომადგენლობა, საქმიანობის ახალი ადგილი, ახალი რეგლამენტი (ძალაში შევიდა არჩევნების შემდგომ). რიგი სფეროების რეფორმირების მიზნით, საქართველოს პარლამენტში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვანი კანონპროექტების ინიცირებასა და საკმაოდ ინტენსიურ საკანონმდებლო პროცესს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მუშაობის პრაქტიკაში ახალი ტენდენციები გამოიკვეთა. კერძოდ, საკომიტეტო მოსმენები იმართებოდა მხოლოდ პლენარული სხდომების კვირაში, რამაც საკმაოდ დიდი ქაოსი გამოიწვია. ხშირად რამდენიმე კომიტეტის სხდომა ერთდროულად იმართებოდა, რასაც თან ერთვოდა სხდომის შესახებ ინფორმაციის წინასწარ გამოქვეყნების ვალდებულების დარღვევა. ამ უკანასკნელ პრობლემაზე საიამ არაერთგზის გაამახვილა ყურადღება და გავრცელებული საჯარო განცხადებებით მოუწოდა პარლამენტს რეგლამენტის ნორმების დაცვისკენ.

ამ პერიოდისათვის გამოკვეთილი კიდევ ერთი ტენდენცია უკავშირდება რამდენიმე შემთხვევას, როდესაც კანონშემოქმედებით პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობას ადგილი ჰქონდა კანონპროექტის პარლამენტში ინიცირებამდე, იუსტიციის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, რაც, ბუნებრივია, პოზიტიურად უნდა შეფასდეს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს პარლამენტში 359 კანონპროექტი იქნა ინიცირებული. ზოგიერთ შემთხვევაში, პარლამენტის მუშაობის სწრაფი ტემპიდან გამომდინარე, ვერ ვახერხებდით აღნიშნულ ორგანოსთან წერილობით კომუნიკაციას. შესაბამისად, 9 კანონპროექტთან დაკავშირებით, ჩვენი მოსაზრებები ორგანიზაციის ვებ-გვერდზე ოფიციალური განცხადებების გამოქვეყნების გზით გავავრცელებთ. აღნიშნული განცხადებები შეეხებოდა შემდეგ საკითხებს: პროკურატურის რეფორმა, უმაღლესი განათლების კანონში შესატანი ცვლილებები მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დაკავშირებით, რექტორის მოვალეობის დროებითი შემსრულებლის დანიშვნის წესი, ნაფიცი მსაჯულების მიერ საქმის განხილვის წესი, მონმეთა დაკითხვის ახალი წესების ამოქმედების გადადების საკითხი და სხვა. მო-





ცემულ პერიოდში ორგანიზაცია ჩართული იყო ისეთ მნიშვნელოვან პროცესში, როგორც იყო სა-სამართლო სისტემის რეფორმა. აღნიშნულ საკითხებზე აქტივობები ხორციელდებოდა კოალიცია „გამჭვირვალე და დამოუკიდებელი მართლმსაჯულებისათვის“ ფარგლებში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს პარლამენტს სამართლებრივი დასკვნა წარ-ვუდგინეთ 20 კანონპროექტთან დაკავშირებით, მათ შორის, შემდეგ საკანონმდებლო ინიციატივე-ბზე:

1. „ამნისტიის შესახებ“.
2. „საქართველოს შრომის კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“.
3. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაო-ბაზე“ და „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“.
4. „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“.
5. „პოლიციის შესახებ“.
6. „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“.
7. „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“.
8. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.
9. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“.
10. „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტა-ნის თაობაზე“.
11. „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 4 კონსტიტუციური კან-ონის პროექტი და სხვა.

საიას მიერ 20 კანონპროექტზე წარდგენილი დასკვნიდან 2 სრულად იქნა გათვალისწინებული, 6 – ნაწილობრივ, 7 არ გათვალისწინებულა, 4 კანონპროექტზე განხილვა ჯერ არ დასრულებულა, ხოლო 1 კანონპროექტი საერთოდ არ იქნა მიღებული წარმოებაში. საიას მიერ გამოქვეყნებულ 9 განცხადე-ბაში მითითებული რეკომენდაციები 5 შემთხვევაში იქნა გათვალისწინებული, 4 შემთხვევაში კი, არ შესრულებულა.

საქართველოს პარლამენტის მიერ გათვალისწინებულ რეკომენდაციებს შორისაა:

1. **ნაფიცი მსაჯულები.** პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტით, ბრალდებულს ერთ-მეოდა შესაძლებლობა, დამოუკიდებლად ეთქვა უარი და აეცილებინა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმის განხილვა. საია და მისი პარტნიორი ორგანიზაციები ლობირებდნენ ბრალდებულისათვის აღნიშნული უფლების შენარჩუნებას. კანონპროექტის სამი მოსმე-ნით მიღების შემდეგ, პრეზიდენტმა ვეტოს უფლება გამოიყენა და პარლამენტი კვლავ მი-უბრუნდა მის განხილვას. აღნიშნულ ეტაპზე მიღებული გადაწყვეტილებით, პარლამენტმა არ დაუჭირა მხარი კანონპროექტს და გაიზიარა საიასა და მისი პარტნიორი ორგანიზაციებ-ის რეკომენდაცია, რის შედეგადაც მოქმედი ნორმა დარჩა ძალაში.
2. **შრომის კოდექსში შესატანი ცვლილებები.** შრომის კოდექსის რეფორმირების პროცესში საიას კომუნიკაცია ჰქონდა როგორც იუსტიციის სამინისტროსთან, ასევე პარლამენტთან. საიას შენიშვნების ნაწილი კანონპროექტის პარლამენტში ინიცირებამდე იქნა გათვალ-ისწინებული. შრომის კოდექსში შესატანი ცვლილებების განხილვისას გათვალისწინებულ იქნა საიას შემდეგი რეკომენდაციები: ახლებურად დარეგულირდა ზეგანაკვეთური სამუშაო დრო და განისაზღვრა ზეგანაკვეთური შრომის სრულად (ყველა პერიოდზე) ანაზღაურების ვალდებულება; დამსაქმებელს აეკრძალა ორსული ქალის სამსახურიდან გათავისუფლება აღნიშნული ფაქტის შეტყობინების მომენტიდან; განისაზღვრა შესაბამისი საფუძვლის არ-სებობისას ხელშეკრულების ავტომატურად შეჩერების წესი, თუ დამსაქმებელი არ განახ-

ორციელებს ზემოაღნიშნულს; ჩაიდო კრიტერიუმები შრომითი ხელშეკრულების უვადოდ მიჩნევისათვის.

3. **საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილება.** სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების მომზადებისას იუსტიციის სამინისტრომ გაიზიარა საიას რამდენიმე მოსაზრება, რის შემდეგაც უარი თქვა ძებნილი პირისათვის გასაჩივრების უფლების შეზღუდვაზე, ხოლო ყადაღის დადების გასაჩივრების უფლება მიანიჭა იმ პირს, რომელსაც არ აქვს ბრალდებულის სტატუსი, მაგრამ მისი ქონებრივი უფლებები შეიძლება დაირღვეს ამგვარი განჩინების შედეგად.
4. **საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილება.** კონსტიტუციური კანონის პროექტი, სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებდა იმ აკრძალვის გაუქმებას, რომლის მიხედვითაც, დაუშვებელი იყო პარლამენტის დათხოვნა მისი არჩევიდან პირველი 6 თვის და პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ბოლო 6 თვის განმავლობაში. საიას შეფასებით, აღნიშნული ცვლილება ასუსტებდა პარლამენტის ინსტიტუტს და მას პრეზიდენტზე დამოკიდებულს ხდიდა, რის გამოც, მისი მიღება დაუშვებელი იყო. საბოლოოდ, პარლამენტმა გაითვალისწინა საიას შენიშვნა და კონსტიტუციის ამ ნაწილში ცვლილება აღარ შესულა.
5. **„პოლიციის შესახებ“ ახალი კანონი.** აღნიშნული კანონპროექტის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პარლამენტში განხილვისას, საიას შენიშვნების ნაწილი გათვალისწინებულ იქნა. მათ შორისაა: 1) პოლიცია აღარ არის გასამხედროებელი დანესებულებების სისტემა; 2) პოლიციური ღონისძიება, რომელიც იწვევს უფლებების შეზღუდვას, დაიშვება არა კანონქვემდებარე აქტის, არამედ მხოლოდ კანონის საფუძველზე; 3) ახალი კანონით, პოლიციას უფლება აქვს, პირი შეტყობინებით მოიწვიოს პოლიციის ორგანოში გასაუბრების მიზნით. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია. საიას რეკომენდაციით, პირს მონვევის შესახებ შეტყობინებაშივე ეცნობება პოლიციაში გამოცხადებისა და პოლიციის განყოფილების დატოვების ნებაყოფლობითობის შესახებ; 4) ახალი კანონით, პოლიცია უფლებამოსილია, გამოჰკითხოს პირს, არსებობს თუ არა საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ის ფლობს პოლიციის ფუნქციების შესრულებისათვის საჭირო ინფორმაციას. საიას რეკომენდაციით, ასეთი გამოკითხვის დროს მოქალაქის მიერ ინფორმაციის გაცემა ნებაყოფლობითია, რის შესახებაც მას დასაწყისშივე უნდა განემარტოს; 5) კანონით დადგენილ შემთხვევებში, პოლიციას უფლება აქვს, პირის იდენტიფიკაციისათვის მიმართოს ისეთ ღონისძიებებს, როგორებიცაა: თითის ანაბეჭდების აღება, ფოტოსურათის გადაღება თუ სხვა ბიომეტრიული მონაცემების დაფიქსირება. საიას შენიშვნის გათვალისწინების შედეგად, „პირის იდენტიფიკაციის ღონისძიების განხორციელებამდე ამ პირს უნდა მიეცეს საშუალება, გონივრულ ვადაში ნებაყოფლობით დაამტკიცოს თავისი ვინაობა“; 6) პოლიციას უფლება აქვს, კანონით გათვალისწინებული საფუძველების არსებობისას, გააჩეროს პირი და განახორციელოს მისი ზედაპირული შემოწმება, ასევე, ნივთისა და სატრანსპორტო საშუალების ზედაპირული დათვალიერება. საიას რეკომენდაციების გათვალისწინების შედეგად, აღნიშნული პროცედურის განხორციელების დროს რამდენიმე გარანტია იმოქმედებს, კერძოდ: პირის შეჩერების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 წუთს; ნივთისა და სატრანსპორტო საშუალების ზედაპირული დათვალიერება მხოლოდ ვიზუალური დათვალიერებით შემოიფარგლება; ზედაპირული შემოწმებისას ჩხრეკის საფუძვლის წარმოშობისას, ჩხრეკა ჩატარდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დაცვით; 7) სპეციალური საპოლიციო კონტროლისას (ე.წ. რეიდი) ხორციელდება მხოლოდ ზედაპირული შემოწმება და დათვალიერება; 8) პირის იდენტიფიკაციისას, პირის მონვევის შედეგად მასთან გასაუბრებისას, ზედაპირული შემოწმებისა და დათვალიერებისას შედგება ოქმი, სადაც სხვა ფაქტობრივ ინფორმაციასთან ერთად მითითებული იქნება ღონისძიების გატარების საფუძველები; 9) გენერალური ინსპექცია, დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, შესაბამის მასალებს დაუყოვნებლივ გადასცემს საქართველოს მთავარ პროკურატურას.



საინტერესო პრეცედენტს ჰქონდა ადგილი სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევისა და სასამართლოსადმი უპატივცემლობის საკითხებზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანისას. დაახლოებით ერთი წლის წინ საიამ საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლი, რომელიც ზემოაღნიშნულ საკითხებს შეეხება. საიას მიერ შეტანილი კონსტიტუციური სარჩელი სასამართლომ წარმოებაში მიიღო, თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე საქართველოს პარლამენტმა თავად გადაწყვიტა გასაჩივრებული ნორმის შეცვლა. ამ მიზნით მომზადებულ კანონპროექტზე საიამ პარლამენტს ზეპირი ფორმით წარუდგინა თავისი შენიშვნები, რომლებიც გაზიარებულ იქნა. საიას აქტივობის შედეგად: წესრიგის დამრღვევი პირის დაჯარიმებამდე ან/და გაძევებამდე მოსამართლე მას აძლევს ზეპირ შენიშვნას და მოუწოდებს, შეწყვიტოს არასათანადო ქცევა; პირს მიეცა გაძევებისა და დაჯარიმების თაობაზე სასამართლოს განკარგულების გასაჩივრების უფლება; თუ შესაბამისი სასამართლო დააკმაყოფილებს პირის საჩივარს სასამართლო სხდომის დარბაზიდან მისი გაძევების უკანონოდ ცნობისა და სხდომაზე მისი დაბრუნების შესახებ, გაძევებულ პირს აქვს სხდომაზე დაბრუნების შესაძლებლობა. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, როცა საქართველოს პარლამენტი მხედველობაში იღებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილ სარჩელს და მის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გამოსწორების თაობაზე.

საკანონმდებლო წინადადება

საანგარიშო პერიოდში საიამ პარლამენტს განმეორებით წარუდგინა **საკანონმდებლო წინადადება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე.**

კანონპროექტის მიზანს წარმოადგენდა ადმინისტრაციული პატიმრობის, როგორც ადმინისტრაციული სახდელის ზომის გამოყენების, შეჩერება 2013 წლის 1 იანვრამდე, რადგან ამ პერიოდისთვის იგეგმებოდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სფეროს რეფორმის დასრულება, რომელიც მიზნად ისახავდა ამ მიმართულებით არსებული გამოწვევებისა და მოქმედი კოდექსის ხარვეზების გამოსწორებას. საიას მიერ პარლამენტისათვის შეთავაზებული ცვლილება ითვალისწინებდა ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებული პირისათვის იმავე გარანტიების უზრუნველყოფას, რაც მინიჭებული აქვს პატიმრობაშეფარდებულ პირს სისხლის სამართლის პროცესში, ვინაიდან ადმინისტრაციული პატიმრობა სისხლისსამართლებრივი ბუნების მქონე სანქციას წარმოადგენს და პროცესუალური გარანტიების არარსებობა პროცესის ყველა ეტაპზე არღვევს ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებული პირის ფუნდამენტურ უფლებებს.

ამასთან, წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებდა რიგ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან მიმართებით ადმინისტრაციული სახდელის ზომის – პატიმრობის – ალტერნატივად ჯარიმის დაწესებას.

წინადადება განიხილა პარლამენტის იურიდიულმა კომიტეტმა, თუმცა, არ გაიზიარა.

საანგარიშო პერიოდში საიამ, **პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, ასევე აქტიურად იყო ჩართული საქართველოს პარლამენტში 2013 წლის მარტში შექმნილი ინტერფრაქციული ჯგუფის მუშაობაში**, რომლის ფარგლებშიც მოხდა საარჩევნო კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების მომზადება. პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, საიამ ჯგუფს რეკომენდაციები და მუხლობრივი ფორმულირებები შესთავაზა ოთხ მნიშვნელოვან თემაზე: ამომრჩეველთა სიები, ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენების რეგულირება, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესატანი ცვლილებები, მედია რეგულაციები. დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ წარდგენილი რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი გათვალისწინებულ იქნა.

საანგარიშო პერიოდში, კოალიცია „მედიის ადვოკატირებისათვის“ ფარგლებში საია ლობირება და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატან ცვლილებებს. ცვლილებები შეეხებოდა ოთხ ძირითად საკითხს: სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტების წესის შეცვლა, must carry-ს და must offer-ის პრინციპების მუდმივმოქმედ ნორმებად ჩამოყალიბება, აჭარის ტელევიზიის სტატუსის განსაზღვრა და მაუწყებელთა ფინანსური შემოსავლების გამჭვირვალობის გაზრდა. შედეგად, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“, რომელშიც კოალიციის მოსაზრებებიც იქნა გათვალისწინებული. კანონი 2013 წლის ივნისში ამოქმედდა.

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ადგილობრივ თვითმმართველობებში მონიტორინგი

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ადგილობრივ თვითმმართველობებში პოლიტიკურ ძალთა გადანაწილების პროცესი დაიწყო, რომელსაც ადგილებზე მასშტაბური საკადრო ცვლილებები მოჰყვა. ძალთა გადანაწილების აღნიშნული პროცესი კი, მთელ რიგ შემთხვევებში, მტკიცენიულოდ, საპროტესტო აქციების, დაპირისპირების და ძალადობის, თანამდებობის პირთა მიმართ დაწყებული დევნის, საკრებულოს ფრაქციების დაშლის ფონზე მიმდინარეობდა. რაც მთავარია, უხეშად ირღვეოდა მოქმედი კანონმდებლობის ნორმები.

ეფექტური მმართველობის უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით, საიამ ადგილობრივ თვითმმართველობებში განვითარებული მოვლენები შეისწავლა. მონიტორინგის პროცესში საჯარო ინფორმაცია საქართველოს 10 რეგიონის 64 მუნიციპალიტეტიდან და თვითმმართველი ქალაქიდან იქნა გამოთხოვნილი. მონიტორინგის საგანს, რომელსაც საიას თბილისისა და 7 რეგიონული ოფისის იურისტები ახორციელებდნენ, 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 28 თებერვლამდე განხორციელებული მოვლენების შესწავლა წარმოადგენდა.

საჯარო ინფორმაციის მისაღებად, განცხადებები წარდგენილ იქნა მუნიციპალიტეტების/ადგილობრივი თვითმმართველი ქალაქების საკრებულოებსა და გამგეობებში/მერიაში, ასევე, მათდამი დაქვემდებარებულ სამსახურებში. დაწყებულ გამოძიებებზე ინფორმაცია გამოთხოვნილი იქნა სამართალდამცავი უწყებებიდანაც. კონკრეტული ინფორმაციის მიღებისა და გადამონმების მიზნით, საიას იურისტები მართავდნენ შეხვედრებს საჯარო მოხელეებთან, ხვდებოდნენ თვითმმართველობებიდან გათავისუფლებულ მოსამსახურეებს და, საჭიროების შემთხვევაში, მათ სამართლებრივ დახმარებას უწევდნენ.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები:

- ადგილობრივ დონეზე პროცესის მამოძრავებელ ძალად ამომრჩევლის აღქმა იქცა, რომლის თანახმადაც, არჩევნების შედეგად ცენტრალური ხელისუფლების შეცვლას უპირობოდ ადგილობრივი ხელისუფლების შეცვლაც უნდა გამოეწვია.
- მთელ რიგ შემთხვევებში, გათავისუფლების საფუძველი პირადი განცხადებები იყო, თუმცა, ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ადგილი ჰქონდა მოხელეებზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას და სხვა უკანონო ქმედებებს, რის შედეგადაც, მოხელეების მხრიდან პირადი განცხადებები იწერებოდა.
- დაფიქსირდა ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომელთა საგამოძიებო ორგანოებში სისტემატურად დაბარების ფაქტები, რაც მათი მხრიდან ფსიქოლოგიურ ზეწოლად და სამსახურებრივ საქმიანობაში ხელშეშლად აღიქმებოდა.
- საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატების მხრიდან ადგილობრივი თვითმ-





მართველობის საკადრო საკითხებში ჩარევისა და ნეპოტიზმის ფაქტები გამოვლინდა, რაც საჯარო სამსახურის აპოლიტიკურობისა და მისი თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპებს ხელყოფდა.

- ადგილობრივ მოხელეთა შესარჩევი საკონკურსო-საატესტაციო კომისიების მუშაობაში არაუფლებამოსილი პირების მონაწილეობა გამოიკვეთა, რითაც, თავის მხრივ, კონკურსის ობიექტურობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპები ირღვეოდა.
- მართალია, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან საჯარო მოსამსახურეების გათავისუფლების ერთ-ერთ რეალურ მიზეზად მუნიციპალიტეტებში არსებული ხელოვნურად გაზრდილი შტატები და რეორგანიზაციის აუცილებლობა სახელდება, თუმცა, გათავისუფლებათა პარალელურად, იმავე პოზიციებზე უკონკურსოდ, დროებით მოვალეობის შემსრულებლად, სხვა ადამიანები ინიშნებოდნენ, რომლებიც ძირითადად „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებად მოიაზრებოდნენ.

საიამ ადგილობრივი თვითმმართველობებიდან უკანონოდ გათავისუფლებულ ათეულობით მოქალაქეს სამართლებრივი დახმარება გაუწია და, მთელ რიგ შემთხვევებში, გათავისუფლებულ პირთა ინტერესების დასაცავად სასამართლოს მიმართა. მონიტორინგის მიმდინარეობისას, თვითმმართველობებში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, საიამ არაერთი საჯარო განცხადება გაავრცელა და თანამდებობის პირებს უკანონო გადაწყვეტილებების გადახედვისა და კანონშესაბამისი მოქმედებისკენ, ხოლო სამართალდამცავ ორგანოებს – კონკრეტული ფაქტების შესწავლისკენ მოუწოდა.

საიას საქმიანობა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით

ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში

2013 წლის მარტში საქართველოს პარლამენტში ინტერფრაქციული ჯგუფი შეიქმნა, რომელსაც საარჩევნო კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებები უნდა მოემზადებინა. საია ჯგუფის მუშაობაში აქტიურად ჩაერთო და პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად (სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო) ოთხ მნიშვნელოვან თემაზე რეკომენდაციები და მუხლობრივი ფორმულირებები შესთავაზა.

საიას მიერ წარდგენილი რეკომენდაციები მოიცავდა ისეთ თემებს, როგორცაა: ამომრჩეველთა სიები, ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენების რეგულირება, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესატანი ცვლილებები, მედია რეგულაციები. მოგვიანებით, საიას წარმომადგენლები აქტიურად ჩაერთნენ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტების საჯარო განხილვებში.

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი რეკომენდაციების ნაწილი პარლამენტმა გაითვალისწინა.



თუმცა, სამწუხაროდ, რიგი საკითხები არ იქნა გათვალისწინებული ან განხილვის გარეშე დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ მათი წარდგენა ადრეულ ეტაპზევე მოხდა.

საიასა და პარტნიორი ორგანიზაციების მიერ წარდგენილი 29 რეკომენდაციიდან საქართველოს პარლამენტმა სრულად გაითვალისწინა 11, ნაწილობრივ – 2, ხოლო 16 რეკომენდაცია საერთოდ არ გაუთვალისწინებია.

პარლამენტის მიერ გათვალისწინებული რეკომენდაციიდან 9 რეკომენდაცია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანი რეკომენდაციაა, აქედან 7 ახალია, 2 მათგანი კი სრულად იყო ასახული მოქმედ კანონმდებლობაში.


შეიძლება ითქვას, რომ საარჩევნო კუთხით საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების უმეტესი ნაწილი საიასა და მისი პარტნიორი ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს ეფუძნება.

საარჩევნო პორტალი

საქართველოში 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდება ხორციელდებოდა ასევე საარჩევნო პორტალის მეშვეობით, რომელიც, არჩევნებზე ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით, სამი არასამთავრობო ორგანიზაციის: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებისა და საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს ინიციატივით შეიქმნა.

პორტალის მიზანს წარმოადგენდა, საქართველოში მიმდინარე არჩევნებთან დაკავშირებით, წინასაარჩევნო, არჩევნების დღისა და კენჭისყრის შემდგომ პერიოდში დაფიქსირებული სავარაუდო დარღვევების აღრიცხვა და ინციდენტების რუკაზე მათი განთავსება. პორტალთან ერთად მოქმედებდა უფასო სმს ნომერი – 90039 – რომელზეც ინფორმაციის გაგზავნა შეეძლო ნებისმიერ მოქალაქეს ნებისმიერი მობილური ქსელიდან.

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის პორტალზე პარტნიორი ორგანიზაციების მიერ დაფიქსირდა: წინასაარჩევნო პერიოდში – 74, ხოლო კენჭისყრის დღეს – 165 ინციდენტი. არჩევნების პორტალის ვებ-მისამართია: www.electionportal.ge





საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების მონიტორინგი

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე, საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობების შესწავლის მიზნით, საიამ საქართველოს 73 საარჩევნო ოლქში განახორციელა პროექტი – „საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების მონიტორინგი“, რომელიც რამდენიმე კომპონენტს მოიცავდა. კერძოდ, პირველ ეტაპზე საიამ შეისწავლა, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიებში არჩეულ იქნენ თუ არა 2012 წლის არჩევნებზე დისციპლინურ/ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირები. მართალია, დისციპლინურ სახდელდადებული პირების ხელახალი დანიშვნა არ წარმოადგენს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევას, თუმცა, მათი განმეორებით არჩევა შესაძლოა უარყოფითად ასახულიყო საარჩევნო ადმინისტრაციისადმი ნდობის საკითხზე. მეორე ეტაპზე, საიამ წერილობით მიმართა 73 საოლქო საარჩევნო კომისიას და მიაწოდა ინფორმაცია ბოლო ორ არჩევნებზე სახდელდადებული კომისიის წევრების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია მოპოვებულ იქნა როგორც ცესკოდან, ასევე საიას მონაცემთა ბაზიდან. მონიტორინგის საგანს წარმოადგენდა ასევე 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის პროფესიული ნიშნით არჩეული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შემადგენლობის შესწავლაც იმის დასადგენად, თუ რამდენად იყვნენ მათ შორის 2012 წლის საპარლამენტო და შუალედურ არჩევნებზე პოლიტიკური გაერთიანებების მიერ დანიშნული წევრები.

მონიტორინგის შედეგად შემდეგი ტენდენციები გამოვლინდა:

- სახდელდადებულ პირთა შესახებ ცესკოს მონაცემები არ იყო სრულყოფილი და მის მიერ აღრიცხული სახდელდადებული პირების სტატისტიკური მაჩვენებელი არ ემთხვეოდა საოლქო საარჩევნო კომისიებში არსებულ მსგავსი ტიპის მაჩვენებელს.
- დაფიქსირდა საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობაში დისციპლინურ სახდელდადებულ პირთა განმეორებით არჩევის/დანიშვნის შემთხვევები.
- საოლქო საარჩევნო კომისიების მხრიდან ადგილი ჰქონდა იმ პირთა პროფესიული ნიშნით არჩევას საუბნო საარჩევნო კომისიებში, რომლებიც უახლოეს წარსულში წარმოადგენდნენ სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიას საარჩევნო ადმინისტრაციაში.

უშუალოდ არჩევნების დღეს და შემდგომ ეტაპზე საიამ განახორციელა საარჩევნო მოხელეთა ეთიკის კოდექსის შესრულებისა და საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის ადეკვატური პასუხისმგებლობის დაკისრების მონიტორინგი.

წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგს თითქმის 4 თვის განმავლობაში, 2013 წლის 1 ივლისიდან 26 ოქტომბრამდე, რეგიონული ოფისების და 17 მონიტორის მეშვეობით საქართველოს შვიდ რეგიონში – აჭარაში, გურიაში, იმერეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთსა და თბილისში ახორციელებდა.

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ერთ-ერთ თავისებურებას პრეზიდენტობის კანდიდატობის მსურველთა საკმაოდ დიდი რაოდენობა წარმოადგენდა. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისგან განსხვავებით, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდი მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა. მნიშვნელოვნად შემცირდა საარჩევნო დარღვევების სტატისტიკაც. ცალკეული გამონაკლისების გარდა, საპრეზიდენტო კანდიდატები წინასაარჩევნო კამპანიას ძირითადად ძალადობისგან თავისუფალ გარემოში ახორციელებდნენ, თუმცა, დაფიქსირდა გარკვეული ხარვეზებიც.

საიას დამკვირვებლები ინფორმაციას სხვადასხვა გზით მოიპოვებდნენ. ხორციელდებოდა საარჩევნო ადმინისტრაციებიდან და სხვა საჯარო დაწესებულებებიდან ინფორმაციის გამოთხოვნა, ასევე, მასმედიის საშუალებით გავრცელებული ინფორმაციის გადამოწმება. იყო შემთხვევები,

როდესაც მოქალაქეები და პოლიტიკური პარტიის წევრები თავად გვანვდიდნენ ინფორმაციას წინასაარჩევნო პერიოდში მათ მიერ იდენტიფიცირებული დარღვევების შესახებ. მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, საია დარღვევის ფაქტებს საარჩევნო ადმინისტრაციასა და სასამართლოში ასაჩივრებდა. ასევე, შესაძლო დარღვევების თაობაზე ინფორმაციის წარდგენა ხდებოდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორის კომისიაში. წინასაარჩევნო პერიოდში საიამ უწყებათაშორის კომისიაში 9 განცხადება წარადგინა, რომელთა საფუძველზე, კომისიამ მნიშვნელოვანი რეკომენდაციები შეიმუშავა. ერთ საქმეზე დაიწყო გამოძიება. საიამ საარჩევნო ადმინისტრაციაში 4 განცხადება წარადგინა, რომელთაგან მხოლოდ 1 დაკმაყოფილდა, კერძოდ, ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიამ სამართალდარღვევის ოქმი შეადგინა და საქმე შესასწავლად სასამართლოს გადაუგზავნა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის ფაქტებზე საიამ 4 განცხადება წარადგინა. საანგარიშო პერიოდში, მიღებული ზომების თაობაზე, ორგანიზაციის ინფორმირება არ მომხდარა.

საიამ წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის ანგარიში ოქტომბერში გამოაქვეყნა. მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები:

- ხარვეზები საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის პროცესში;
- ორმაგი მოქალაქეობის მქონე პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენილი პირების საარჩევნო რეგისტრაციის პრობლემები;
- ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენება;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული მოხელეების სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით განთავისუფლება;
- სავარაუდოდ ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტები;
- საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე მოვლენები, რაც ცალკეული ჟურნალისტების უფლებების უხემ დარღვევაში გამოიხატა.

არჩევნების დღე

27 ოქტომბერს, საპრეზიდენტო არჩევნების დღეს, საია **თბილისისა და 8 რეგიონის 36** საარჩევნო ოლქში **400-**ზე მეტი დამკვირვებლით აკვირდებოდა. ასევე, საიას დამკვირვებლები ჰყავდა დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში გახსნილ საარჩევნო უბნებზე.

სტატისკური დამკვირვებლები განთავსებულნი იყვნენ საქართველოს მასშტაბით **220-ზე** მეტ საარჩევნო უბანში. 36 ოლქში მოძრაობდნენ მობილური ჯგუფები. საია დაკვირვებას ახორციელებდა გამონაკლის შემთხვევებში შექმნილ უბნებში, უმცირესობებით დასახლებულ ოლქებში არსებულ უბნებსა და წინა არჩევნების დროს გამოკვეთილ პრობლემურ უბნებში.





საიას დამკვირვებლებმა დაწერეს **33** საჩივარი და **50** შენიშვნა დააფიქსირეს ჩანაწერთა წიგნში. საჩივრები და შენიშვნები შეეხებოდა შემდეგ დარღვევებს:

- დამკვირვებლის უფლებამოსილების განხორციელების ხელშეშლის 8 ფაქტი. მათ შორის, უბანზე საიას დამკვირვებლების დაშვებასთან დაკავშირებული პრობლემები (7 შემთხვევა) და ჩანაწერთა წიგნში შენიშვნის გაკეთების ხელშეშლა (1 შემთხვევა);
- წილისყრის პროცედურების დარღვევები (5 შემთხვევა);
- საკონტროლო ფურცლების შევსებასთან დაკავშირებული პრობლემები (7 შემთხვევა);
- არასათანადო დოკუმენტებით არჩევნებში მონაწილეობა (11 შემთხვევა);
- საარჩევნო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული პრობლემები;
- სხვის ნაცვლად ხმის მიცემა (3 შემთხვევა);
- გადასატანი ყუთით ხმის მიცემასთან დაკავშირებული პრობლემები (3 შემთხვევა);
- საჩივრის ჩაბარებასთან დაკავშირებული პრობლემები (3 შემთხვევა);
- უბნის დაგვიანებით გახსნა (2 შემთხვევა);
- უბანზე აგიტაციის 1 შემთხვევა;
- დამკვირვებელთა შორის ფიზიკური დაპირისპირების 1 ფაქტი;
- დაფიქსირდა ასევე ამომრჩეველთა სიებსა და მარკირებასთან დაკავშირებული პრობლემები.

მთლიანობაში, საიას შეფასებით, ამომრჩეველს შესაძლებლობა ჰქონდა, საკუთარი არჩევანი თავისუფლად დაეფიქსირებინა.

არჩევნების დღის შემდგომი პერიოდი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია არჩევნების დღის შემდგომი პროცედურების დაკვირვებას 36 საოლქო საარჩევნო კომისიასა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ახორციელებდა. დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში, საია შესაბამისი საჩივრებით მიმართავდა საოლქო, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ან სასამართლოს. საჩივრების წარდგენის დროს განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა სამართალდარღვევის ჩამდენი საარჩევნო კომისიის წევრებისთვის დისციპლინური და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შეფარდების საკითხებზე. არჩევნების დღის შემდგომი პერიოდის საჩივრები ძირითადად წარდგენილ იქნა საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ საარჩევნო დოკუმენტაციის არასრულყოფილად/არასწორად შევსებასთან, ასევე, ცალკეული პროცედურული საკითხების დაუცველობასთან დაკავშირებით.

საერთო ჯამში, საიას დამკვირვებლებმა საოლქო საარჩევნო კომისიებში 153 საჩივარი წარადგინეს. მათ შორის, 72 საჩივარი – სრულად, 38 კი – ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

საერთო სასამართლოებში საიას დამკვირვებლებმა 2 საჩივარი წარადგინეს. მათ შორის, 1 სრულად დაკმაყოფილდა, 1 – ნაწილობრივ.

გასულ წლებში არსებული პრაქტიკისგან განსხვავებით, საარჩევნო ადმინისტრაცია, ცალკეული გამონაკლისების გარდა, ცდილობდა, დეტალურად შეესწავლა საიას მიერ წარდგენილი საჩივრები, მოეხდინა მტკიცებულებების სათანადო გამოკვლევა და მიღებული გადაწყვეტილებები სამართლებრივად დაესაბუთებინა. ამას საჩივრების დაკმაყოფილების მაღალი სტატისტიკაც მონიშნავს, რაც უდავოდ მისასალმებელია.

სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ხელშეწყობა საქართველოში

სასამართლო პროცესების მონიტორინგი

საია ახორციელებს სასამართლო პროცესების მონიტორინგს სამართლიანი სასამართლოს დამკვიდრების ხელშეწყობის, მართლმსაჯულების განხორციელებისას ეროვნული და საერთაშორისო სამართლის, ასევე, ადამიანთა უფლებების და სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესრულების დადგენის მიზნით.

2011 წლის ოქტომბრიდან საია ახორციელებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის სხდომების მონიტორინგს, ხოლო 2012 წლის დეკემბრიდან დაიწყო ქუთაისის ქალაქო სასამართლოს პროცესების მონიტორინგიც.

ამ ეტაპისათვის საიას გამოცემული აქვს სასამართლო პროცესების მონიტორინგის 4 ანგარიში. პირველი ორი ანგარიშის პრეზენტაცია გაიმართა 2012 წელს. ხოლო მე-3 და მე-4 ანგარიშების პრეზენტაცია გაიმართა 2013 წლის აპრილსა და ოქტომბერში.


საიას მოსაზრებით, ოთხივე ანგარიშში ასახული მონაცემები წარმოაჩენს ობიექტურ, ფაქტებზე დაფუძნებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ ხორციელდება სისხლის სამართლის მართლმსაჯულება საქართველოში.

განხორციელებული მონიტორინგის შედეგები

2012 წლის ივლისი-დეკემბრისა და 2013 წლის იანვარი-ივნისის პერიოდში საია ჯამურად დააკვირდა 1028 სასამართლო სხდომას თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებში.

2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდგომ პერიოდში გამოვლინდა პირველი ორი ანგარიშისგან განსხვავებული სასამართლო მონიტორინგის შედეგები. კერძოდ, პირველი წარდგენის სხდომებზე შეიცვალა ბრალდებულთათვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებების თანაფარდობა.

დიაგრამა №1



ამ უკანასკნელ საანგარიშო პერიოდში (იანვარი-ივნისი, 2013), წინა პერიოდთან შედარებით (ივლისი-დეკემბერი, 2012), ბრალდებულთა რაოდენობა, რომელთა მიმართ პროკურატურამ აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობა მოითხოვა, 50%-დან 41%-მდე შემცირდა. ამასთან, 37%-დან 30%-მდე შემცირდა იმ ბრალდებულთა რაოდენობა, რომელთაც აღკვეთის ღონისძიების სახედ






პატიმრობა შეეფარდათ. იმავდროულად, 63%-დან 69%-მდე გაიზარდა იმ ბრალდებულთა რაოდენობა, რომლებსაც აღკვეთის ღონისძიების სახედ გირაო შეეფარდათ. მონიტორინგის განმავლობაში პირველად 2013 წელს დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც სასამართლომ ბრალდებული აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს მოხდა მაღალი თანამდებობის პირის – გიგი უგულავას (თბილისის მერი) საქმეში.


საანგარიშო პერიოდში გაიზარდა შემთხვევები, როცა პროკურატურის მიერ პატიმრობის შეფარდების მოთხოვნის მიუხედავად, სასამართლო ბრალდებულებს გირაოს უფარდებდა. მთელი მონიტორინგის მანძილზე ეს დინამიკა შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

დიაგრამა №2



თუ 2012 წლის ოქტომბრამდე სასამართლო ყველა შემთხვევაში აკმაყოფილებდა ბრალდების მხარის შუამდგომლობებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების თაობაზე, 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ სურათი შეიცვალა და სასამართლოები ბრალდების მხარის მოთხოვნას პატიმრობის შეფარდების თაობაზე ყველა შემთხვევაში აღარ აკმაყოფილებენ.

დიაგრამა №3



სასამართლო მონიტორინგის განმავლობაში, საია ასევე აკვირდებოდა 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ დაკავებული მაღალი თანამდებობის პირების პროცესებს. საიას მოსაზრებით, აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას, სასამართლო ყოფილი და მოქმედი მაღალი თანამდებობის პირების მიმართ უფრო ლოიალური იყო, ვიდრე სხვა მიმდინარე საქმეებში ბრალდებულთა მიმართ.

მონიტორინგის განხორციელების არც ერთ ეტაპზე საიას არ დაუფიქსირებია არც ერთი შემთხვევა, სადაც სასამართლომ შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა წინასასამართლო განხილვის სტადიაზე. სასამართლო ყოველთვის ადგენდა ალბათობის მაღალ ხარისხს, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული და აგრძელებდა საქმის განხილვას.


მონიტორინგის დანებებიდან (2011 წლის ოქტომბრიდან) მოყოლებული მოსამართლეები იყვნენ პასიური საპროცესო შეთანხმების განხილვისას და ავტომატურად ამტკიცებდნენ ბრალდების მხარის შუამდგომლობას საპროცესო შეთანხმების თაობაზე. თუმცა, საპროცესო შეთანხმებათა რიცხვი, სადაც ბრალდებულს შეეფარდა ჯარიმა, 2013 წლის პირველ 6 თვეში, 2012 წლის მეორე ნახევართან შედარებით, შემცირდა 57%-დან 50%-მდე. ამასთან, იკლო ამავე პერიოდების მიხედვით შეფარდებული ჯარიმის საშუალო ოდენობამაც.

ზემოაღნიშნულის გარდა, მონიტორინგმა ასევე გამოავლინა შემდეგი მნიშვნელოვანი ტენდენციები:

- დაცვა, როგორც წესი, პასიური იყო თითქმის ყველა საქმეში, გარდა გახმაურებული საქმეებისა, სადაც იგი უფრო მეტად აქტიურობდა, ვიდრე ბრალდების მხარე.
- წინა საანგარიშო პერიოდებისაგან განსხვავებით, უკანასკნელ პერიოდში (იანვარი-ივნისი, 2013) მოსამართლეები გაცილებით უკეთესად განუმარტავდნენ ბრალდებულებს მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის დაუშვებლობასა და საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებულ უფლებებს.
- 2012 წლის ივლისიდან 2013 წლის ივლისამდე თითქმის ყველა საქმეში, რომელსაც საია აკვირდებოდა, ჩხრეკა და ამოღება ჩატარდა გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში, მოსამართლის მიერ შემდგომ დაკანონებით. კერძოდ, ჩხრეკისა და ამოღების 72 შემთხვევიდან მხოლოდ 4 ღონისძიება ჩატარდა სასამართლოს ნებართვით, დანარჩენი ღონისძიებების დაკანონება კი, სასამართლოს მიერ მოგვიანებით განხორციელდა. აღნიშნული სტატისტიკა ბადებს ეჭვს, რომ სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლო არ ასრულებდნენ საკუთარ ვალდებულებებს იმასთან დაკავშირებით, რომ თუ ჩხრეკა და ამოღება არ ემყარება გადაუდებელ აუცილებლობას, არ უნდა ჩატარდეს, ან/და შემდეგ დაკანონდეს.
- კვლავ პრობლემატური იყო სასამართლო განხილვათა დროული დანებება. იმავდროულად, მონიტორინგის განხორციელების მთელ პერიოდში პირველი წარდგენის სხდომათა თაობაზე სასამართლოებს წინასწარ დადგენილი წესის მიხედვით არასოდეს გამოუქვეყნებიათ ინფორმაცია.

მონიტორინგის ოთხივე ანგარიშის პრეზენტაციამ დიდი დაინტერესება გამოიწვია საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან. **აღნიშნული მონიტორინგები მოხსენიებულია აშშ-ის სახელმწიფოს დეპარტამენტის წლიურ ანგარიშებშიც, როგორც საქართველოში სისხლის სამართლის საქმეთა მართლმსაჯულების განხორციელების თაობაზე ინფორმაციის წყარო.**

ამ ეტაპზე საია განაგრძობს მონიტორინგს თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებში.





იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მონიტორინგი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო 2012 წლის მარტიდან ახორციელებდნენ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მონიტორინგს. 2013 წლის დასაწყისში გამოიცა საბჭოს საქმიანობის ამსახველი ერთობლივი ანგარიში, რომელშიც აისახა აღნიშნული კოლეგიური ორგანოს 2012 წლის მარტი-დეკემბრის თვეებში განხორციელებული საქმიანობის დაკვირვებისა და შესწავლის შედეგები.

2013 წელს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ და საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ, პარტნიორ ორგანიზაციასთან – საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის – ერთად კვლავ გააგრძელეს საბჭოს საქმიანობის მონიტორინგი, რომლის შედეგებიც აისახება 2013 წლის დეკემბრის ანგარიშში.

2013 წლის მონიტორინგი, მსგავსად წინა პერიოდისა, მიზნად ისახავს სასამართლო სისტემაში მიმდინარე რეფორმების ფონზე ადმინისტრირების მთავარი რგოლის – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს – საქმიანობის შეფასებას, ასევე 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ პერიოდში საქართველოს ახალი მთავრობის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებების პრაქტიკული რეალიზაციის და მისი შედეგების ასახვას.

საბჭოს საქმიანობის 2013 წლის მონიტორინგმა მოიცვა შემდეგი მნიშვნელოვანი მიმართულებები:

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობა;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა;
- საერთო სასამართლოებისთვის განკუთვნილი საბიუჯეტო სახსრების განკარგვის კანონიერების შემოწმება;
- 2013 წელს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის შემდეგ იუსტიციის საბჭოს ახალი წესით დაკომპლექტების პროცესის დაკვირვება.

მონიტორინგის ფარგლებში, საბჭოს ამ მიმართულებით დაკვირვება ძალიან საინტერესო და, ამასთან, მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან დაემთხვა სასამართლო ხელისუფლების რეფორმის განახლებას ქვეყანაში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებების ფონზე.

საია მონაწილეობა კოალიციაში დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის

საია წარმოადგენს კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ წევრ ორგანიზაციას (ამჟამად საია არის ამ კოალიციის თავმჯდომარე ორგანიზაცია) და გაერთიანებულია მის რამდენიმე სამუშაო ჯგუფში, მათ შორის: სასამართლოს ადმინისტრირება, იურიდიული განათლება, სისხლის სამართალი და უფასო იურიდიული დახმარება.

გასული ერთი წლის განმავლობაში, კოალიციის ეგიდით, საია, სხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდა სასამართლო რეფორმის განხორციელების პროცესში. 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდგომ დაიწყო სასამართლო რეფორმის ახალი ეტაპი, რა დროსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადდა ცვლილებების პაკეტი მოქმედ კანონმდებლობაში საერთო სასამართლოების სისტემის რეფორმირებასთან დაკავშირებით. აღნიშნული ცვლილებების საბოლოო ვერსიის შემუშავებას წინ უსწრებდა კოალიციის წევრი ორგანიზაციების, მათ შორის საიას, აქტიური კომუნიკაცია იუსტიციის სამინისტროსთან, საქართველოს პარლამენტთან და, ასევე, იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან. საია აქტიურად მუშაობდა თითოეულ იმ საკითხზე, რომელიც მსჯელობის საგანს წარმოადგენდა და საკუთარ მოსაზრებებს უზიარებდა როგორც კოალიციის წევრ ორგანიზაციებს, ასევე სასამართლო რეფორმის განხორციელებაზე პასუხისმგებელ სუბიექტებს. უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წელს საერთო სასამართლოების შესახებ კანონსა და სხვა თანმდევ საკანონმდებლო აქტებში განხორციელებული ცვლილებები კოალიციის მიერ წინა წელს წარდგენილი რეკომენდაციების დიდ ნაწილს ასახავს, მათ შორისაა: მოსამართლეთა თვითმმართველობის

ელობის გაძლიერება, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გამჭვირვალე და დემოკრატიული პრინციპების დაცვით ფორმირება, სასამართლო პროცესებისა და დისციპლინური პროცედურების მეტი გამჭვირვალეობა და ა.შ.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მიმართულებით, საია კოალიციის ფარგლებში მუშაობდა საპროცესო შეთანხმების საკანონმდებლო რეგულირებისა და პრაქტიკის ანალიზზე. ამ პროცესში, კოალიციის სხვა წევრ ორგანიზაციებთან ერთად, საიამ მოამზადა კვლევა, რომელშიც აისახა როგორც საპროცესო შეთანხმების საკანონმდებლო რეგულაციები, ასევე, პრაქტიკაში მათი რეალიზაციის პრობლემები. კოალიცია აღნიშნული კვლევის გამოქვეყნებას უახლოეს მომავალში აპირებს.


სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივასიის მქონე სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების ანალიზი

საანგარიშო პერიოდში დასრულდა სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივებით დაკავებულ პირთა საქმეების მონიტორინგის მეორე ფაზა. პროექტის პირველი ფაზა, რომელიც წინა საანგარიშო პერიოდში განხორციელდა, შეეხებოდა ძირითადად 2009 წლის გაზაფხულზე აქციების მიმდინარეობისას და შემდგომ პერიოდში დაკავებულ პირთა საქმეებს. რაც შეეხება მეორე ფაზას, იგი მოიცავს 2011 წლის 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით და, მოგვიანებით, სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივით დაკავებულ პირთა სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ საქმეებს.

კვლევისთვის შეირჩა 33 საქმე, აქედან 21 – სისხლის სამართლის და 12 – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის. კვლევის უპირველეს მიზანს წარმოადგენდა საქმეთა შესწავლა და იმის დადგენა, დაცული იყო თუ არა შესაბამისი საპროცესო და მატერიალური ნორმები დაკავების, გამოძიებისა და სასამართლო განხილვის სტადიაზე. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების შემთხვევაში, კვლევა შეეხება დროებით მოთავსების იზოლაციის პირობებსაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვლევაში წარმოდგენილი ყველა საქმე არსებითი ხასიათის დარღვევებს შეიცავდა და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა მართლმსაჯულების განხორციელებას. ხაზგასმით აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ყველა საქმე, გარდა საპროცესო შეთანხმებით დასრულებული საქმეებისა, არსებითი ხასიათის დარღვევების მიუხედავად, ერთი სამართლებრივი შედეგით დასრულდა. სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის განაჩენები, ხოლო უზენაესმა სასამართლომ დასაშვებად არ ცნო.

საქმეების შესწავლისას გამოიკვეთა კიდევ ერთი ტენდენცია: ოპოზიციური პარტიების აქტივისტებს ხშირად აკავებდნენ იარაღისა და ნარკოტიკის უკანონო ფლობის ან პოლიციისათვის წინააღმდეგობის განხორციელების ბრალდებით. აღნიშნული საქმეები ძალიან ჰგავდა ერთმანეთს და ყველგან იდენტური დარღვევები გვხვდებოდა. ამასთან, სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლო ასეთი ტიპის საქმეებში იყენებდნენ მტკიცების დაბალ სტანდარტს.

უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წლიდან საიამ დაახლოებით 80-მდე სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივაციით დაკავებული პირის საქმე შეისწავლა და გამოავლინა უამრავი ხარვეზი აღნიშნულ საქმეებში. ამასთან, საიას დასკვნები და მიგნებები გამოყენებულ იქნა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან შექმნილი პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და დევნილ პირთა საკითხების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის მიერ. საბოლოოდ, ჩვენს დასკვნებში ასახული არგუმენტების გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტის შესაბამისი დადგენილებით, ყველა ის პირი, რომელთა თაობაზეც არსებობდა ჩვენი დასკვნები, პოლიტიკატიმრის სტატუსით იქნა გათავისუფლებული სასჯელალსრულების დაწესებულებიდან.





მიგრაციის პოლიტიკისა და კანონმდებლობის განვითარების ხელშეწყობა

საია მიგრანტთა უფლებების დაცვისა და არალეგალური მიგრაციის თაობაზე ცნობიერების ამაღლების გარდა, პარტნიორ ორგანიზაციასთან – მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი (CIPDD) – ერთად მუშაობს მიგრაციის საკანონმდებლო რეგულირებისა და, ზოგადად, მიგრაციის პოლიტიკის საკითხებზე.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა ორი კვლევა – **მიგრაციის პოლიტიკისა და კანონმდებლობის ანალიზი**. კვლევების მიზანია საქართველოს კანონმდებლობის გაანალიზება, ხარვეზების დადგენა და ნორმატიული ბაზის გაუმჯობესებისათვის რეკომენდაციების შემუშავება, მიგრაციის (მათ შორის შრომითი) პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა. 2013 წლის ივლისში აღნიშნული კვლევების პრეზენტაცია იუსტიციის სახლში მიგრაციის სამთავრობო კომისიის წევრებისათვის გაიმართა.

პოლონელი ექსპერტის მიერ პროექტის ფარგლებში მომზადდა კვლევა **„საქართველოსა და ევროკავშირის შორის ცირკულარული მიგრაციის სქემების განვითარების შესაძლებლობის შესახებ“**. დოკუმენტი აღწერს იმ საკანონმდებლო, ინსტიტუციურ და პრაქტიკულ ზომებსა და ღონისძიებებს, რომელთა განხორციელება აუცილებელია, რათა ცირკულარულმა მიგრაციამ ხელი შეუწყოს მიგრანტთა უფლებების სათანადოდ დაცვას. კვლევაში მოყვანილია მოლდოვისა და უკრაინის მაგალითები.



პროექტის ფარგლებში საიამ მოამზადა 29 შენიშვნა **კანონპროექტზე „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ“**. მიგრაციის სამთავრობო კომისიამ 12 შენიშვნა გაითვალისწინა.

2013 წლის თებერვალში საიასა და კავკასიური ინსტიტუტის მიერ გამოცხადდა ერთობლივი კონკურსი კვლევის მომზადების თაობაზე, რომელიც ეხებოდა **საქართველოს შრომითი ბაზრის შესწავლას**. კვლევის შედეგების თანახმად, გამოვლინდა შემდეგი სფეროები: სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, ტურიზმი, არქიტექტურა. ამ სფეროების მიხედვით, შეირჩევიან პროფესიონალი ქართველი ემიგრანტები და ჩაატარებენ ტრენინგ-სემინარებს საქართველოს მოქალაქეებისათვის. კვლევამ სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. კვლევის შედეგები განიხილეს დანიის ლტოლვილთა საბჭოს მიერ ორგანიზებულ რეგიონულ შეხვედრებზე, რომლებსაც ესწრებოდნენ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

სექტემბრის თვეში დიასპორის სახელმწიფო მინისტრის აპარატსა და საიას შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს მხარეებს შორის თანამშრომლობას შემდეგ სფეროებში: საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა; არალეგალური მიგრაციისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა; საზღვარგარეთ ქართულ დიასპორებთან ურთიერთობის დამყარება. მემორანდუმი ითვალისწინებს მიგრაციის სფეროში ერთობლივი პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებას.

პროექტის ფარგლებში პირველი ვიზიტი განხორციელდა გერმანიაში. 26-29 სექტემბერს, საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, გაიმართა შეხვედრები ქართულ დიასპორულ საზოგადოებებთან ბერლინსა და მიუნხენში. შეხვედრა მიზნად ისახავდა პროექტის შესახებ ქართველი თანამემამულეების ინფორმირებას და მათ ჩართულობას ტრენინგ-სემინარების პროგრამაში.

ქველიფიციური იერიდიული
ბანატილება და პრიფესიის
ბანატიარება



კვალიფიციური იურიდიული განათლება და პროფესიის განვითარება

ახალგაზრდა იურისტების პროფესიული დაოსტატება, იურიდიული პროფესიის განვითარება და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი იურიდიული და სამოქალაქო განათლების სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა იყო და რჩება საიას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მიმართულებად. საია გასულ საანგარიშო პერიოდშიც აქტიურად განაგრძობდა საგანმანათლებლო საქმიანობას ცენტრალურ და რეგიონულ დონეზე. ახალგაზრდებისათვის ალტერნატიული, განგრძობადი იურიდიული განათლება, სპეციფიკური უნარ-ჩვევების (კონსტრუქციული დებატი, სასამართლოში იურისტის გამოსვლის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, სამართლებრივი წერის უნარ-ჩვევები, იურიდიული დოკუმენტების მომზადების ტექნიკა) განვითარების ხელშეწყობა, მიზნობრივი ტრენინგებისა და საჯარო დისკუსიების ორგანიზება და მუდმივი სიახლეები საინფორმაციო, საგამომცემლო კუთხით – ეს არის ის საქმიანობა, რომელსაც იურიდიული პროფესიით დაინტერესებულ პირებს სთავაზობს საიას იურიდიული სწავლებისა და ინფორმაციის ცენტრი და საიას მიერ დაფუძნებული იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი.

ფონდი და სასწავლო ცენტრი საანგარიშო პერიოდში შემდეგი მიმართულებით საქმიანობდნენ:

- თბილისში ყოველწლიური 6 თვიანი სასწავლო კურსები სამართლის ყველა მიმართულებით.
- საპარლამენტო დებატების შიდა და ეროვნული ტურნირების უზრუნველყოფა ბათუმის, ქუთაისის, რუსთავისა და თბილისის მასშტაბით.
- ოლიმპიადის – „ახალგაზრდა იურისტები კონსტიტუციური უფლებებისათვის“ – ორგანიზება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.
- იმიტირებული სასამართლო პროცესების ორგანიზება საქართველოს უზენაეს სასამართლოში.
- სემინარებისა და ტრენინგების ორგანიზება როგორც საიას იურიდიული დახმარების ცენტრის იურისტების, ასევე ადვოკატებისა და ინტერესთა სხვადასხვა ჯგუფისათვის.
- საჯარო დისკუსიების ორგანიზება მნიშვნელოვან სიახლეებსა და პრობლემატურ საკითხებზე.
- იურიდიული სწავლების მეთოდოლოგიაზე მუშაობა.
- მაგისტრანტი სტუდენტებისათვის რეგიონებში სტიპენდიის პროგრამის გაგრძელება.
- იურიდიული ფონდის გაზრდა უახლესი ლიტერატურით.
- სახელმძღვანელოების გამოცემაზე მუშაობა.
- საჯარო სკოლის მაღალი კლასის მოსწავლეებისთვის სამოქალაქო განათლების საკვირაო სკოლის ფუნქციონირება.

ფონდის სასწავლო კურსები

ტრადიციულად, ფონდი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სასწავლო კურსების ფუნქციონირებას. 2012-2013 სასწავლო წელს იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდს სულ **110-მა** სტუდენტმა მიმართა, აქედან მხოლოდ 65-ს მიეცა საშუალება, გაეგლო სასწავლო კურსები. სტუდენტები 6 თვის განმავლობაში ეუფლებოდნენ ცოდნას შემდეგი მიმართულებით:

- შესავალი სამართალში
- სამოქალაქო სამართალი
- სისხლის სამართალი

სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ, საბოლოო გამოცდაზე დაიშვა 43 სტუდენტი. აქედან მხოლოდ 23-მა დაიმსახურა საიასა და ფონდის ერთობლივი დიპლომი. 20 სტუდენტს გადაეცა სერტიფიკატი. 18 ივლისს კი, ფონდმა კიდევ ერთი წარმატებული სასწავლო წლის დასრულება აღნიშნა.

იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი კვლავ აგრძელებს თანამშრომლობას თავის კურსდამთავრებულებთან. სტუდენტებს, რომლებსაც დიპლომები გადაეცა, საია და ფონდი რეკომენდაციებს უწევენ სხვადასხვა უწყებაში ვაკანტური ადგილების დასაკავებლად.

ფონდის და საიას ინიციატივით, ორი წარმატებული კურსდამთავრებული დასაქმდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში NED-ის მიერ დაფინანსებულ პროექტში „საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება საქართველოში“, ხოლო 3 ასევე წარმატებული კურსდამთავრებული სტაჟირებას გადის საიას იურიდიული დანმარების ცენტრში სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით.

სასწავლო პროცესის მიწურულს ფონდმა თავისი სტუდენტებისათვის, ტრადიციისამებრ, დააორგანიზა იმპტირებული სასამართლო პროცესები საქართველოს უზენაეს სასამართლოში. პროცესებს აფასებდა ჟიური, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ მოსამართლეები, ადვოკატები, საჯარო სამსახურების წარმომადგენლები და დარგის სპეციალისტები.





ღებატების ხელოვნება

ფონდის პრიორიტეტად კვლავ რჩება თბილისისა და საქართველოს სხვა რეგიონებში იურისტ-სტუდენტების დახელოვნება კონსტრუქციულ ღებატებში. საანგარიშო პერიოდში, როგორც თბილისის, ასევე საქართველოს 3 რეგიონის – ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი – მასშტაბით, ფონდი ორგანიზებას უწევდა ღებატების კურსებს, რომლის მეშვეობითაც, სტუდენტები ეუფლებოდნენ კონსტრუქციული კამათის ხელოვნებას, ღებატის კულტურას, სწრაფი აზროვნებისა და ანალიზის უნარის ჩამოყალიბებას, აგრეთვე, იურიდიულ და გლობალურ საკითხებთან დაკავშირებით, ინფორმაციის მიღებასა და დამუშავებას.

მაისის დასაწყისში ფონდმა ორგანიზება გაუწია ღებატების შიდა ტურნირებს და გამოავლინა როგორც გამარჯვებული გუნდები, ასევე საუკეთესო მოდებატეები. 1 ივნისს, ტრადიციისამებრ, თბილისში ჩატარდა ღებატების ეროვნული ტურნირი, სადაც მონაწილეობა მიიღეს გამარჯვებულმა გუნდებმა თბილისიდან და რეგიონებიდან. მონაწილეები ღებატობდნენ პრობლემატურ საკითხებზე – განათლებასა და საგარეო პოლიტიკაზე.

საუკეთესო მოდებატეებსა და გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ სხვადასხვა სახის სამართლებრივი ლიტერატურა და ფასიანი საჩუქრები.

წელს ეროვნულ ტურნირში გამარჯვებულად გამოვლინდა იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის შესავალი სამართლის ჯგუფი.

ოლიმპიადა „ახალგაზრდა იურისტები კონსტიტუციური უფლებებისთვის“

2012 წლის დეკემბერში იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდმა, ტრადიციისამებრ, ორგანიზება გაუწია ოლიმპიადას „ახალგაზრდა იურისტები კონსტიტუციური უფლებებისათვის“. საანგარიშო პერიოდში საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) ფინანსური მხარდაჭერითა და საკონსტიტუციო სასამართლოსთან თანამშრომლობით, ოლიმპიადა გაიმართა ბათუმში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. ოლიმპიადაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 90-მა გუნდმა საქართველოს მასშტაბით. სამწუხაროდ, კვლავ ნაკლები დაინტერესება იყო რეგიონებიდან, განსაკუთრებით კი, ბათუმიდან და განმცხადებელთა 99%-ს თბილისის სასწავლებლის გუნდები შეადგენდნენ.

წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე, შეირჩა 8 გუნდი: 7 გუნდი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ხოლო 1 – საქართველოს უნივერსიტეტიდან.

7-9 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გაიმართა როგორც შესარჩევი რაუნდები, ასევე ნახევარფინალი და ფინალი. იმეტირებულ პროცესებს თავმჯდომარეობდა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი მაია კოპალეიშვილი, ხოლო სასამართლოს შემადგენლობაში შედიოდნენ დარგის სპეციალისტები და გერმანელი მოსამართლე.



ოლიმპიადა 9 დეკემბერს საზეიმო ვითარებაში დაიხურა. მონაწილეებს სიტყვით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ გიორგი პაპუაშვილმა და საუკეთესო საკონსტიტუციო სამართლის მცოდნეს გადასცა საკონსტიტუციო სასამართლოს სპეციალური პრიზი – 6 თვიანი ანაზღაურებადი სტაჟირება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, რომელიც დაიმსახურა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის ორმა მონაწილემ – ნინო ლაცაბიძემ და გიორგი ბერაიამ.

საქართველოს უნივერსიტეტის გუნდის წევრმა გიორგი მირიანაშვილმა დაიმსახურა დონორის – IRZ-ის სიმპათია და 2013 წლის ოქტომბერში, საქართველოს დელეგაციასთან ერთად, 1 კვირით გაემგზავრა გერმანიაში, სადაც მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა დანესებულებაში დაგეგმილ შეხვედრებში.

მონაწილეებს გადაეცათ IRZ-ისა და იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის ერთობლივი სერტიფიკატები. ოლიმპიადაში გაიმარჯვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა, რომელსაც გადაეცა გარდამავალი თასი წარწერით – „ახალგაზრდა იურისტები კონსტიტუციური უფლებებისათვის“.

საუკეთესო მოსარჩელის ტიტული დაიმსახურა თსუ-ს გუნდის წევრმა გიორგი ბერაიამ და საქართველოს უნივერსიტეტის გუნდის წევრმა გიორგი მირიანაშვილი.

საუკეთესო მოპასუხის ტიტული დაიმსახურა თსუ-ს გუნდის ორმა წევრმა – ანი ნადარეიშვილმა და გივი ლუაშილმა.

ოლიმპიადის ყველა მონაწილეს საიას, საკონსტიტუციო სასამართლოსა და IRZ-სგან საჩუქრად გადაეცა სხვადასხვა სამართლებრივი ლიტერატურა და ფასიანი საჩუქრები.



სამოქალაქო განათლების საკვირაო სკოლა

საანგარიშო პერიოდში იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდმა მეორე მიღება გამოაცხადა სამოქალაქო განათლების საკვირაო სკოლაში.

საკვირაო სკოლა ფუნქციონირებდა როგორც თბილისში, ასევე ბათუმსა და ქუთაისში. საკვირაო სკოლის მოსწავლეებს პროფესიონალი იურისტები და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები უკითხავდნენ ლექცია-სემინარებს პრაქტიკული სამართლისა და სამოქალაქო განათლების შემდეგ საკითხებზე: დებატებისა და კამათის ხელოვნება, ადამიანის ძირითადი უფლებები, თავისუფლებები და მათი დაცვის მექანიზმები, ზოგადი ადმინისტრაციული, სამოქალაქო და სისხლის სამართლის უმნიშვნელოვანესი საკითხები, დემოკრატია, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფო, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, კრიმინალისტიკის შესავალი, დანაშაულისა და სასჯელის სახეები, მოქალაქე და სახელმწიფო.

საანგარიშო პერიოდში საკვირაო სკოლაში სამივე ქალაქის მასშტაბით სწავლობდა 130-მდე სკოლის მოსწავლე, რომლებსაც სკოლის დასრულების შემდგომ შესაბამისი სერტიფიკატები და სამოქალაქო განათლების ლექსიკონები გადაეცათ.

საჯარო დისკუსიები

საანგარიშო პერიოდში იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი კვლავ აგრძელებდა ტრადიციას და იწვევდა დაინტერესებულ პირებს პერიოდულ საჯარო დისკუსიებზე, რომლებიც ეხებოდა სხვადასხვა პრობლემატურ საკითხსა და სიახლეებს.

ფონდმა საანგარიშო პერიოდში ორგანიზება გაუწია 2 საჯარო დისკუსიას:

1. პირველი დისკუსია გაიმართა 2012 წლის 25 დეკემბერს **სტუდენტთა უფლებების თემაზე**, რომლის ორგანიზატორებიც, იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდთან ერთად, იყვნენ „ბიზნესის განვითარების ცენტრი კავკასია“ და სტუდენტთა საკოორდინაციო საბჭოში შემავალი ორგანიზაციები.

დისკუსიაში მონაწილეობდნენ თვითმმართველობის წარმომადგენლები თსუ-დან და სამედიცინო უნივერსიტეტიდან, აგრეთვე, შემდეგი სტუდენტური ორგანიზაციები: „ლაბორატორია 1918“ (თსუ), „სტუდენტური ხმა“ (თსუ), „დამოუკიდებელ სტუდენტთა ასოციაცია“ (სტუ) და „სტუდენტური ინიციატივა“ (სუ).



მონაწილე ორგანიზაციებმა, პრეტენზიების სახით, ერთმანეთს საკუთარი ხედვა გააცნეს სტუდენტთა უფლებების დაცვის კუთხით არსებული პრობლემებისა და მათი მოგვარების გზების შესახებ. ღონისძიებას სპეციალური სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები.

დისკუსიაში მონაწილე ექსპერტის სტატუსით მონაწილეობდა თსუ-ს პროფესორი, ადმინისტრაციული სამართლისა და განათლების სამართლის ექსპერტი.

დისკუსიის შედეგად, განისაზღვრა სტუდენტებისთვის აქტუალური პრობლემები და დაიგეგმა შემდგომი ნაბიჯები.

2. საანგარიშო პერიოდში, 2013 წლის 13 მარტს, იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდმა ორგანიზება გაუწია რიგით მეორე საჯარო დისკუსიას თემაზე – **„სისხლის სამართლის პოლიტიკა, როგორც დანაშაულის დეტერმინანტი“**.

დისკუსიაში მონაწილეობდნენ საქართველოს წამყვანი ექსპერტები კრიმინოლოგიისა და სისხლის სამართლის დარგში.

განხილვაში მონაწილეობდნენ მონაწილე სტუმრები საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროდან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, საქართველოს პარლამენტიდან და საქართველოს უზენაესი სასამართლოდან.

დისკუსია ცხარე კამათის ფონზე მიმდინარეობდა და არაერთი პრობლემა გამოიკვეთა. დისკუსიის მონაწილეთა უმრავლესობამ სხვადასხვა აქტივობაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა, რაც პრობლემის გადაჭრას შეუწყობს ხელს.

სემინარები და ტრენინგები

საია და იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი კვლავ აგრძელებს თანამშრომლებისა და ინტერესთა სხვადასხვა ჯგუფისათვის კვალიფიკაციის ამაღლების ტრადიციას სიახლეებსა და პრობლემატურ იურიდიულ საკითხებზე.

2013 წლის 1-2 და 8-9 დეკემბერს საერთაშორისო კვლევებისა და გაცვლების საბჭოს (IREX) პროგრამის – „ქართული მედია აძლიერებს დემოკრატიას, ანგარიშვალდებულებას და მოქალაქეების ინფორმირებულობას“ (G-MEDIA) – ფინანსური მხარდაჭერით, იურიდიული სწავლების ცენტრმა ჟურნალისტებისთვის ორგანიზება გაუწია 2 ტრენინგს თემაზე: „ადამიანის უფლებები“, სადაც მონაწილეობა მიიღო 60-მდე ჟურნალისტმა მთელი საქართველოს მასშტაბით. ტრენინგზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი მიმართვის პროცედურები, გამოხატვის თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება სასამართლოსთან მიმართებით, პირადი ცხოვრების დაცულობა vs გამოხატვის თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება vs რელიგიის თავისუფლება, საქართველოს წინააღმდეგ საქმეები, უფლება სამართლიან სასამართლო განხილვაზე, პატიმრობის სტანდარტები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5.3 მუხლის მიხედვით, გამონაკლისები სიცოცხლის უფლებიდან.

საანგარიშო პერიოდში, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ფინანსური მხარდაჭერით, იურიდიული სწავლების ცენტრმა ორგანიზება გაუწია ტრენინგებს საიას ადვოკატ-კონსულტანტებისთვის შემდეგ საკითხებზე: **„საბანკო სამართლის პრობლემატური საკითხები“** და **„ადამიანის უფლებები და ევრო სასამართლოსადმი მიმართვის პროცედურები“**. ორივე ტრენინგში მონაწილეობა მიიღო საიას 40-მდე იურისტმა.



ტრენინგებზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

- საქართველოს საბანკო სისტემა. ეროვნული ბანკის სამართლებრივი სტატუსის კონსტიტუციური საფუძვლები, ეროვნული ბანკი, როგორც ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის გარანტი, საბანკო მომსახურების განვითარების მომხმარებელთა უფლებების დაცვა და აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, ნაღდ და უნაღდო ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირება, სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა და სხვა.
- სამართლიანი სასამართლოს უფლება/შეჯიბრებითობა/თანასწორობა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებში, საკუთრების უფლება (ექსპროპრიაცია და ანაზღაურების სტანდარტები, დეენილთა საქმეები), პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება (უსახლკაროთა განსახლების ვალდებულება, ადეკვატური საცხოვრისი), პატივისცემა და ღირსების შელახვა და მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხები.

საანგარიშო პერიოდში ფონდ „ღია საზოგადოების ინსტიტუტისა“ და ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით, ადვოკატებისა და სამედიცინო დანესებულების იურისტებისათვის იურიდიული სწავლების ცენტრმა ორგანიზება გაუწია 2 ტრენინგს შემდეგ თემებზე: „უფლება ჯანმრთელობაზე და საქართველოს ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემა“ და „სტრატეგიული სამართალწარმოება ადამიანის უფლებებზე პაციენტთა მზრუნველობის სფეროში“.

ტრენინგებს ჯამში 40 მონაწილე დაესწრო, რომლებმაც განიხილეს შემდეგი საკითხები:

- უფლება ჯანმრთელობაზე – საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები, ჯანმრთელობის დაზღვევა საქართველოში და სხვა ჯანდაცვითი პროგრამები, სამედიცინო მედიაციის სამსახურის როლი სამედიცინო დავების განხილვის პროცესში, პაციენტთა უფლებების საკითხებთან დაკავშირებული დავები და საქართველოს სასამართლო პრაქტიკა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ჯანდაცვის სფეროში.
- სტრატეგიულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები და მიდგომები; საქართველოში ადამიანის უფლებათა ძირითადი საკითხები პაციენტთა მზრუნველობის სფეროში და ეროვნული მექანიზმები; საქმისწარმოება რეგიონული და საერთაშორისო მექანიზმების გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ მოცემულ ტრენინგზე ადვოკატებმა წარმოადგინეს თავიანთ საადვოკატო პრაქტიკაში წარმოებული ან მიმდინარე საქმეები ჯანმრთელობის უფლებასთან მიმართებით და მოისმინეს ექსპერტების მოსაზრებები.

საანგარიშო პერიოდში, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ფინანსური მხარდაჭერით, იურიდიული სწავლების ცენტრმა ორგანიზება გაუწია ტრენინგს ჟურნალისტებისთვის: „საპროცესო კანონმდებლობაში ბოლო პერიოდის საკანონმდებლო ცვლილებებისა და დამატებების ანალიზი და სისხლის სამართლის ლიბერალიზაცია“, ხოლო საიას ადვოკატებისა და კონსულტანტებისათვის – 2 ტრენინგს „მემკვიდრეობითი სამართლისა და საოჯახო სამართლის პრობლემატურ საკითხებზე“.

ზემოხსენებულ 3 ტრენინგში სულ მონაწილეობა მიიღო 27-მა ჟურნალისტმა და 40-მდე საიას თანამშრომელმა.

ტრენინგებზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

- სასამართლოში საქმის განხილვა ღია და დახურულ სხდომაზე; დახურულ სხდომაზე საქმის განხილვის კანონით გათვალისწინებული შემთხვევები; ბრალდებულის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება; უდანაშაულობის პრეზუმფცია; სასამართლო პროცესის გაშუქება, პრესის დასწრება და ტელევიზიით გადაცემა; სასამართლოს ეზოსა და შენობის დერეფანში ფოტო გადაღება, კინო, ვიდეო, აუდიო ჩანერა და ეთერში გადაცემა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე; დანაშაულის შეუტყობინებლობა და პასუხისმგებლობა; ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლა; მედიის როლი.
- სამკვიდროს გახსნა და სამკვიდროს მიღება ფაქტობრივი ფლობით; სამკვიდროს მიღება სანოტარო ორგანოში განაცხადის შეტანის გზით; სამკვიდროს მიღების მომწესრიგებელ ნორმათა ინტეგრაცია სასამართლო პრაქტიკაში; სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა სანოტარო ორგანოში განაცხადების შეტანის გზით; სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის სამართლებრივი რეგულირება; სავალდებულო წილის პრობლემები მემკვიდრეობით სამართალში; მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა; კანონით და ანდერძით მემკვიდრეობა კომლში.
- ქორწინება და განქორწინება; ნიშნობა – უსაფუძვლო გამდიდრებით ქონების გამოთხოვნა; მეუღლეთა ქონებრივი უფლება – მოვალეობების სამართლებრივი რეგულირება; სანქციები საოჯახო სამართალში; „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ 1980 წლის 25 ოქტომბრის ჰააგის კონვენცია.



კიდევ ერთი ტრენინგი ჩატარდა საანგარიშო პერიოდში ადვოკატებისა და სასაჯელალსრულების ექიმებისათვის ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე. მას 20 მსურველი დაესწრო. ასევე, სტუმარ-მომხსენებლის სტატუსით ტრენინგში მონაწილეობდა სასაჯელალსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე.



ტრენინგზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

- ჯანმრთელობის დაცვის სტანდარტები თავისუფლების აღკვეთის ადგილებში.
- არასათანადო მოპყრობა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში და სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნები, როგორც მნიშვნელოვანი მტკიცებულება.
- საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებები.
- ჯანდაცვის (მათ შორის, ფსიქიკური ჯანდაცვის) პერსონალის ეთიკის საკითხები.
- ფსიქიკური ჯანმრთელობა სასაჯელარსებების დაწესებულებებში/ფსიქიკური აშლილობების გავრცელება/მოვლის სისტემები/პრობლემები.
- ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა.

იურიდიული განათლების თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობა

2010 წელს IRZ-სა და GTZ-ის ფინანსური მხარდაჭერით დაწყებული პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა იურიდიულ განათლებაში სწავლების მეთოდოლოგიის დახვეწასა და გერმანულ სტანდარტთან მიახლოებას, წარმატებით გრძელდებოდა მიმდინარე საანგარიშო პერიოდშიც.

იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი, IRZ-სა და GIZ-სთან ერთად, აქტიურად იყო ჩართული ტრენინგის ტრენინგის ორგანიზებაში, რომელიც გაიმართა სისხლის, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის მიმართულებით. ტრენინგზე ტრენინგებად მოწვეული იყვნენ გერმანიის პროფესორები, რომლებიც ქართველ პროფესორ-მასწავლებლებს დეტალურად ასწავლიდნენ კაზუსის ამოხსნის გერმანულ მეთოდს. ტრენინგში სულ მონაწილეობა მიიღო 20-მდე ქართველმა პროფესორ-მასწავლებელმა სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლიდან. აღნიშნული ტრენინგის საფუძველზე და გადამზადებული ქართველი პროფესორ-მასწავლებლების რესურსის გამოყენებით, მომავალში იგეგმება რამდენიმე ტრენინგის ჩატარება, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეეძლება ყველა სასწავლებლის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელს.

იმავდროულად, დაგეგმილია კაზუსის ამოხსნის მეთოდოლოგიაში ქართულად მომზადებული სახელმძღვანელოების გამოცემა.

დასავლეთ საქართველოს სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტიპენდია

საანგარიშო პერიოდში იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი კვლავ წარმატებულად აგრძელებდა აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ფინანსური მხარდაჭერით 2011 წელს დაწყებულ პროექტს „დასავლეთ საქართველოს სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტიპენდია“.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ფონდის მიერ ქუთაისისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამიდან სხვადასხვა კრიტერიუმის საფუძველზე კონკურსის წესით შერჩეული 12 მაგისტრანტი კვლავაც აგრძელებდა სტაჟირებას საიას ქუთაისისა და ბათუმის ფილიალის იურიდიული დახმარების ცენტრებში, საჯარო დისკუსიების ორგანიზებას პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით, საკანონმდებლო წინადადებების მომზადებას, სასამართლო სხდომებზე დასწრებას, სხვადასხვა იურიდიული დოკუმენტის მომზადებას, ადგილებზე სამოქალაქო განათლების საკვირაო სკოლებისა და დებატ-კლუბების ორგანიზებას ფონდის სახელით, ქუთაისისა და ბათუმის დებატების შიდა ტურნირების ორგანიზებას, მონაწილეობას ყველა იმ ტრენინგსა თუ სემინარში, რომლებიც იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის მიერ იქნა ორგანიზებული მაგისტრანტი სტუდენტებისათვის.

საანგარიშო პერიოდში სტიპენდიანტების მიერ:

- გაიცა 421 სამართლებრივი კონსულტაცია
- მომზადდა 100 სამართლებრივი დოკუმენტი
- გამოთხოვნილ იქნა 54 საჯარო ინფორმაცია
- დაესწრნენ 27 სასამართლო პროცესს
- მომზადდა 9 საკანონმდებლო წინადადება
- დაორგანიზდა 12 საჯარო დისკუსია შემდეგ თემებზე:
 1. არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებანი.
 2. მოხალისეობა, როგორც სამოქალაქო სექტორის გაძლიერების შესაძლებლობა.
 3. რელიგიის თავისუფლება კანონმდებლობასა და რეალობაში.
 4. ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე.
 5. უვადო თავისუფლების აღკვეთის, როგორც სასჯელის, გამოყენება და აღსრულება საქართველოში.
 6. კონსტიტუციური შეთანხმება და მოსალოდნელი საფრთხეები.
 7. საკონსტიტუციო ცვლილებების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი.
 8. სისხლის სამართლის ლიბერალიზაცია – სასჯელის შეკრებითობის გაუქმება.
 9. საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მონყოლის პრობლემა.
 10. ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი საფუძვლები.
 11. ევთანაზია ქართულ სამართლებრივ სივრცეში და საერთაშორისო ასპექტები.
 12. შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება.

დისკუსიები გაიმართა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასევე, ბათუმისა და ქუთაისის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრებში. დისკუსიებს ესწრებოდნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, ჟურნალისტები, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, ადვოკატები. დისკუსიებში ექსპერტებად მინვეულ იყვნენ მალ-ალკვალიფიციური და დარგის ექსპერტები.

საანგარიშო პერიოდში სტიპენდიანტებმა საკვირაო სკოლისა და დებატ-კლუბის მსმენელთათვის ჩაატარეს 36 გაკვეთილი და სემინარი სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე.

თვით სტიპენდიანტებისათვის ფონდის მიერ ორგანიზებულ იქნა შემდეგი ტრენინგები:

- საკანონმდებლო პროცესი და გამჭვირვალობა.
- ბოლო პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები სისხლის სამართლის მიმართულებით და მოსალოდნელი შედეგები.
- ადგილობრივი თვითმმართველობა.
- ზოგადი ადმინისტრაციული და ადმინისტრაციული პროცესი.

აღსანიშნავია, რომ ოთხმა სტიპენდიანტმა უკვე დაამთავრა სამაგისტრო პროგრამა ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რამაც ლოგიკურად სტიპენდიის პროგრამის დასრულება გამოიწვია. ამჟამად ოთხივე მათგანი უკვე დასაქმებულია, მათ შორის ერთი – საიას ქუთაისის ფილიალში.



საინფორმაციო ცენტრი

საიას იურიდიული ბიბლიოთეკა კვლავ რჩება სტუდენტებისა და იურიდიული ლიტერატურით დაინტერესებული პირებისთვის მიმზიდველ ადგილად.

ბიბლიოთეკა ყოველდღიურად, საშუალოდ, 10-12 მკითხველს ემსახურება, რომელთა უმეტესობა სხვადასხვა სასწავლებლის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი და ფონდის სასწავლო კურსის მსმენელია.

კვლავ გრძელდება ბიბლიოთეკის განახლება უახლესი იურიდიული ლიტერატურით. საანგარიშო პერიოდში 100 ერთეულით შეივსო წიგნადი ფონდი შექმნილი და ნაჩუქარი პუბლიკაციებით.

საიას იურიდიული ბიბლიოთეკის მომხმარებელი, ჩვეულებისამებრ, სარგებლობს როგორც წიგნის ბინაზე გატანის სერვისით, ასევე, ადგილზე მომსახურებითა და ინტერნეტ-სერვისით. ჩვენს მომხმარებელს შეუძლია ისარგებლოს პროგრამა კოდექსითაც, რომელიც მუდმივად განახლებადია.

ბაზრისკენ

ფონდი აქტიურად მუშაობს მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტზე – ქართულ ენაზე მაღალრეიტინგული იურიდიული ლიტერატურის თარგმნასა და ქართველი ავტორების ხელშეწყობაზე მათ მიერ ახალი სახელმძღვანელოების გამოცემის პროცესში.

აღსანიშნავია, რომ ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებებში დღეს არსებული გრიფირებული სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოები, სტრუქტურისა და არათანმიმდევრულობის გათვალისწინებით, ვერ უზრუნველყოფს მოზარდის სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებას – იმ უნარ-ჩვევების განვითარებას, რომელიც აუცილებელია მოზარდის ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების მქონე პიროვნებად ფორმირებისთვის. ამ მიზნით, ფონდმა, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ-ის) ფინანსური მხარდაჭერით, გამოსცა 3 ტიპის სახელმძღვანელო მაღალი კლასის მოსწავლეთათვის.



გამოცემას რამდენიმე თანაავტორი ჰყავს და შედგება როგორც მოსწავლის სახელმძღვანელოსა და რეველისაგან, ასევე მასწავლებლის სახელმძღვანელოსგან. გამოცემის მიზანია, მოსწავლეებში ჩამოყალიბოს დემოკრატიული აზროვნება, რათა გააცნობიერონ საკუთარი – როგორც მოქალაქის – როლი, ჩამოყალიბოს მათ მაღალი სამართლებრივი კულტურა და კანონისადმი პატივისცემა.

მიზნების გათვალისწინებით, სახელმძღვანელო მოიცავს როგორც სამოქალაქო განათლების, ასევე, პრაქტიკული სამართლის საკითხებს.

სტაჟირება იურიდიული დახმარების ცენტრებში

იურიდიული პროფესიის განვითარების, ახალგაზრდა იურისტების კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიონალებად ჩამოყალიბების პროცესში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეაქვს თბილისისა და 7 რეგიონული ოფისის იურიდიული დახმარების ცენტრებს, სადაც დღემდე წარმატებით ფუნქციონირებს კლინიკები სტუდენტებისთვის.

6 თვიანი სტაჟირების პროგრამა სტუდენტებს საშუალებას აძლევს, გამოცდილი იურისტების დავალებითა და მეთვალყურეობით შეადგინონ სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტი, ადვოკატთან ერთად დაიცვან მოქალაქეთა ინტერესები სასამართლოში და ა.შ.

გასული საანგარიშო წლის განმავლობაში, საიას იურიდიული დახმარების ცენტრში, თბილისისა და 7 რეგიონული ოფისის მასშტაბით, სულ 103 დამწყებ იურისტს მიეცა სტაჟირების გავლის საშუალება.

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი სტაჟიორი თბილისის ოფისში უკვე დასაქმდა იურიდიული დახმარების ცენტრში სამოქალაქო სამართლის მიმართულებით.

ფინანსური ანგარიში

საანგარიშო პერიოდი: 2012 წლის 1 ნოემბერი – 2013 წლის 1 ნოემბერი

საიას ფინანსური ანგარიში მოიცავს ორგანიზაციის მე-19 და მე-20 საერთო კრებებს შორის განვლილ პერიოდს. ამ ხნის განმავლობაში, სხვადასხვა წყაროდან გრანტის, შემოწირულობისა და სანწევროს სახით მიღებულია 3,396,011.00 ლარი. აღნიშნული თანხა, მიღების წყაროების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:

EHRAC	15,119.00 ლარი
NDI	230,048.00 ლარი
EU	1,270,760.00 ლარი
EI LAT	11,367.00 ლარი
GIZ	163,948.00 ლარი
NED	67,146.00 ლარი
EWMI	742,392.00 ლარი
Netherlands Embassy	208,427.00 ლარი
WFD	43,538.00 ლარი
ADRA	13,776.00 ლარი
OSGF	127,116.00 ლარი
OSF	166,737.00 ლარი
IREX	321,360.00 ლარი

სანწევრო შენატანი 1,587.00 ლარი

სხვადასხვა კერძო და იურიდიული პირის შემოწირულობა 673.00 ლარი

სხვადასხვა შემოსავალი 12,017.00 ლარი

აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში ასოციაციაში არაერთჯერად სამუშაოზე დასაქმებული იყო 132 თანამშრომელი, მათ შორის 62 – რეგიონებში, რომელთა ანაზღაურების საერთო ფონდმა შეადგინა 1,661,973.00 ლარი. ერთჯერადი ჰონორარი გაიცა 422 პიროვნებაზე – საერთო თანხით 309,498.00 ლარი.

კერძო პირებზე გაცემულ მომსახურების ანაზღაურებებზე, ხელფასებსა და ჰონორარებზე დაკავებული იქნა საშემოსავლო გადასახადი — 415,6178.00 ლარი



საანგარიშო პერიოდში ასოციაციის მიერ შეძენილია 33,815.00 ლარის ღირებულების ძირითადი სა-შუალებები, მათ შორის, სხვადასხვა სახის საოფისე ტექნიკა რეგიონებისთვის – 12,138.00 ლარის ღირებულების.

ამავე პერიოდში შეძენილია საოფისე დანიშნულების, 39,727.00 ლარის ღირებულების, სხვადასხვა მცირეფასიანი ნივთი, მათ შორის, რეგიონებისთვის – 11,567.00 ლარის ღირებულების.

აღნიშნულ პერიოდში ასოციაციის, როგორც ცენტრალური ოფისის, ასევე რეგიონული ოფისების ბიბლიოთეკებისთვის შეძენილია 4,020.00 ლარის ღირებულების წიგნები და სხვადასხვა პერიოდუ-ლი გამოცემა.

ასოციაციის მიერ ორგანიზებული სემინარებისა და შეხვედრების მოწყობაში, რომლებიც იმართე-ბოდა როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში, დაიხარჯა 76,065.00 ლარი.

ასოციაციის თანამშრომლებისა და ნევრების მგზავრობის ხარჯებმა საანგარიშო პერიოდში შეად-გინა 281,568.00 ლარი.

ასოციაციის ოფისების ქირამ შეადგინა 83,157.00 ლარი.

ამავე პერიოდში ორგანიზაციაში განუღმა კავშირგაბმულობის ხარჯმა შეადგინა 79,990.66 ლარი, მათ შორის, რეგიონებში — 44,672.00 ლარი.

საანგარიშო პერიოდში ასოციაციის სახსრებიდან ხარჯის სახით მთლიანად დახარჯულია 2,878,559.00 ლარი. აღნიშნული ხარჯი, წყაროების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:

Sida	379,608.00 ლარი
NED	88,735.00 ლარი
Australian Embassy	10,000.00 ლარი
DRC	132,852.00 ლარი
Netherlands Embassy	104,870.00 ლარი
EHRAC	10,586.00 ლარი
ADRA	14,382.00 ლარი
GIZ	146,022.00 ლარი
EWMI	741,517.00 ლარი
European Union	80,273.00 ლარი
US Embassy	15,784.00 ლარი
IREX	394,696.00 ლარი
OSGF	216,295.00 ლარი
OSF	300,000.00 ლარი
NDI	119,016.00 ლარი
BfdW	123,430.00 ლარი

ასოციაციის სახსრები	493.00 ლარი
---------------------	-------------

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
 ორგანიზაციული ბალანსი
 2013 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით

ნომბ. 1, 2013

აქტივები	
ძირითადი საშუალებები	793 097 Lari
სხვა აქტივები	2 000 Lari
მიმდინარე აქტივები	
მისაღები ვალდებულებები	3 280 359 Lari
ფულადი სახსრები	292 213 Lari
მთლიანი მიმდინარე აქტივები	3 572 572 Lari
მიმდინარე ვალდებულებები	
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	8 548 Lari
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	8 548 Lari
წმინდა მიმდინარე აქტივები	<u>3 564 024 Lari</u>
საკუთარი აქტივები	4 359 121 Lari
წმინდა აქტივები	4 359 121 Lari

აღმასრულებელი დირექტორი:

ბუღალტერი:



 გ. მიხეაშვილი



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გმართველოვის ორგანოები

2013 წლის ნოემბრის მდგომარეობით

გამგეოვის წევრები

კახა კოჟორიძე – თავმჯდომარე
ნინო ბაქაქუერი – თავმჯდომარის მოადგილე
ბესარიონ აბაშიძე
ბესარიონ ბოხაშვილი
ირენა გაბუნია
ეკატერინე გასიტაშვილი
თამარ გურჩიანი
გიორგი ზედელაშვილი
ნინო თვალთვაძე
ნინო ლომჯარია
გიორგი მშვენიერაძე
დიანა ჟლენტი
ქეთევან როინიშვილი
ალექსანდრე რუხაძე
ვენერა სუქნიძე
ლელა ტალიური
პარმენ ჯალალონია
მიხეილ ჯახუა
ხათუნა ჭითანავა
თამარ ხიდაშელი
თინათინ ხიდაშელი - შერეებული აქვს სტატუსი

აღმასრულებელი დირექტორი

ეკატერინე ფოფხაძე

რეგიონული ოფისების ხელმძღვანელები

აჭარის ფილიალი – გია ქარცივაძე
ქუთაისის ფილიალი – თამარ ფაჩულია
რუსთავის ოფისი – ეკატერინე ფავლენიშვილი
გორის ოფისი – ქეთევან ბეზიაშვილი
თელავის ოფისი – მარეხ მგალობლიშვილი
ოზურგეთის ოფისი – თამაზ ტრაპაიძე
დუშეთის ოფისი – სერგო ისაშვილი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია



GYLS

Young Lawyers' Association

გამოცემაზე პასუხისმგებელი: ეკატერინე ფოფხაძე, ხათუნა ყვირაღამელი
დიზაინი: თეონა კერესელიძე
© საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

თბილისის ოფისი

ჯ.კახიძის ქ. №15, 0102
ტელ: + (995 32) 2936101 / 2952353
ფაქსი: + (995 32) 2923211
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge

ქუთაისის ფილიალი

მ.კოსტავას ქ. №11, 4600
ტელ: + (995 431) 241192
ფაქსი: + (995 431) 214585
ელ-ფოსტა: kutaisi@gyla.ge

აჭარის ფილიალი

ბათუმი, გორგასლის ქ. №89, 6000
ტელ: + (995 422) 276668
ფაქსი: + (995 422) 222950
ელ-ფოსტა: batumi@gyla.ge

გორის ოფისი

სტალინის ქ. №19, 1400
ტელ: + (995 370) 272646
ფაქსი: + (995 370) 279842
ელ-ფოსტა: gori@gyla.ge

რუსთავის ოფისი

კოსტავას 15 ა/5, 3700
ტელ: + (995 341) 255337
ფაქსი: + (995 341) 240566
ელ-ფოსტა: rustavi@gyla.ge

თელავის ოფისი

რუსთაველის ქ. №7, 2200
ტელ/ფაქსი: + (995 350) 271371
ელ-ფოსტა: telavi@gyla.ge

ოზურგეთის ოფისი

გაბრიელ ემისკოპოსის ქ. №25/10, 3500
ტელ/ფაქსი: + (995 496) 273138
ელ-ფოსტა: ozurgeti@gyla.ge

დუშეთის ოფისი

რუსთაველის ქ. №29, 1810
ტელ: + (995 346) 221554
ფაქსი: + (995 346) 221553
ელ-ფოსტა: dusheti@gyla.ge